უდაბნოს გლახები

მაშა მაშკოვას ბიბლიოთეკა

“უდაბნოს გლახები” ერთადერთი რომანია, რომელიც გაზეთში წავიკითხე. მანამდე მხოლოდ წიგნად გამოცემულ თუ სქელტანიანი ჟურნალის ორ-სამ ნომერში დაბეჭდილ “რომნებს” (როგორც თავად აკას უყვარს ხოლმე თქმა) ვეტანებოდი.
მახსოვს, პუბლიკაციას “ქართული სიტყვის” ექვსი ნომერი დასჭირდა და პირველივე თავების წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს თხრობითი ლაბირინთი ბოლომდე ჩამითრევდა. მთავარი იყო ორკვირიან შუალედებში (“ქართული სიტყვა” ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა) ამბის ძირითადი ხაზი არ დამეკარგა, მეპოვნა არიადნეს გამძლე, საიმედო ძაფი, რათა გზა არ ამბნეოდა ამ მრავალშენაკადიან პროზაულ ლაბირინთში. ყოველი ორკვირიანი, ხრიოკი შუალედის შემდეგ ვცდილობდი პირნათელი დავბრუნებოდი “უდაბნოს საკითხავს”, თუმცა ნახევარსაათიანი სიამოვნების შემდეგ ისევ ორი კვირა მიწევდა ხეტიალი (ამჯერად რეალურ, თბილისურ უდაბნოში) ახალი თავების დაბეჭდვამდე.
ერთი სიტყვით, ბევრი ვიწვალე სწრაფი კითხვით განებივრებულმა და მას მერე დავიფიცე კიდეც, რომ გაზეთში, გაგრძელებებით, რომანს (თუნდაც მცირეს) არასდროს წავიკითხავდი.
ორი დღის წინ მეორეჯერ მომიწია “უდაბნოს” გადაკითხვა, ამჯერად ერთი ამოსუნთქვით და მინდა გითხრათ, რომ წლინახევრისწინანდელი შთაბეჭდილებები კიდევ უფრო დაკონკრეტდა, გამოიკვეთა და უფრო მეტიც, ბევრ რამეზე აზრიც კი შემეცვალა.
მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს მოთხრობა (თუ მცირე რომანი) ძალიან განსხვავდებოდა აკას სხვა ნაწარმოებებისგან, რომ ავტორს უფრო ბუნებრივი და სტილური ხრიკებისგან თავისუფალი ტექსტი გამოუვიდა, მაგრამ ახლა ვრწმუნდები – აკა ამ წიგნშიც ისევე გვეთამაშება, როგორც ადრე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რამდენიმე წლის წინ ავტორი ჩვენს ფანტაზიას ძველი, საუკუნისწინანდელი მეტყველებით ასუქებდა; ახლა კიდევ, შორეული წარსულის სიტყვიერი კერძებით დაპურებულებს, ისევ ჩვენი დროის “ბალანდა” დაგვიდგა დასაგემოვნებლად (როგორც ოდესღაც “ყარაბაღში” ან “ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში”), ანუ თანამედროვე, უცნაური წარმოშობის “სოციოლექტები” შემოგვთავაზა (დე, მეპატიოს ეს ნეოლოგიზმი).
“უდაბნოს გლახებშიც” ენობრივი ქსოვილი ძალზე მრავალფეროვანია, აკასგან ჩვენ მიჩვეულები ვართ ასეთ სიჭრელეს და მასში რუსული და ნახევრადქართული, ქურდული “გოვორის” გარდა (რომანის ძირითადი მოქმედება ხომ კოლონიაში ვითარდება) სხვა, სპეციფიური ქვედიალექტებიც მოიძებნება. მაგალითად, განსხვავებულ ენებზე მეტყველებენ მამა გერმანე, იმერელი “ზეკები”, “ტელევიზიონშჩიკები”, მეცნიერები. ერთ-ერთ მთავარ გმირს, ზაზას (იქნებ ეს “თეთრი ბაირაღების” ზაზა ნაკაშიძეა) მღვდელსაც შეარქმევენ პატიმრები მეტყველებაში გაპარული რამდენიმე “არაქურდული” სიტყვის გამო.
ზაზას ერთხელ “უცნაური დღე გამოუვა”, დილიდან ქალებზე ფიქრობდა თურმე და “საიდანღაც, ძალიან შორეული და აღარარსებული წიგნის კარადიდან მასთან მოსულიყო დაუვიწყარი ამბავი ლამანჩელი გიჟისა, ერთი მურიანი სოფლის გოგო რომ დაესახა გულის ვარდად. ახლა ზაზას აღმოეჩინა, რომ თავადაც ჰყავდა ასეთი, მივიწყებული, მხიარული დროების მოგონებიდან მოსული ლენინგრადელი მეძავი გოგო მაშა მაშკოვა”.
თუკი ალღო არ მღალატობს, ეს გოგოც ლიტერატურის უსასრულო და დავიწყებული თაროებიდან უნდა “მოეხსნა” ავტორს, მას ერთი მხრივ მეძავთა

სახეების უზარმაზარ გალერეასთან მივყავართ (აკასვე “ყარაბაღიდან” დაწყებული – დოსტოევსკით, დე ქუინსითა თუ კატულუსით დამთავრებული), მეორე მხრივ კი ამ გოგოს გვარ-სახელი იმსახურებს ყურადღებას, რომელიც ძალზე ცხადად მიანიშნებს თანამედროვე პოსტ-საბჭოთა სივრცის ნეტ-გმირზე, მაქსიმ მაშკოვზე (ინტერნეტში ნაძრომიალები ლიტერატურის მოყვარულისთვის ეს სახელი ყველაზე დიდ ქსელურ ბიბლიოთეკას უკავშირდება).
წიგნში გამუდმებით გარბიან, ადამიანებიცა და გველებიც, გარბიან ციხიდან, უცხო და მყრალი გვირაბებიდან, სამშობლოდან, გაურბიან სიცოცხლესა და სიკვდილს, განსაცდელსა თუ სიმყუდროვეს. რომელიმე მაზალო კრიტიკოსმა ისიც შეიძლება თქვას, რომ თუკი “მადათოვი” “დათა თუთაშხიასგანაა” დავალებული – “უდაბნოს გლახები” “გორა მბორგალიდან” უნდა გამოვიყვანოთ და უსასრულო გაქცევა უნდა დავუსახოთო მთავარ თემად. მაგრამ არა, “უდაბნოს გლახებზე” ასე მარტივად ვერ იტყვი. სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო სამი პერსონაჟი იკმარებდა ამ თვალსაზრისის გასაქარწყლებლად და წიგნის თხრობით მრავალშრიანობაში დასარწმუნებლად.
ამ სამ პერსონაჟს, პატიმრებს: ზაზას, რაჯასა და პოლკოვნიკს, სამი სხვადასხვა ისტორია უმაგრებთ ზურგს და სამივე სხვადასხვანაირი თხრობით გამოირჩევა. ზაზას ამბავს თავად ავტორი გვიამბობს, პოლკოვნიკი საერთოდ არაფერს ამბობს, განსაცდელში დარჩენილ ცოლს მისტირის და მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს: “სად არის?”
“მოლაპარაკე პოლკოვნიკს მდუმარე პოლკოვნიკი სჯობდა. მდუმარე – გაუტეხელ, ამაყ კაცს ჰგავდა. მოლაპარაკე – ერთ დიდ, ნაპრალიან კედელს, ან შუაზე გაჩეხილ მორს. თითო ამოოხვრაზე ნაპრალი თითო გოჯით ჩაიხეოდა ხოლმე. პოლკოვნიკის ამბავი ყველაზე საშინელი იყო მთელს უდაბნოში, მიწისძვრაზე საშინელიც კი. ვინაიდან მიწისძვრას შეიძლება გადაურჩე, ამ ამბავს კი – ვერაფრით. პოლკოვნიკის ამბავს სხვები ჰყვებოდნენ. თვითონ ერთხელ თქვა და მეორეჯერ რომ ეთქვა, მოკვდებოდა”.
არის კიდევ ერთი, ყველაზე ხალისიანი მთხრობელი, რაჯა, ვისი ისტორიაც ყველაზე შთამბეჭდავი გამოუვიდა ავტორს და განსაკუთრებით კი მე-16 თავს ეხება ეს, ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე სევდიან ამბავს, რაც კი აკა მორჩილაძეს დაუწერია. თავად რაჯას კი ასე ხატავს ავტორი:
“რაჯას თხრობა უყვარდა. დაისვამდა ხოლმე ვინმეს წინ, წაიტეხავდა იმის პურიდან და ლაპარაკობდა. თხრობა დედის სიკვდილით იწყებოდა და სრულდებოდა მიწისქვეშა ამბებით. შუაში იყო თოთხმეტი გაქცევის ნამცეცები. თხრობისას რაჯა ჩლიფინებდა და ყოველდღე თითო სიტყვა ავიწყდებოდა”. ამ აბზაცის მარტო ერთი დეტალი რად ღირს?! (“წაიტეხავდა იმის პურიდან და ლაპარაკობდა”).
რით არაა ნამდვილი აედი თუ რაფსოდი ეს ჩვენი რაჯა? ბებერი, გამომხმარი მითოლოგოსი, რომელიც თავისი მოგონილი მიწისქვეშეთის მითიური ხატებით, დიდ, მარადიულ ლიტერატურამდე ამაღლებს “უდაბნოს გლახებს”. წიგნი ლოცვით სრულდება და ფინალში ავტორი იმავე რაჯას ზურგზე გამოსახული ფერხორციანი ანგელოზების იმედად ტოვებს თავის გმირებს. წინასიტყვაობის ავტორს კი ასეთი ფინალის შემდეგ მხოლოდ ერთი აზრი აეკვიატება:
ნეტარ არიან მთხრობელნი...

მალხაზ ხარბედია

ამ წიგნში აღწერილი გმირები და დაწესებულებები გამოგონილია. ყოველგვარი მსგავსება ნამდვილ ადამიანებთან და ამბებთან გახლავთ

შემთხვევითი და ავტორს გულშიც არ გაუვლია, რაიმე გადმოეწერა ცხოვრებიდან.

1.
როცა ზაზამ მაკლერი მოიყვანა ბუფეტის სანახავად, დეიდა თინამ თავის მორყეული სათვალე გაიკეთა, უცნობს სავარძლიდან ახედა და ჩაილაპარაკა:
“Брдо срч... У негр нот нрыу згрорыд здпрыитби”.
მერე წამოდგა, თავის ოთახში შეფრატუნდა და იქიდან გამოსძახა ზაზას:
“უთხარი, რომ ყველა გასაღები დაკარგულია და ახლები გაუკეთონ”.
დეიდა თინას ეგონა, რომ ბუფეტი რესტავრაციის სახელოსნოში მიჰქონდათ.
დეიდა თინა საერთოდ დაკარგულიყო ჩეხოვისა და ტურგენევის ძველ, ხრუშჩოვის დროს გამოცემულ წიგნებში და რთული სოციალური ვითარების შეგრძნება დაჩლუნგებოდა. ის ოდესღაც რუსული ლიტერატურის ფილოლოგი გახლდათ, მაგრამ მერე ჰაეროვან ტორტებს აცხობდა და ყიდდა. კოკამაც ამიტომ შეძლო ამერიკაში წასვლა. კოკა რომელიღაც დაკოტაში ჩარჩა და მისი წასვლიდან ორი წლის თავზე დეიდა თინას სისხლი ჩაექცა.
კოკას დეიდა, ნათელა და დეიდაშვილი ზაზა მაშინ დეიდა თინასთან გადმობარგდნენ დაგამოჯანმრთელებაში შველოდნენ. რახან იმხანად ენერგეტიკული კრიზისი მძვინვარებდა და სიბნელეში კატებიც კი იბნეოდნენ, ზაზამ აკუმულატორი ბუფეტზე შემოდგა. აკუმულატორიდან რაღაც სითხე მოწვეთავდა და ბუფეტის უკვდავ ხეს ალბობდა.
სამი თვის თავზე დეიდა თინამ სიარული კი შეძლო, მაგრამ შეძულდა - ფეხს როგორღაც მივითრევო. თანაც, გვარიანად დააკლდა თვალთ.
სამაგიეროდ, დეიდა თინას მოხდენილად ჩაცმა უყვარდა. მთელი გარდერობი შემორჩენოდა ძველმოდური საღამოს კაბებისა და ლაქის, ნავის მოყვანილობის ფეხსაცმელებისა. ყოვედ დილით გამოეწყობოდა ხოლმე და ასე მიწვებოდა ჩეხოვის წიგნებით გაწყობილ ლოგინზე. კითხვა ძალიან უჭირდა, მაგრამ ზაზას დედა, დეიდა ნათელა უკითხავდა ხოლმე ხმამაღლა. სადილობდნენ მაკარონით და ჩაის შინდის მურაბას და პურს აყოლებდნენ. საღამოობით დეიდა თინა თავის ქმარს იგონებდა ხოლმე და მოუღლელად აქებდა. საკმაოდ შთამბეჭდავად ამტკიცებდა, რომ მისი ქმარი უკეთესი კაცი იყო, ვიდრე დეიდა ნათელასი. ამიტომ, კოკა უფრო საქმიანი და წესიერი ბიჭი გამოსულიყო, ვიდრე ზაზა. დეიდა ნათელა არ ეკამათებოდა, მხოლოდ ოხრავდა და ცდილობდა ტელევიზორი ჩაერთო.
ერთხელაც ამოიოხრა, მაგრამ ტელევიზორამდე ვეღარ მიაღწია – ჰოლში ჩაიკეცა და გარდაიცვალა კიდეც გულის უცაბედი შეტევით.
ზაზა მშვენიერი არქიტექტორი იქნებოდა, მაგრამ ცხონებულ დეიდა ნათელას მის რაიმე სამსახურში მოწყობა ვეღარც კი წარმოედგინა. სტუდენტობა ძლივს გაატანინა და სამსახურში მისი დევნა ნამდვილად აღარ შეეძლო.
ზაზა მეხუთე კლასში იყო, როცა პირველად მოხდა ეს საშინელი ამბავი. კლასელის დაბადების დღეზე მისულმა იქაურ სააბაზანო ოთახიდან მოიპარა კვერცხის შამპუნი და შინ, საწერი მაგიდის უჯრაში დამალა. ამბავი გახმაურდა და ბავშვურ ანცობად დაისახა, მაგრამ მალევე გაირკვა, რომ ეს ანცობა კი არა, ავადმყოფობა იყო.
გაფითრებული დეიდა ნათელა აუწერელი მღელვარებით გამოსწევდა ხოლმე საწერი მაგიდის უჯრებს და ათვალიერებდა საშინელ ნადავლს, კასეტებს, კომპოტის ქილებს, წინდებს, დანა-ჩანგალს. აქ ნახა ერთხელ ოქროს ბეჭედიც, იმ დროს მოდური იაპონური საათიც. გაუსაძლისი კი ის იყო, რომ ზაზა ხშირად ბრუნდებოდა ნაცემი და მეგობრები არ ჰყავდა.
მერე პროფესორმა მექანარიშვილმა მოგონილი სევდით უთხრა დეიდა ნათელას:
“ეს არის ერთადერთი ავადმყოფობა, თანაგრძნობას რომ ვერ გამოიწვევს”.

ზაზამ კი კურსელი გოგოს ელასტიური შარვალი მოიტანა შინ.
“ძალიან რთულია”, – განზე გაიხედა პროფესორმა მექანარიშვილმა. მხოლოდ ცამეტ დღეს იმსახურა ქალაქგეგმარების მთავარ ბიუროში. მაშინ შეუსწრეს, როცა კადრების განყოფილების სეიფს ეჯაჯგურებოდა. სეიფში სრულიად უსარგებლო ქაღალდები და ფარგლების ჩეხური კომპლექტი შეენახათ. კომპლექტი ადრევე მოეპარა ვიღაცას, ავადმყოფად რომ არავინ ჩათვლიდა. დეიდა ნათელამ გადაწყვიტა, ზაზას აღარსად ემუშავა.
დეიდა თინამ იცოდა, რომ ზაზას პარვის დაავადება სჭირდა და მისი სახლიდან არაერთი რამ გაეცოცებინა. დეიდა ნათელა ყოველთვის ნირწამხდარი აბრუნებდა ვერცხლეულსა და ძაფის კოჭებს.
მაგრამ დეიდა თინას მხედველობა წახდენოდა და აღარც ახსოვდა ზაზას ამბავი. ისა და ზაზა ერთად ცხოვრობდნენ და დეიდაც სულ იშვიათად და იშვიათადგამოდიოდა თავისი ოთახიდან. ზაზა გულმშვიდად აცარიელებდა უჯრებს, თაროებსა და კედლებს და ყველაფერი წყნარად მიჰქონდა ანტიკვარიატის მაღაზიებსა და მშრალი ხიდის ბაზრობაზე. სანაცვლოდ მოჰქონდა მაკარონი, კარტოფილი, ხორცი, პური და წამლები დეიდა თინასთვის. კოკამ ერთადერთხელ მოახერხა ჩამოსვლა და ერთი თვე კი გაატარა მშობლიურ ქალაქში.
სიმართლე ითქვას და ზაზამ ძლივს იცნო: თმა უცნაურად შეეჭრა და თითქოს ძალითაც იცინოდა. რა თქმა უნდა, კოკამ იცოდა ზაზას ავადმყოფობის ამბავი და დაცარიელებული უჯრა-თაროებიც იოლად შეამჩნია. ამიტომ მან და ზაზამ ზაზას და ცხონებული დეიდა ნათელას ბინა გაყიდეს და ფული კოკამ წაიღო ამერიკაში: ჯერჯერობით, შენი ჩამოსვლა არ ხერხდება, რადგან დედაჩემს მარტოს ვერ დავტოვებთ; სამაგიეროდ, როცა ჩამოხვალ, იქ კაპიტალი და აწყობილი საქმე დაგიხვდებაო. მხოლოდ ხუთასი დოლარი და ერთი ფოტოგრაფია დატოვა, რომელიც სასტუმრო “უოტერგეიტის” წინ, უგრძეს შავ ლიმუზინთან მდგომს გადაეღო.
დეიდა თინამ დიდხანს ათვალიერა ფოტო და ბოლოს იკითხა:
“Эир ჩირ, კთითფთოკ?”
ამის მიუხედავად, კვლავაც მიაჩნდა, რომ კოკამ უფრო ივარგა ცხოვრებაში, ვიდრე ზაზამ.
ზაზას კი არც უფიქრია, დეიდა თინა რომ მოკვდება, ამერიკაში წავალო. იფიქრა, ბუფეტს გავყიდიო, ოღონდ დეიდა თინასთვის უნდა აეხსნა, რომ კი არ ყიდდა, კოკას დატოვებული ფულით აპირებდა მის შეკეთებას და აკუმულატორიდან ნაწვეთი მჟავით წამხდარ ბარელიეფთა აღდგენას.
ბუფეტი ძველი და გემრიელი იყო. ოდესღაც, ვიღაც გერმანელ ოსტატს მის კარებსა და უჯრებზე ისარგაყრილი კურდღლები, ტიროლური ქუდები და მონადირული საყვირები ამოეტვიფრა.
პიანინო რომ ჰქონოდათ, ზაზა ბუფეტს არ შეელეოდა.
მაკლერმა რომ სატვირთო მანქანა მოაყენა სადარბეზოს, დეიდა თინამ თავისი ოთახის ფანჯარა გამოაღო. უკანასკნელი ცხრა წლის განმავლობაში ასეთი რამ არასოდეს უქნია.

2.
რაჯ კაპური იგვიანებდა. ეს არ იყო ინდოელი კინოვარსკვლავის ბრალი. დიღმის საბჭოთა მეურნეობაში მიეწვიათ და იქ თიხის ფიალებით ასმევდნენ ღვინოს. რაჯი აღაფრთოვანა ნორჩ მოცეკვავეთა ოსტატობამ. საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა და მთავარმა ინჟინერმა მწიფე მტევნებისგან დაწნული გვირგვინი მოარგეს და რაჯმაც იცეკვა თავისებურად.
რუსთაველზე კი თაიგულები ჭკნებოდა. ხუთასამდე ადამიანი იდგა სასტუმრო “ინტურისტის” წინ და რაჯის დაბრუნებას ელოდა.

ღამე იყო თბილი შემოდგომისა – წელი 1956, 1957 ან 1958. ამ ქალაქში განთქმულიყო რაჯ კაპურის ფილმი “ავარა”. კეპი, წვრილი ულვაში, ტუჩის კუთხეში აბოლებული პაპიროსი და ჯიბის ქურდის ნატიფი ოსტატობა.
“ავარა ვარ მე...” მღეროდნენ მაშინ.
რაჯის მასპინძლებმა, რაღა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ სასტუმროს სადარბაზო კართან ბრბო შეყრილიყო და ეშმაკურად მოიქცნენ. შავი “ზიმი” სასტუმროს უკანა ეზოს ალაყაფს მიაყენეს და რაჯი სამზარეულოსა და უკვე დაკეტილი რესტორნის გავლით შეიყვანეს ჰოლში.
სადარბაზო კართან მალევე შეიტყვეს, რაჯი მოსულაო და ტაში დასცხეს. ყველამ მეორე სართულის აივნებს მიაპყრო მზერა, რადგან დანამდვილებით სცოდნოდათ, ინდოელი მეორე სართულზე ცხოვრობსო, ზუსტად კი, აბა ვინ უწყოდა, რომელი ნომერი ეჭირა?
“რაჯ, გამოდი, რაჯ...” გვარიანი სითამამე იყო ქალიშვილთაგან.
“რაჯ...”
შუქი აინთო. მესამე აივანზე კარიც გაიღო და ხელგაშლილი, თეთრკოსტუმიანი რაჯი გამოჩნდა. ვერავინ შეატყო, რომ მთვრალი იყო და თაიგულიც არავინ დაინანა. რაჯმა ერთ-ერთი თაიგული დაიჭირა, აკოცა და უკან გადმოისროლა.
“თბილისიიიი!” შესძახა ოდნავ ჩახრინწული ხმით, თბილისიიიი, გაუმარჯოოოო!..”
სწორედ ამ წუთებში, ამ ადგილიდან ტრამვაის შვიდ-რვა გაჩერების მოშორებით, მაღალჭერიანად მშენებარე ვაკის უბნით ერთ-ერთ ხალვად სადარბაზოში კედელს აკვროდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მეორე დილით ორჯონიკიძის რაიონის მორიგე გამომძიებელი ვალერიან ქაჯაია რაჯ კაპურას დაარქმევდა და ეს სახელი გაჰყვებოდა მთელი სიცოცხლე.
ახალგაზრდა კაცს ანზორი ერქვა, ოცდაერთი წლისა იყო და დაიმახსოვრებდი შავი, გადაბმული წარბებითა და კიდევ უფრო შავი ელვარე თვალებით. ავლაბარში ეცხოვრა, კაზარმის უბანში.
პირველ საქმეზე წამოეყვანათ ყლორთაღელ პაკრიშკას და გასტროლიორ ქურდ ცობეცას, რომელიც ენგელსის ქუჩაზე კი აღზრდილიყო, მაგრამ საკავშირო ხეტიალი უყვარდა.
ანზორა ვასერზე იდგა.
3.
ყველაფერი ძალიან უცნაურად მოხდა. არ სჯერათ ასეთი ამბებისა და არც ზაზას დაუჯერეს. ვინმე განთქმული რომ ჰყოლოდა ვექილად, ეგებ დაერწმუნებინა კიდეც მოსამართლე, ზაზა არაფერ შუაშიაო, მაგრამ ადვოკატს ყვითელი პერანგი ეცვა და ტყავის, წვრილნასკვიანი ჰალსტუხი ეკეთა, რამაც ზაზა მიახვედრა, ეს კაცი ვერაფერში დამეხმარებაო. თანაც ზაზამ სკოჩი და წითელი ფლომასტერი მოპარა გამომძიებელს და საკანში შეტანაც მოახერხა.
მეორე დაკითხვაზე. სკამის ზურგს შემოკიდებული გამომძიებლის პიჯაკიდან ცხვირსახოცი ამოაცოცა, რამაც მთელს იზოლატორში აცინა ხალხი, თავად ზაზას კი იგორ კიო უწოდეს. მესამე დაკითხვაზე ზაზა ჩავარდა: მაგიდის კალენდარი დიდი და თვალში მოსახვედრი ნივთი გამოდგა.
ყოველთვის სიდიდე წაუხდენდა ხოლმე საქმეს.
ხუთი დღით საავადმყოფოც მოუხერხეს, ადვოკატი მთლად წყალწაღებული არ გამოდგა.
საავადმყოფოში მაშინ ერთი ქურდი იყო, რობერტა დალაქიშვილი. იმან გაიგო, რომ ბიჭია, რომელიც სულით მომპარავი ჩანს. რობერტა დალაქიშვილი ძველი ქურდი იყო, კაცისა სჯეროდა ხოლმე. ზაზას ტყუილად დაჭერა დაიჯერა, მაგრამ თავად ზაზა მზად ვერ აღმოჩნდა.
კითხვა რთული იყო:
“რას აწვები?”

ზაზამ კი მხრები აიჩეჩა.
“ავეჯი უნდა გამეყიდა”.
მერე რობერტა დალაქიშვილი დიდხანს ფიქრობდა. ზაზა რომ წავიდა, ხმადაბლა თქვა: “ბალნოია”.
მერე ლაპარაკობდნენ, ოღონდ ჩურჩულით - ყველაფერს მოიპარავსო. ერთმა ისიც კი წაიბურტყუნა, ისეთი გიჟი ჩანს, ღმერთმა არა ქნას, ქურდის წილზე გასწიოს ხელიო. შკოდნიკი და კრისა არ იყოსო. რობერტა დალაქიშვილმა კი გაიმეორა:
“ბალნოია. თუ არ დაინახავთ კრისობდეს, ხელი არ დაადოთ”.
ზაზა ნერვიულობდა და ხელიც ამიტომ გაურბოდა გამომძიებლის პირადი ნივთებისკენ. ნერვიულობდა, რადგან იცოდა, რომ არაფერი დაუშავებია. რა სისულელეა?
დეიდა თინამ ფანჯარა გამოაღო და შეჰკივლა:
“Зთზმკ, ითს ვ ოევრს ჭწმკე, არყსრიპმ!”
ზაზამ წაუყრუა.
დეიდა თინას გახსენებოდა თორმეტი წყვილი დანა-ჩანგალი: მელქიორისა, ნეპის ეპოქის ოსტატთა ნაკეთები.
ჯერ კიდევ შარშანწინ, ზაზას ას ოთხმოცი ლარი აეღო ამ დანა-ჩანგალში.
მუშამ ორივე უჯრა გამოსწია და ასძახა:
“აქ არაფერი არ არი, ქალბატონო”.
“მოუპარავთ!” აღმოხდა დეიდა თინას. “ამ წუთში იყო. ВРპძ, ვრპძ! ПРლთდლმიე! ВРპძ... აი, ახლა ვრეკავ. ზაზიკ, არ გაუშვა”.
გაოცებულმა მაკლერმა ზაზას გადახედა.
“ბუფეტი ცარიელი იყო, ქალბატონო!” ასძახა დეიდა თინას.
“შენი თავია ცარიელა, “ყეო”, არ დაცხრა დეიდა თინა. “Сნთჩთოთ პუკმ ვძსრღ”.
“Зთსროჩმ, დეიდა თინა”, ასძახა ზაზამ.
“კოკა რომ იყოს აქ, ასე გაატანდა?” დეიდა თინას ხმა ქუჩის გადაღმა, აკაციებს აშრიალებდა. “შე უთავო, შე უთავო, ახლა ვრეკავ! Нე ზთვთლმიე, ნე ზთვთლმიე. მოიცა, ჩამოვდივარ...”
ცხრა წელიწადი სრულდებოდა, არ გამოსულიყო სახლიდან.
“თქვენ წადით, მე გავაჩერებ. მოხუცია და...” მიუგდო ზაზამ მაკლერს და სადარბაზოში შევარდა.
დეიდა თინა კარისკენ იწევდა, ზაზა კი ცდილობდა სავარძელში ჩაესვა.
რა გასაკვირია და მეზობლებს არ უყვარდათ ზაზა. ქვედა მეზობელმა ბრაგვანი დიდი ბრძოლის შედეგად დასახა. კარის მეზობელს რაღაც კივილის მსგავსიც მოეყურა, ზედა მეზობელმა ბუფეტის გასხვისების ამბავი აღიქვა უცნაურად. ზაზა კი სამზარეულოში იყო, იფიქრა წყალს მივურბენინებო. სწორედ ამ დროს გაიგონა ბრაგვანი. დეიდა თინა ოთახის კართან ეგდო, კეფიდან სისხლი სდიოდა. კარის ჩარჩოსაც სისხლი აჩნდა. ექსპერტმა სისხლჩაქცევები აღმოუჩინა მკლავებზე, ეტყობა იმ დროისა, ზაზა რომ მოხუცის სავარძელში ჩასმას ლამობდა.
ზაზა ფიქრობდა, გამათბობლის ზონარს თუ წამოკრა ფეხიო. გამათბობელი გადაყირავებული იყო.
პროკურორები თვლიან, რომ გამათბობლის განგებ გადაყირავება ისეთივე იოლია, როგორიც მოხუცი დეიდის მოკვლა.
“ათი წელიწადი, განსაკუთრებული რეჟიმი”, დაასრულა მოსამართლემ.
ზაზამ კოკას მისწერა ყველაფერი.
კოკა ხომ დაუჯერებდა. მთავარი ეს იყო.

4.
სამივენი ამომშრალ ჭასთან ჩაცუცქულიყვნენ და ეწეოდნენ. ჭის გვერდით ჯოხი ეგდო. სამივე გველებზე ფიქრობდნენ. ზაზა ძლივს აფახულებდა

უფილობისგან დასიებულ თვალებს. თვალები აქ, როგორც ინდოურის კურტუმოო, აღენიშნა ერთ-ერთ იმერელ პატიმარს.
“გველიც გარბის”, აღმოხდა პოლკოვნიკს.
პოლკოვნიკი ქშენით და აღმოხდომით თუღა გადააბამდა სამ-ოთხ სიტყვას. სხვანაირად ვეღარ ლაპარაკობდა.
“ერთი ციხიდან მეორეში მოვიდა. მაგისთვის ეს ციხე ციხე არ არი. გარეთ ყოფნა არი”, თქვა რაჯამ.
“ რო ამოვა, რა უნდა ვუქნათ?” იკითხა ზაზამ.
“მე ლიჩნათ გავატარებ”, განმარტა რაჯამ, “კაი ბიჭმა არ უნდა აკბენიოს”.
მერამდენე დღე იყო, ზწაზას არ ეძინა, გველებს დარაჯობდა ბარაკში. არავის უთხოვია, თვითონ იჯდა და ათენებდა. სხვებიც ისხდნენ. მერე კოლონია შიშმა მოიცვა და სამ-სამი მორიგე გააომწესეს ხვრელებთან და ჭებთან, რომლებიც ჯერ კიდევ მომწიფებული სოციალიზმის დროს ამოეთხარათ აქ მოხვედრილ მთიულ გლეხებს. ეს მთიულები ჟოლოს წვენში წყლის გარევისთვის იხდიდნენ მრავალწლიან სასჯელებს - მათ სოფელში წვენის ქარხანა გაეხსნათ, მერე კი დარღვევები აღმოეჩინათ.
გლეხებმა იცოდნენ, რომ მალე ამ ჭებში გველები დაიბუდებდნენ, რადგან ამ მხარეში მიწისქვეშა წყლები არ იყო, მაგრამ რახან კოლონიის უფროსობამ უბრძანა, მიადგნენ და ამოთხარეს.
მაშინ კოლონიას ხელმძღვანელობდა ბელორუსიის მეორე ფრონტზე თითებდაკარგული მამაცი მაიორი არონ სართანია. მან თქვა: “ბერები რომ იყვნენ აქ, რას სვამდნენ აბა?”
“ღვინოს”, ჩაიხითხითა პოლიციელმა.
“პირს ვერ დაიბან ღვინით”.
“ძველ დროში არ იბანდნენ პირს”.
“აბა, ბერების უფროსი პირდაუბანელი იქნებოდა? მე პირდაუბანელი ვარ?” გაიკვირვა მეთაურმა.
“გველებიც გარბიან”, აღმოხდა პოლკოვნიკს.
“მაგათზე მაგრა მე”. აქსუტუნდა რაჯა, “გველებს ვერ დაიჭირავ”.
“სად არის? სახლშია?” პოლკოვნიკს აღარაფერი დარჩა ფილტვებში.
“ეგრე გული პატარავდება”, დამჭკნარი ცხვირი დამალა მუჭში რაჯამ, “გული გაგიხდება ლეღვისხელა. ერთი ამოისუნთქავ და ამოაყოლებ. შეხედავ და აგე, ამ ჭაში ჩავარდა...”
ზაზას გაეცინა. პოლკოვნიკი შეეცადა გაეღიმა. ამიტომაც აღმოხდა:
“ბებერო”.

5.
ოდესღაც, აქ შეხმატკბილებით ცხოვრობდნენ გველები და ადამიანები. ადამიანები ბერები იყვნენ, ქვის უდაბნოში თორმეტი მონასტერი იყო. ცოდვილი მეფეები აქ გადაიცვამდნენ ხოლმე ჯვალოს და უცნობ ხუროთა მიერ მიუვალ კლდეებში გამოქვაბული სენაკებისკენ გასწევდნენ ერთადერთი ბილიკით - ამ ქვაბულების შავად მოღებული პირიდან გადმოშვებული ჯაჭვებით. ქვაბული ორასი იქნებოდა და იქ განდეგილი ბერები ელოდნენ ღმერთთან შეხვედრას. უდაბნოში გაიგონებდნენ ხოლმე ამ ჯაჭვების ჟღარუნს, მოწყვეტილ, უეცარ, წამიერ ხმას. ეს ხმა ამბობდა, რომ განდეგილმა ფოლადის ჯაჭვი მოხსნა ფოლადისავე პალოს და დაბლა გადმოაგდო. ანუ მას აღარ უნდოდა საკვები, რომელსაც ჯაჭვის ბოლოზე მობმულ კალათში ულაგებდნენ მონასტერში დარჩენილები. მაგრამ ეს ხმა ძალიან იშვიათი იყო. ზოგიერთი დაყუდებული თუ შეიგრძნობდა, წარდგომის ჟამის მოახლოებას, ამით მიანიშნებდა ხოლმე მონასტრებს, გაგეცალეთო.

უდაბნოში უყვარდა ხოლმე შემოვარდნა ცხელ და მოუღლელ ქარაშოტს, რომელიც ერეოდა კენჭებს და გველის კვერცხებს, დააქროლებდა ჰაერში და სულ სხვა ადგილას დაანარცხებდა.
ქარაშოტი ებრძოდა ჯაჭვებსაც - უტეხად ახეთქებდა კლდეებს და ამის გამო ბერები იტყოდნენ, ზარს რეკავდა ცაო.
მერე მონასტრები დაიცალა და უდაბნოს ერთ კიდეზე სატანკო ნაწილი ჩაბარგდა წყლის ცისტერნებით, საზაფხულო კარავ-აბანოთი და თოფ-იარაღით, ტანკებს ეადვილებოდათ უდაბნოში სვლა და ვარჯიში. ერთმანეთს ლულებს უღერებდნენ და გველების ბუდეებს ჭყლეტდნენ. ჯარისკაცები უამრავ უხსენებელს იჭერდნენ, ატყავებდნენ და ტყავისგან უეშმაკო სალდათურ სუვენირებს კერავდნენ. მაგრამ ერთხელ უბედურება მოხდა. ჭურვების საწყობის ახლოს მჯდომმა გუშაგმა დაინახა, რომ ზედ საწყობის კართან გველის კისერი წამოწეულა და თითქოს მთვრალიაო, ირხევა. ფეხები რომ ჰქონოდა, ადამიანი გეგონებოდათო, უამბობდა ტრიბუნალს.
ჯარისკაცმა ესროლა გველს და საწყობის კარს კი მოარტყა. საკვირველი იყო, თავად როგორ გადარჩა. შტაბში ეგონათ, რომ მეზობელმა ქვეყანამ ომი დაიწყო. უდაბნოდან წარმოუდგენლად შორს სარაკეტო შლუზებიც კი გაიხსნა. ნაწილი ლამის მთლიანად დაიწვა. მაიორმა ტურჩინმა მხოლოდ ტანკების გადარჩენა შეძლო. სხვა ვითარებაში ორდენსაც მისცემდნენ, მაგრამ ამჯერად პენსია აკმარეს.
სატანკო ბაზის ხელახლა შენება გაიწელა.
ამასობაში კი უდაბნოში მეცნიერებათა აკადემიამ ჩადგა სამსართულიანი სახლი, რომელსაც გველთსაშენი ლაბორატორია დაერქვა. ადგილს გველისმჭერთა ლაშქარი მოედო. მაღალყელიანი ჩექმები ეცვათ და ორკაპა ჯოხები ეჭირათ. ამბობდნენ, გველთსაშენი შხამს ყიდის გერმანიაშიო. გველისმჭერები ცდილობდნენ მთელი უდაბნოს უხსენებლები იმ სამსართულიან სახლში მოექციათ დთ თითქმის მოახერხეს კიდეც ეს ამბავი. მაგრამ მერე მეცნიერებმა და დარაჯებმა სმა დაიწყეს. გველისმჭერები ყოველთვის სვამდნენ, მაგრამ მეცნიერებს ხელფასი დაუგვიანეს და ვიღაც ოხერმა უდაბნოსკენ გამოჭიმული ელექტროსადენები მოიპარა. ამიტომ, სამსართულიანი სახლის მკვიდრნი სპირტის მარაგს შეესიენ. გველები კი წლობით ეძებდნენ ხვრელებს თავიანთ შუშის საპყრობილეებში.
გველებს მათსავ დედამ, ბუნებამ უშველა. სამასი წლის შემდეგ კი მიწისქვეშეთმა უდაბნო გაიხსენა და გველთსაშენი და მშენებარე ბაზა გვარიანად დააზანზარა. ამ ზანზარმა ჩალეწა შუშის ორმოცდაჩვიდმეტი ყუთი და გათავისუფლებული გველები წინაპართა უდაბნოში გახოხდნენ.
უკვირდათ უდაბნოს ამბავი, აქ როგორ უნდა დავბინავდეთ, სად დავიძინოთ და რა ვჭამოთო. ამიტომ კვლავ ადამიანების ძებნა დაიწყეს. მშენებარე სატანკო ნაწილში ვეღარავის მიაკვლიეს, რადგან მეცნიერებს საშენმასალაშემოლეული მუშებიც შეერთებოდნენ და უდაბნოს მეორე კიდისკენ გასწიეს, სადაც, აჰ, უკვე რამდენ ხანს, ყოველგვარ ლაბორატორიასა და ტანკებზე ადრე არსებობდა პატიმართა კოლონია, რომლისთვისაც მიწისძვრას მხოლოდ ძველი შენობები წაერთმია. უდაბნოს ზონაო, ასე უწოდებდნენ იმ ადგილს უდაბნოს კიდეზე.

6.

რაჯას თხრობა უყვარდათ. დაისვამდა ხოლმე ვინმეს შინ, წაიტეხავდა იმის პურიდან და ლაპარაკობდა. თხრობა დედის სიკვდილით იწყებოდა და სრულდებოდა მიწისქვეშა ამბებით. შუაში იყო თოთხმეტი გაქცევის ნამცეცები, თხრობისას რაჯა ჩლიფინებდა და ყოველდღე თითო სიტყვა ავიწყდებოდა. რაჯა უკვე სამოცდახუთისა იქნებოდა, ან სულაც ცოტა მეტისა, ორი კბილი შერჩენოდა და ძალიან ბევრი სვირინგი აჩნდა დამჭკნარ, წითელ მკლავებსა

და თეთრ, გალეულ მკერდზე. მარჯვენა ფეხს მიითრევდა, მარცხენა ხელს ვეღარ მოიხმარდა. სულ ორმოცდაორი წელიწადი გაეტარებინა ღობის იქით და სულ გარბოდა.
გაიქცეოდა და დაიჭერდნენ. ამიტომაც მოგროვებოდა ამდენი წელიწადი, თორემ ოდესღაც, როცა ანზორა ერქვა, მხოლოდ ექვსი მიუსაჯეს. გარბოდა და უმატებდნენ, ტუნდრა გაევლო, სტეპები, პურის ყანები. სხვებთან ერთადაც გარბოდა და მარტოც, უცაბედადაც. გარეთ იბნეოდა - მალევე იჭერდნენ. ბოლო შვიდ წელიწადს უდაბნოში იყო, სამი წელიწადი დარჩენოდა, მაგრამ ეს არ ადარდებდა.
თამაში უყვარდა და ზარში პატარა კონით ერთობოდა. ტიტველიც დარჩენილა ხოლმე.
როცა ზონაზე ახლები მოიყვანეს, რაჯა თავისთვის ჩაცუცქულიყო კედელთან. მან დაინახა მაღალი, გამხდარი ბიჭი და იკითხა, რაზე ზისო.
“დეიდის მოკვლაზე, მიუგეს სწრაფად.
“ყველაფერი იცვლება”, თქვა რაჯამ, “რა მკვლელები წამოვიდნენ”.
“ყველაფერს იპარავს”, უთხრეს, “წინდაწინ ბოდიშს იხდის, რო ვერ ითმენს. ღმერთზე იცის რამეები. ბევრი იცის. მაგარი ნასწავლია...”
“კრისა ყოფილა. კაზიოლებში მიდის?”
“წინდაწინ რო შემოდის, ბოდიშს ამბობს. აიღებს, მერე შეიძლება უკანაც დადოს. ხო არი ეგეთი ავატყოფობა, ზანზიბარა, ეგრე არ არი?”
ზანზიბარა იყო შავგვრემანი, მჭლე გინეკოლოგი, რომელსაც ორი წლის წინათ მთავარი ექიმისთვის დიდი საფერფლე დაერტყა თავში, ერთი წლის წინათ კი აქეთ გადმოეყვანათ სხვა კოლონიიდან, რადგან იქ რეჟიმის უფროსისთვის დაერტყა ასევე საფერფლე და ხელახლა გაესამართლებინათ, რადგან რეჟიმის უფროსს მეხსიერება წართმეოდა.
“კლეპტომანია ქვია”, თქვა და გადააფურთხა.
“და გრეხი არ არი?” გაოცდა რაჯა, “პირველად მესმის ეგეთი ლაპარაკი. კრისობა ავატყოფობა ყოფილა. იფ, რა კოხტაა?”
“რობერტა დალაქიშვილი ელაპარაკა ბალნიცაზე. რობერტას სიტყვაა ავათ არი, ნასწავლი ბიჭია, არ მოუკლამს. რობერტას სიტყვაა, თუ ფაქტზე არ დაიჭიროთ, არ ჩაქოლოთ. იყოს თავისთვის. ისე ცემო, რა? ცემით გიჟებს ვერ მოარჩენ”.
მერე რაჯა გამოელაპარაკა ზაზას.
რაჯა კამათლებს ათამაშებდა დამსკდარ თითებში.
“პატარაზე ვითამაშოთ”, ეუბნებოდა ზაზას.
“არ ვთამაშობ. არ ვიცი”.
“რა ცოდნა უნდა? გააგორებ, დავთვლით”.
“არ ვიცი”.
“ზარი არ იცი? გადაფურთხება ვითამაშოთ. ვინც შორს გადააფურთხებს”.
“ღმერთი კრძალავს თამაშს. შენ დაგიჯერო და ღმერთს არა?”
“ღმერთი რატო კრძალავს?”
“მოტყუებაა”.
“მერე შენ უჯერებ?”
“აბა, შენ დაგიჯერო?”
“ბებერი საწყალი ქალი როგორ მოკალი, ბიჭო?” - მიზეზს მიადგა რაჯა, -
“ყოველდღე საცემი ხარ და იცემები გამოხარშული ტაბურეტკით”.
“არ მომიკლავს. დავამტკიცებ, შენთან არა, ქურდთან...”
“დავაი, დაამტკიცე”.
“შენ დაამტკიცე, რო მე მოვკალი”.
“მე რა დავამტკიცო. საბრალდებო დასკვნა ხო არი?” დაახველა რაჯამ.
“გამომძიებლის გჯერა? მოსამართლის გჯერა?” ჰკითხა უცებ ზაზამ.

რაჯამ სიგარეტს მოუკიდა და გაიფიქრა: “ჭკვიანია, ვირიშვილი”. რატომღაც მასლაათის გაგრძელება დაეზარა, მარჯვენა ყურიდან კვამლი გამოუშვა და უთხრა:
“ეგ შეგეშალა, მარა ჩვენში დარჩეს. ნასწავლი ბიჭი ხარ, აბა, დამანახე, ღმერთი სად არი?”
“საწვალებელია. შენისთანებს არ ენახვება”, გაეცინა ზაზას.
რაჯას კი უცებ გამოუკეთდა გუნება: “მე შენ მოგიყვები ჩემ ამბებს. რაჯა ვარ. პრესაში გაგატარეს სლედსტვიაზე?”
ზაზას ისევ გაეცინა. რწმენისა არაფერი ეფიქრა, მაგრამ სახარება როგორღაც თავისით მოშველებოდა. იჯდა და სახარებიდან ლაპარაკობდა. უბირ პატიმრებს ერთგვარი შიშიც კი გასჩენოდათ, ემანდ მეხები არ მოიყვანოს ჩვენ თავზეო.
ზაზა ჭკვიანი იყო.
იქ ქურდად ბუხია ეჯდათ. მასთან ილაპარაკეს:
“უპატრონოა”.
“რა უპატრონო, დეიდაშვილი ჰყოლია ამერიკაში”.
“მერე ის ამას არ მოხედავს”.
“ვათამაშებ და ნახავ, თუ არ მოხედავს. მთელი იმის ფულები აქ წამოვა”.
“რო მოეხედა, ამან დედამისი მოკლა. არ ჩამოვიდოდა?”
“ამის მუხლი ისეთია, რო სულ უნდა უბარტყუნო და წეწო. არ წამოვა? გაკატავდება”.
“ჰა, გაკატავდა, მერე? იცხოვრებს. მაინც სუ ღმერთი, ღმერთიო. ეგრე რო კაცი დაიწყებს, იმისთვის სულერთია, კაზიოლებშია, ფუფლოშია, პატიოსანია თუ... შენ რას დაუძახებ, ის თავის ღმერთს იტყვის”.
“სულერთია, შკოდნიკია. იპარავს. კრისაა. ეკუთნის”.
“სიტყვა მოყვება”.
“მოყვება და დაიჭიროს... დაიჭერს?”
და ბოლოს ბუხიამ თქვა: “რობერტას სიტყვაა. პატიოსანი ბიჭია. შეეშვით. თავისი იცხოვროს. მიაწვეს პატიოსანს. მიაწვება, არ შეხედო. არ მიაწვება. პრესაში, აბშიაკში მოვიდეს. ოთხ ლარს ვერ იშოვის თვეში? არ თამაშობს, არ ითამაშოს. ნასწავლი ბიჭია. შევხედოთ. შეეშლება, დაისჯება. დაკარგვაზე არ დაპრესოთ, მარტო ფაქტზე. დაინახავ აიღო, ჩაქოლე. არა? არა”.

7.

“ეს არი მიწა. მიწა არი ზემოთა და ქვეშ. მიწაზე ყოველთვის ცხოვრობენ კაი ბიჭები. არიფები მეტი იყვნენ. თავიდან ისე დაიწყო, რო მორევაზე იყო. არიფები ბევრია, კაი ბიჭები ცოტა. არიფობა რაშია? არიფმა იცის, რომ არიფობიდან ბოზობამდე ერთი ნაბიჯია. კაი ბიჭებს დაერიენ და კაი ბიჭებმა ბოლომდე იომა და ვინც გადარჩა ამ შუხურობაში, ცალკე გავიდა. ცალკე გავიდა და იმათთვის არიფობამ კარი დაკეტა. წყალს არ დაალევიებდა, პაპიროსს არ მიაწოდებდა, არ ეთამაშებოდა.
ერთხელ, ზამთარში, ძალიან მოშივდათ კაი ბიჭებს.
შეშა არ იყო, წყალი არ იყო და ხორცი არ იყო, რო ძილისწინ ეჭამათ. არიფები მუშაობდენ და ყველაფერი ქონდათ შკაფებში. ამ შკაფებზე ბოქლომი ედოთ. ძალიან რო მოშივდა კაი ბიჭებს, ადგა და არიფების სახლებში შეპარვა დაიწყო. ბოქლომები გელებით დახსნა, იქიდან პურები ამოალაგა და ერთი ორი შარვალი და ჩაის ჭიქაც გამოაყოლა.
ასე გაჩნდა კაი ბიჭებისგან ქურდები.
არიფებმა კიდე კომბლები აიღო, ქუჩაქუჩა დადიოდნენ, ქურდებს იჭერდნენ და ორმოში სვამდნენ.
ქურდები კიდე გარბოდენ, იმიტო რო, ამ ქვეყანაზე გაქცევაა მთავარი.

მიწის ზევით რო არ აყენებდენ, ქურდებმა თქვეს, ჩვენი ქვეყანა მიწის ქვევით უნდა იყოსო. იმათ ერთხელ იმუშავეს და დააგინეს, ვინც ამის მერე იმუშავებს, არიფი იყოს, არაქურდი გახდესო. ამიტო, სადაც არიფების ქალაქია, მის ქვეშ ყოველთვის არი ქურდების ქალაქი. დღეს ეს ამბავი დაკარგულია, იმიტო რო, ერთხელ მიწისძვრა მოხდა და სულ ჩაინგრა იმათი ადგილები – გვირაბები ჩაუკეტა ქურდებს. ვინც ქვემოთ დარჩა, იქავე მოკვდა და ამის მერე ქურდებმა მიწის ზევით დაიწყეს ცხოვრება, ოღონდ დააგინეს, არ შევალთ სახლებში არიფებივით და ოჯახები არ გვეყოლებაო. ჩვენი სახლი ორმოში რო ჩაგვაგდებენ ის იყოს და თუ არიფების ქალაქში მოგვიწია ღამის გათევა, მარტო ქვრივი ქალების სახლებშიო. ორმოდან გამოვიდა ციხე, ქვრივი ქალის სახლიდან კიდე ხავერა.
მიწისქვეშ რო იყო იმათი ქალაქები, იმის ერთი-ორი გამოსასვლელი დარჩენილია. ადრე ქურდები რასაც მოიპარავდნენ, ყველაფერი მიწისქვეშ ქალაქებში მიჰქონდათ და ერთად ჭამდნენ და ინახავდენ. მერე ვისაც დაჭირდებოდა, აიღებდა და მოიხმარდა. ეგრე გაჩდა აბშიაკი.
მე ვიცი ერთი გამოსასვლელი, სადაც ქურდების ქალაქი იყო”, - ასე ჰყვებოდა რაჯა, რომელიც აღარ ჰგავდა რაჯ კაპურს.

8.
“ჩემი ჯდომა არ შეიძლება”, ამოიქშინა პოლკოვნიკმა და სველი ქურთუკი შემოაფინა სკამს.
გაზაფხულობით უდაბნოში წვიმდა ხოლმე. ზონაში კი ცისტერნებს ახდიდნენ თავს და წყლის მარაგის შევსებას ლამობდნენ. პირველი წვიმისას პატიმრები ტანთ გაიხდიდნენ და ეზოში გამორბოდნენ.
ამაში პოეზია არ იყო, უბრალოდ, აბანო თვეში ერთხელ დაენიშნათ - იმ დღეს, როცა უდაბნოში წყლის მანქანები შემობღუილდებოდნენ. წვიმა კი ასველებდა. მეტი არაფერი.
“ბანაობის დროა”, თქვა ვიღაცამ.
ზაზამ სწორედ მაშინ მოავლო ხელი პოლკოვნიკის უბის წიგნაკს. წიგნაკში გოგოს სურათი იდო. თავიდან პოლკოვნიკის შვილი ეგონა, მაგრამ გაახსენდა, რომ პოლკოვნიკს შვილი არ ჰყავდა.
პოლკოვნიკი არასოდეს ახსენებდა თავის ცოლს პირდაპირ, მაგრამ ქშენით იტყოდა ხოლმე:
“სად არის? სად არის? რას ჭამს?”
ზაზამ კი გოგოს სურათს უყურა და მერე წიგნაკი უბეში ჩააბრუნა. ამიტომ ხუთი ღერი “კონგრესი” ამოიღო შიდა საგუშაგოს მაგიდაზე გულუბრყვილოდ დაგდებული კოლოფიდან და რაჯას აჩუქა.
მოლაპარაკე პოლკოვნიკს მდუმარე პოლკოვნიკი ჯობდა.
მდუმარე - გაუტეხელ, ამაყ კაცს ჰგავდა. მოლაპარაკე - ერთ დიდ, ნაპრალიან კედელს, ან შუაზე გაჩეხილ მორს. თითო ამოოხვრაზე ნაპრალი თითო გოჯით ჩაიხეოდა ხოლმე.
პოლკოვნიკის ამბავი ყველაზე საშინელი იყო მთელს უდაბნოში, მიწისძვრაზე საშინელიც კი. ვინაიდან მიწისძვრას შეიძლება გადაურჩე, ამ ამბავს კი – ვერაფრით.
პოლკოვნიკის ამბავს სხვები ყვებოდნენ. თვითონ ერთხელ თქვა და მეორედ რომ ეთქვა, მოკვდებოდა.
ბუხიამ კი, ქურდმა გააგებინა:
“შეეშვით. იმ ქვეყნის კაცია”.
ბუხია ძველი ქურდი იყო, ხალხის ბედზე ფიქრი და ამოცანების ამოხსნა უყვარდა.

9.

პოლკოვნიკს მამა მაშინ გარდაეცვალა, როცა მატარებლების სვლის გამართული განრიგი არევას იწყებდა. მატარებელი ოთხ დღეს მოდიოდა და ძლივს ჩამოუსწრო გასვენებას. მაშინ პოლკოვნიკი არ იყო: არამედ კაპიტანი იმ არმიისა, რომელიც თანდათან იშლებოდა.
შორეულ ჭაობებთან იდგა სამხედრო ნაწილი, რომელშიაც კაპიტნობდა და რომელშიაც ზურგსუკან "კაცოს" ეძახდნენ, პირში კი, ოთარ ნიკალაევიჩს. დაკრძალვის შემდეგ პოლკოვნიკი ფანჯრიდან იყურებოდა და ხედავდა დროშებით მოარულ ხალხს. ის მიხვდა, რომ ჭაობისპირა ნაწილში აღარ დაბრუნდა. ამ მიხვედრას ისიც დაეხმარა, რომ დაკრძალვის მესამე საღამოს ორი კაცი ეწვია შინ.მათ აუხსნეს, რომ დღედღეზე შედგება დამოუკიდებელი სამშობლოს ეროვნული გვარდია და მთელს ერთ მეექვსედზე დაგზავნილია დეპეშები იმ ოფიცერთა სახელზე, ვისაც სურს მშობელ ქვეყანას ემსახუროს და არა აღარარსებულ ერთ მეექვსედს.
"კაპიტანი ჩვენთან პოლკოვნიკის წოდებას მიიღებს", – უთხრეს ამ კაცებმა.
"ეგ როგორ გამოვა?" – გაუკვირდა პოლკოვნიკს და გახდა პოლკოვნიკი.
შემდეგ ტყეში მოუწია ყოფნამ, რადგან ჯერაც არსებული ერთი მეექვსედის მთავრობა ბანდიტად თვლიდა. შემდეგ ბატალიონებს მიუძღოდა წინ, როცა ახალმა მთავრობამ სააღლუმოდ გამოიწვია ტყიდან და ძველი შენობების კომენდანტობა დააკისრა. შემდეგ მოხალისეთა ასეულს მეთაურობდა, როცა რომ ეს ახალი მთავრობა უნდა ჩამოეგდოთ და ჩამოაგდეს კიდეც. შემდეგ, სულ ახალმა მთავრობამ ახალგაზრდა სამშობლოს ჩრდილოეთში გაგზავნა რამდენიმე აჯანყებული სოფლის ასაღებად და ის იყო, შეტევა უნდა წამოეწყო, რომ უკან გამოიწვია და შტაბში გაამწესა კარგ საქაღალდე თანამდებობაზე. შემდეგ, შტაბი მიატოვა და ქვეყნის დასავლეთში გასწია ახალი ფრონტის ხაზისკენ, სადაც ყველაფერი წაგებული იყო, მაგრამ მაინც არ დაიშალა და მთელი ამ ამბების შემდეგ დარჩა სამი ჭრილობა, ერთი მედალი და ერთი ორდენი. ყოველდღიურ ჯილდოდ კი მიიღო ომში გამწვევი პუნქტის უფროსობა. საბრძოლო საბუთები გაუფორმა ახალწვეულთა რისვაივაგლახით შედგენილ ასეულს და სრულ ორ კვირაში შეიტყო, რომ ასეულიდან გადარჩა მხოლოდ ის თექვსმეტი ყმაწვილი, რომელმაც დეზერტირობა მოახერდა. დალია არაყი, დაწერა რაპორტი და პოლკოვნიკის წოდებით გამოეთხოვა სამხედრო სამსახურში.
მარტო დადიოდა ქუჩებში და სწორედ იქ დაინახა გოგო, რომელიც ასევე მარტო დადიოდა. ზამთარი იყო და გოგოს ცისფერი, ნაქსოვი ქუდი ეხურა. სულ მარტო იყო და პოლკოვნიკმა იფიქრა, რომ ყველაფერი შეიცვლება, იქნება სითბო და კედელს დაეცემა პატარა გოგოს ჩრდილი, სახლი აღარ იქნება მხოლოდ ერბოკვერცხი და ტელევიზორი "ელეკტრონ-680 კ". პოლკოვნიკი ორმოცდაერთი წლისა იყო, გოგო ცხრამეტისა და სულ მარტო.
10.
იმ გაზაფხულის წვიმებში რაჯას ღმერთი გააახსენდებოდა ხოლმე. ლავგარდანს შეფარებული, კედელთან გემრიელად ჩაცუცქული ჰკითხავდა ზაზას:
"შენ იცი, რო მე ზურგზე სამი ანგელოზი მახატია?"
ვინ არ იცოდა.
ოდესღაც, ბარე ოცი წლის წინათ, რაჯა თორმეტ სხვა ტუსაღთან ერთად გაქცეულიყო. ქურდები იყვნენ და სხვებიც და მალევე დაიქსაქსნენ, რამეთუ, არ ეგების ლტოლვილთა ერთად სვლა. რაჯა ზაფხულის მინდვრებზე მიდიოდა, გვირილათა შორის, და ტყიან ადგილს ნატრობდა.
მინდვრის კიდეზე, ფიცრული რომ დაინახა, მოსწყურდა. მაღალ ბალახში სკები არ ჩანდა და სიმართლე ითქვას, რაჯამ არც იცოდა, რომ არსებობს ასეთი ხელობა, მეფუტკრეობა.

იმ ბანაკიდან რაჯას გამოეტანა ერთი დიდებული საციხო დანა, ნამდვილჯიგანურ იერისა და რახან მოსწყურდა, აღარაფრისა შეშინებია: ჯიქურ წავიდა ფიცრულისაკენ.
იქ კი, პარმაღზე სამი დედაკაცი ჩამომჯდარიყო. აჰ, რაჯას ახლაც ახსოვს იმათი დანახვით გამოწვეული გულისფანცქალი.
სამივენი ლოყაწითელნი იყვნენ, ფუმფულა-ჩამრგვალებულნი, თეთრი თავსაფრები წაეკრათ თავზე და ხითხითებდნენ, ხითხითებდნენ გემირელად: ისე, რომ სამივეს მოუჩანდა ორ-ორი ოქროს კბილი.
რაჯამ წყალი ითხოვა და იმათი მუხლისთავები სამუდამოდ აღებეჭდა გონებაში.
იქ დაიჭირეს, მეფუტკრეებში, გაქცევიდან სამი დღის თავზე. მეფუტკრეების ქმრებმა ამხილეს, რახანღა ორ დღეს ელოდნენ ცოლებს, მაგრამ იმათ ხელი ვეღარ შეუშვეს ამ დამშეულ კაცის გზნებას და რიგრიგობით, მოუღლელად და ჯიუტად შედიოდნენ ფარდულში, სადაც თაფლით გაწეპილი რაჯა მეფობდა.
მეორე საღამოს რაჯამ თავისი ნამდვილად ჯიგანური დანით დაიფრინა გამრჯე, ოღონდ კი არყით ამღვრეული ქმრები და თავის წილ სამოთხეების დამნახავმა, ფეხი ვერ მოიცვალა სირინოზთა ბუდიდან.
“ნამდვილ ანგელოზებთან ვცხოვრობდი”. ამბობდა რაჯა, “შენა გგონია, ანგელოზი გამხდარი უნდა იყოს? იმდენი ხორცი ესხათ, ბიჭობაში ბაზარში არ მინახავს”.
ახალი სასამართლოს დღეებშივე, რაჯამ სვირინგი მოიფიქრა - სამი ანგელოზი მეხს ესვრის გველებს.
“აი, ჩემი ანგელოზები”, პერანგს წამოიფარებდა თავზე. “სულ გველები მომდევენ. ეხლაც გველები მოუშვეს. ნამდვილი გველი ჯობია კაცივით ჩაცმულს”.

11.
მიწა რომ იძრა, პოლკოვნიკის გარდა ყველა გარეთ გამოვარდა.
ხედავდნენ, როგორ ცახცახებდა კედლები და ჭრიალებდა კოჭები. კოლონიის უფროსი მანქანაში იჯდა და იქიდან კარგახანს ვერ გამოიყვანეს, დაქოქილი “ვილისიდან” ბრძანებდა რაღაცებს. მიწისძვრამ ორი სადარაჯო კოშკი წამოაქცია და იქ მჯდომი გუშაგები დალეწა.
იმ ღრიანცელში და ჰაერში გაბმულ სროლაში, რითაც უფროსობას პატიმრების დაშოშმინება სურდა, რაჯამ ზაზას ჩაჰყვირა:
“ღმერთის გამოგზავნილია?”
“ყველაფერი ღვთის ნებაა”, მიუგდო ზაზამ.
“და გაანგრიოს პირველი პოსტის ჭიშკარი. რამდენი სანთელი დაჭირდება?”
ზაზას გაეცინა. ხმაურში არ ისმოდა მისი სიცილი.
“ხო, პირველი პოსტი, თორე მერე ჭაში ვიქნები ღამემდე, ღამე კიდე გამქცევის ამხანაგია”, წაიბურტყუნა რაჯამ.
ზაზა შეშინდა.
“ჩაწექით, ჩაწექით!” ყვიროდნენ კაპიტნები და იქაურობა ზანზარებდა. პატიმრები სხდებოდნენ, მერე ისევ დგებოდნენ, მერე კვლავ ისმოდა სროლა. ეს ზანზარი რომ მორჩა და მოედანზე ჩაცუცქული ბრბო რომ ჩაჩუმდა, მაშინ გაჭრიალდა მედპუნქტის კარი და იქიდან პოლკოვნიკი გამოვიდა. თითქოს ახლა გაღვიძებოდა, თვალებმოჭუტული იყურებოდა ამათკენ.
“ნამტირალევია”, გაიფიქრა ზაზამ.
“აგე, ვის უნდა პაბეგი”, თქვა რაჯამ და დაუძახა: “გათენდა, უჟე დილაა!”
ეს იყო ბოლო ღამე, ზაზას რომ ეძინა. მეორე საღამოს ნახა, როგორ ჩამარყუჟებოდა მაგიდის ფეხს შავი და პრიალა გველი.
კოლონიის უფროსმა რვა გოგირდის ხრჩოლება ბრძანა. არ უშველა - ყველგან ნახულობდნენ. პედერასტების ბარაკში უკბინა ერთს და მოკვდებოდა,

ამხანაგს რომ არ ამოეწოვა. იმავე საღამოს ის ამხანაგი მოკვდა, კბილი ჰქონოდა გამოხრული და სისხლი მოწამვლოდა. ქალივით მოთქვამდა ესა, გადარჩენილი და დილით ბადრაგი გაყვა და დამარხეს პედერასტებმა უდაბნოში.
ბუხიამ კი თქვა:
“ეგ გოგირდის სუნი ქარს მიაქ. უყურეთ და მეერიდეთ. ჯოხი დაიჭირეთ”.
მორიგეობა დაწესდა.

12.
“სვედანიაზე გელოდებიან”, უთხრა ცვლის უფროსმა ზაზას.
ზაზა უპატრონოდ იყო უდაბნოში, ზაზაც, პოლკოვნიკიც. დაზგებთან წვალობდნენ რაღაცებს, გროშები იყო. რაჯა გაუწვდიდა ხოლმე პოლკოვნიკს სიგარეტს. ისიც, კი არ მოწევდა, შეჭამდა.
“ნასოსია, კაცი კი არა”, ამბობდა იმერელი პატიმარი, “დეინახე რავა ჩაკლა სეკუნდში?”
“სხვისას ითვლი? შენი პირიდან როგორ გამოდის?” უტევდა რაჯა, “გააღე ეგ პირი აბა კიდე, ჩაგილაგო რამეები”.
“ჰემე”, ეცინებოდა იმერელს, “თვრამეტი უგონი მაქ გაკეთებული. ჩემ სათქმელს ყველგან ვიტყვი. გდიხარ აქანა...”
“წამო, ჰა, თქვი...” წამოდგებოდა რაჯა, “წამო, რა გაქ სათქმელი”.
“ჩეფირი დავლიე ბაბუა”, ეცინებოდა მეორე იმერელს, “საქმეები გაგვიკეთებია ჩვენც. სუფთად გვიცხოვრია ჩვენც. ქურდი ბიჭები ვართ ჩვენც”.
“წამო ჰა, ქურდი ბიჭები. წითელი პლატოკი რო გაქ ჩაფენილი. წამო, სიტყვა ვთქვათ”, არ ცხრებოდა რაჯა, “ეს თქვენ, ზნაჩით, მეჩვიდმეტე რესპუბლიკას აწვებით?”
“წამოდი, და ვინც კიდე არ წამოვიდეს”, დგებოდა პირველი იმერელი.
“მინახია შენისთანა დამუნჯებულები ატსტოინიკში”, ხითხითებდა რაჯა, “ხო აგყარეთ ფინთებივით?”
ზაზას გაუკვირდა, ვის უნდა გავხსენებოდიო.
პატარა ოთახში კოკა იჯდა და ფეხებშუა დიდი, თეთრი ცელოფნის პარკი ედო. გვარიანად მოსუქებულიყო.
“ჩამოხვედი?” მეტი ვერაფერი ჰკითხა ზაზამ და გაწითლდა.
“ადვოკატი ვიქირავე”, თქვა უცებ კოკამ, “გაგიყვან ამ საზიზღრობიდან... გაგიყვან. ნასამართლეობას მოგიხსნიან და ვიზას გავაკეთებთ. წამოხვალ...”
ზაზას გაეცინა. და მგონი კიდევ უფრო გაწითლდა. რაღაც გაეჭედა ცხვირში. თვალებიდან წამოსული გზადაბნეული ცრემლი.
“ყველაფერს მოვასწრებ. ერთ თვეში”, ამოიოხრა კოკამ, “რა საზიზღრობაა...”
“ფეხი გაუსრიალდა”, ძალიან გაუჭირდა ზაზას, “სამზარეულოში ვიყავი, წყალი მომიტანეო”.
კოკა თეთრი ცელოფნის პარკს დასცქეროდა.
“კარგი”, თქვა ხმადაბლა, “კარგი. რა ახსნა მინდა? შენ აცოცხლებდი და შენ ხომ არ?.. უჰ”, და წამოდგა, “ეს ხო ქვეყანა არ არი. საღორეა”.
“სად მუშაობ?”
“დიდი კონცერნია, ქათმის ფილეს ამზადებს. ახლა არკანზასში ვარ. ჩამოხვალ, ნახავ...?
“სად ჩამოხვალ?” ისევ გაეცინა ზაზას.
“ბავშვი შეგვეძინა, ბიჭი, ლაიზა მაგრა წვალობს”.
ზაზამ ისიც არ იცოდა, ლაიზა თუ არსებობდა საერთოდ.
“დათო. დევიდი. იქაურობისთვისაც მოხერხებულია”, გახალისდა კოკა, “ იცი რა ადვილია იქაური პასპორტით ცხოვრება? ამერიკალი ხარ, მორჩა... ხო, ისა. ტაქსი მელოდება” და წემოდგა, “ეს ისა, აი, რა ვიცი. აქ ეგრეაო და ვიყიდე, რა ვიცი. აი, და ესა...” ფულის გაკეცილი შეკვრა ამოიღო.

“არა”, თქვა ზაზამ, “რათ მინდა?”
“აი”, კოკამ საწოლზე დადო შეკვრა, “წავედი, ისა...” და ერთმანეთს გადაეხვიენ, “მოვალ. გამოგიყვან აქედან. ეს ქვეყანა არ არის. ამათი...”
ოცდახუთი დღის შემდეგ კოკა კვლავ მოვიდა. კვლავ თეთრი ცელოფნით.
“არ გამოდის... დრო უნდა... ამათი... გამაწამეს. ჰელსინკი ვოჩს მივწერ. პატიმართა ასოციაციაში ვიყავი. მალე ადვოკატი ჩამოვა და გნახავს. ზეგ მივდივარ. სამსახური. ლაიზა... ბიჭო, უხ... კლდეა ეს სასამართლო. იქნება... ხო, სახლი გავყიდე. აქ რა ჯანდაბად... შენ წამოხვალ”, ხელი ჩაიქნია და წამოდგა.
“მე რო ჩამოვალ, უკვე თავისუფალი დამხვდები”, ისევ დადო ფულის შეკვრა საწოლზე. გადაეხვიენ, წავიდა.
“სახლის გასაყიდათ იყო ჩამოსული”, განმარტა რაჯამ, პოლკოვნიკს თვალი ჩაუკრა და ვერაგულად დაურთო:
“ღმერთის ნებაა. ეგრე არ არი, მღვდელო-ჯან?”
ზაზას არ უპასუხია.
“ისე, პერედაჩი ორჯერვე ცარსკი – ოღონდ სუხოი. ქალი არ არი სახლში, რო გეეკეთებინა?”
“ქალი ამერიკაშია”, თქვა ზაზამ.
“ნეტა ამერიკელის გაკეთებული მაჭამა. იქაც არი ბალანდიორები?” იკითხა რაჯამ. “ეს შენი ბიძაშვილი კიდე ჩათლახია. თან ჯერავს, რო დედამისი არ მოკალი, თან სულ კიდია, რო დაგსვეს”.
“რა ქნას?” ჰკითხა ზაზამ.
“გადაიხადოს... მე რო მყოლოდა ამერიკაში ბიძაშვილი, პაბეგი დამჭირდებოდა??? ეეე, ბავშვი ხარ. შენ ვინ დაგსვა?”

13.
კოლონიის უფროსი ისეთი კაცი იყო, ყოველდღე რომ გეყურებინა, სახეზე მაინც ვერ დაიმახსოვრებდი. კაბინეტი ძველებური ჰქონდა, ღარიბული. ძველი დროის უფროსების დარად, ეს კაბინეტი ჩვეულებრივ ოთახად მიაჩნდა და ლენინისთავიანი სიგელებიც არ ჩამოეხსნა კედლებიდან. ფორმის მწვანე, ოფლით ჩამუქებული პერანგი გადაეღეღა და უდაბნოური წესით, სველი ცხვირსახოცი ჩაეფინა საყელოსთან. მის მაგიდას ეტყობოდა, რომ ძალიან ბევრს ეწეოდა.
“დაჯექი”, უთხრა ზაზას, “აგე, მაცივრის წყალი, აგე სიგარეტი”.
ზაზამ ერთი ღერი ამოიღო და სამი ამოაყოლა.
“შენ იცი, რო შენ აქტიროვკაზე ჩალიჩი შეიძლება?” ჰკითხა უფროსმა.
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“კი. შეიძლება. შენ აქ ყველაზე ისეთი ავატყოფი ხარ. ყველა მორჩება, შენ სულ ავათ იქნები”.
“ბენდუქას კიბო აქვს”, თქვა ზაზამ, “სიმონა ჭლექიანებში გადაიყვანეს. გვრიტიჩას ფეხი ულპება. ზანზიბარა უვლის”.
უფროსს გაეცინა.
“ეგ ცხოვრებაა. ზონის ხალხია. შენ ხო არა ხარ ზონის კაცი? ამაზე ფიქრი შეიძლება. იფიქრე შენ და მეც ვიფიქრებ. მე დღეს აქ ვარ, ხვალ შეიძლება უფრო მაღლა ვიყო. ალალად მოგეხმარები”.
“რა ვიცი”, ოთახი მოათვალიერა ზაზამ.
“აქ ეგეთები არ იყოს... აბა, რა არი მოსაპარი?” ჰკითხა უფროსმა.
“არა, ისე შევხედე”, გაუღიმა ზაზამ.
უფროსმა ქაღალდები მოქექა მაგიდაზე და ჭუჭყიანი რუხი საქაღალდე გამოაძვრინა. “აგე, ვათვალიერებდი და... დიპლომიანი კაცი ხარ, არქიტექტორი... ეხლა მე რა ვიფიქრე. ეს ნახევარი ზონა ხო დაგვაქცია თავზე ამ მიწისძვრამ. ამის ამშენებელი სახელმწიფო არ არი. ეხლა მე რა ვიფიქრე, შენ რო კოხტათ გამიკეთო ამის პროექტი, როგოც იყო ისე და მე ჩემი ხოდით

ნელ-ნელა მივყვე, შენ დაგნიშნავ სამუშაოების უფროსად. ეს სულ ძველი დაინგრა, რუხაძის დროის. გააკეთებ ამას. ჩამოვა ტელევიზია, ამბავი, ეს ეკლესიაც გვერდზე. ეგ შემიძლია. ამის პარალელურად კიდე აქტიროვკაზე ვიმუშავებთ. ჰა, როგორია?"
"რა ვიცი", წამოდგა ზაზა.
"იფიქრე. შენთვის კაია, ჩემთვისაც. გელოდები..."
"კარგით, ვიფიქრებ", ზაზამ კარი გამოიხურა, მაგრამ უცებ შეტრიალდა, შეაღო და თქვა: "ვიფიქრე. ციხე როგორ ავაშენო? სადაც ვზივარ, იმის კედლები ავაშენო? სისულელეა. სხვა ნახეთ..."
"მე კი ვნახავ სხვას, შე ავატყოფო", გამწარდა უფროსი, "მარა შენ ვერ ნახავ ვერაფერს ვერასდროს".
ზაზამ მხრები აიჩეჩა.

14.
პოლკოვნიკი დიდხანს ეძებდა ფულს ცოლის გერმანიაში წასაყვანად. ის ფიქრობდა, რომ უნდა იბრძოლოს. დიდ, საზარელ ომში ჩაბმულიყო. ოთხმა პროფესორმა თქვა, უნდა წაიყვანოთო. მეოთხემ კლინიკის მისამართიც მისცა. კიდევ მეტი, დაუზარელი მიმოწერა გააჩაღა კლინიკასთან, საიდანაც ამცნეს - თვრამეტი ათასი დოლარი გადმორიცხეთ ჩვენს ანგარიშზე და ავადმყოფიც ჩამოიყვანეთო.
რატომ? სწორედ წლის თავზე, ასეთი ვერაგი, დაუნდობელი, მჭამელი დაავადება. ასე უცებ. პოლკოვნიკი გრძნობდა, რომ ამ პატარა, საბრალო, ჩამომდნარ გოგოსთან ერთად დასრულდებოდა ყველაფერი.
პოლკოვნიკმა ოროთახიანი ბინა ერთოთახიანზე გადაცვალა და ექვსი ათასი დოლარი მოიპოვა. ვიღაცამ ოთხასი დოლარი მოიტანა, ვიღაცამ ორასი, ვიღაცამ სამას ორმოცდაათი. ძმები იყვნენ - რაც შეეძლოთ... ერთმა ფრონტზე დაბრმავებულმა თანამებრძოლმა ათასხუთასი დოლარი იშოვა ინვალიდთა საბჭოში. დრო ცოტა იყო. უფრო სწორად, რა დრო? სიცოცხლე იყო ცოტა და პოლკოვნიკმა მოძებნა ერთი ძველი ნაცნობი, რომელმაც ოდესღაც პოლკოვნიკობაზე დაითანხმა. დიდი ძებნა არც უნდოდა, მრავალჯერ დაენახა ქუჩაზე დიდ ვერცხლისფერ მანქანაში მჯდომი. ჯარისა ისიც აღარ იყო, ოქროს სათვალე ეკეთა თავადაც ოდესღაც პოლკოვნიკს და ერთ კარგ ქუჩაზე ედგა თავისი "სუპერ ექსპრეს კომპანის" ოფისი.
ძმურად მიიღო, თეთრ კედლებში, ყავა და ორანჯი იმწუთას შემოიტანეს. პოლკოვნიკს ხმა უთრთოდა, მაგრამ მაინც ამოთქვა, ხუთიათასი დოლარი... დიდხანს ხვნეშოდა და ეწეოდა "ვაისროის".
ძველი ნაცნობი და თანაპოლკოვნიკი შეძრა ცოლის ამბავმა. სულ ნიკაპზე ისვა ხელისგული და ალალად მოიწყინა. მერე მოსდგა და ლანძღა პოლკოვნიკი, რა გამოხვედი ეგეთი უჯიშო და უხიაგი, დაგვეკარგე, დაგვემალე, სად დადიხარ, რას აკეთებ, ერთი მორჩეს ეს შენი ცოლის ამბავი, მოგათრევ და აი, აქ, გვერდზე მოგისვამო. ფულიო, ფული ეხლა ჯიბეზე არა მაქვს, ბანკებიც უკვე შეწყვეტენ ოპერაციებს, ხვალ ობიექტზე გავდივარ და ზეგ ამ დროს მოდი, რა სალაპარაკოაო.
პოლკოვნიკმა თვითმფრინავის ბილეთები შეუკვეთა.
და როცა მეშვიდედ მივიდა "სუპერ ექსპრეს კომპანის" თეთრ სახლში, ძველი ნაცნობი კაბინეტში გამოიჭირა. ცოლი უკვე რეანიმაციაში ჰყავდა და ძალიან არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს მაინც ყვირილი მოუხდა. ამას კიდევ უარესი მოჰყვა: კაბინეტში შემოვარდნილ ნაცნობის პირად მცველს პისტოლეტი წაართვა და შუბლში დასცხო. მერე ეს პისტოლეტი ტელევიზორის ეკრანს სთხლიშა და წამოვიდა.
ეს იყო სამშაბათს, პარასკევს დილით კი პოლკოვნიკს სარეანიმაციო ოთახის კართან ჩასთვლიმა სკამზე. სამნი მოვიდნენ.

გამოძალვის მცდელობა - აი, მუხლი, ძალიან შეშინებოდა იმ ძველ ნაცნობს.
“Нтитшт, лепдмуф”, რეანიმაციის კარის შეღება სცადა პოლკოვნიკმა.
“მაგან იფიქრა, რო კიდე მიხვალ და თვალებს გამოთხრი”, თქვა რაჯამ.
პოლკოვნიკმა ამოიოხრა: “სად არის?” ცოლზე ფიქრობდა.
არაფერი იცოდა, სულ არაფერი.

15.
საღამო იყო და ზაზა უყურებდა, როგორ ბნელდებოდა უდაბნოში. კაი ბიჭები დაადგნენ თავს კედელთან ჩაცუცქულს. სამნი იყვნენ - ქურთი, ნამცხვარა და თაგვიაშვილი. ზაზამ თვალები დახუჭა, თუმცა მიხვდა, რომ სისულელე იყო. გასულ კვირას ერთი პატიმარი უამბობდა თხუთმეტი წლის წინანდელ ამბავს, როცა უქურდო ზონებში ვითომ კაი ბიჭებმა ბოზური ბლოკების კეთება დაიწყეს. სამნი მიადგებოდნენ ხოლმე რომელიმე საწყალ პატიმარს: ერთი უცებ გააგორებდა ზარს და დაიძახებდა: “დუ შაში, მოვიგე ძმაო”, და იმ ორს მიუბრუნდებოდა: “ნახეთ, ძმაო. მოვიგე?” “მოიგე”, ეტყოდნენ ისინიც. “სამი ათასი წააგე, ძმაო. ეგრე არ არი?” და მოსატანი იყო. თავანი წმინდაა, ვითარცა... თუ ვინმე ქურდიან ზონაში გაბედავდა ამას, ვითომ წაგებული ქურდისგან რჩევას მოისმენდა: “თავანი უნდა ჩაბარდეს. ჩააბარე, ან ჩამაბარე და მერე მოვიდეს ჩემთან, რო თავში ჩავარტყა...” ისევ ძველი პატიმარი ამბობდა, როცა სამი რაცი მოგადგება, ყველაზე კარგია, თვალები დახუჭო, ვითომ გძინავსო. ეს მცირე შეღავათი იყო, თუ შეღავათი დაერქეოდა, მაგრამ ბუხიას ხელში ასეთი რამეები ვერავის გაებედა.
ამიტომ ზაზამ მალევე გაახილა თვალები.
“ადე, წამო, მღვდელო”, უთხრა ქურთმა, “ბუხია გეძახის”.
“ბუხია?”
“ხო, ადე. რა განზე იყურები?”
ბუხია მეშვიდე ბარაკის უკან იჯდა გადმობრუნებულ ვედროზე და ეწეოდა. ის ძალიან გამხდარი, ორმოცდაშვიდი წლის კაცი იყო და თითქმის ზღვის ტალღით გადარეცხილი სახე ჰქონდა. თვალები, თითქოს, საერთოდ არ სჭირდებოდა. პრიალა შავი პერანგი ეცვა, სპორტული შარვალი და სანდლები. რასაც ხელს ჩასჭიდებდა, შავი წარბები იყო, ზღვის ტალღას გადარჩენილი ნახშირით მოხატული ხაზები სველ კედელზე.
“დაჯე”, უთხრა ბუხიამ და ზაზა ჩაცუცქდა. “შენი პატრონი წავიდა?”
“ხო”.
“ამერიკაში, ხო?” ჩაფიქრდა ბუხია.
“მაყუთი რაც დაგიტოვა ორჯერ, სულ ობშიაკში შეხვედი. ეგრეა?”
“კი”.
“შენი ნებით”.
“ხო”.
ბუხიამ ნამწვავი გაისროლა ორი თითით და გადააფურთხა.
“რატო? პროსტო მაინტერესებს. სვიდანიაზე სამი ლარი შედის აბშიაკში. გრევი, კაი ხალხს და მორჩა”.
ზაზამ, როგორც სჩვეოდა, მხრები აიჩეჩა.
“რა ვიცი”, თქვა მხიარულად, “შევედი. ფული რაღათ მინდა? მე ხო არ ვთამაშობ?”
“ლარიოკი?”
ზაზამ ხელი ჩაიქნია.
“მაგისი ყოველთვის არი. ნაკოლკაა, კრიალოსანი, ჯვარი, მე და პოლკოვნიკი რაღაცებს ვაკეთებთ”.
“არ თამაშობ”, თქვა ბუხიამ, “ჩემი სიტყვა იყო. რობერტასგან მოვიდა სიტყვა და მეც ეგრე ვთქვი. პატიოსანი ბიჭი ხარ”, ახალს მოუკიდა ქურდმა, “სწორე იქცევი...”

“უხერხულია”, მხრები აიჩეჩა ზაზამ.
“ჟალო უფროსამ რო დაგიძახა”, ხველა აუტყდა ბუხიას, “მე მაგ ჟალოს” - ეგეც სუფთა იყო, საღოლ.
“ციხე როგორ ავაშენო?” მთლად დამშვიდდა ზაზა, “ციხის კედელი როგორ ავაშენო?”
“ხო, მარა, შენ რატო დაგიძახა?” ვიღაც სხვა კაცის ხმა იყო. ბუხია ხომ ასე ტკბილად ელაპარაკებოდა, “შენ რატომ დაგიძახა?”
“რა ვიცი”, წაიბურტყუნა ზაზამ.
“შენ რატო დაგიძახა?” უფერო ტუჩის კიდე განზე გაექცა ბუხიას, “ჰა? თქვი, აბა...””
“არქიტექტორი ხარო... დიპლომიო...”
ბუხიას რომ გაეცინა, იმ სამსაც.
“რა ვიცი?” მხრები აიჩეჩა ზაზამ.
“მიყურე”, მეორე ნამწვავიც გაისროლა ბუხიამ, “პატიოსანი ბიჭი ხარ და შენთვის ხარ. შემწუხებელი გყავს?”
“არა”.
“ჟალოს ნება რო იყოს, გეყოლებოდა. მარა ჩემი ნებაა. შენთვის ხარ, ტკბილად ხარ”.
“ხო”.
“ეხლა მიყურე. პაბეგი რომ აიწევა, მეც გავრბივარ. ხო იცი, ზონაზე მე ვარ აქ ერთი. ერთი გარბის, გარბის, ზაბორს ახტება. ორი გარბის, ერთი ქურდია. ჩემთვის ეგრე უსწავლებიათ. ჟალოს რა უნდა იცი? აქ რო ბოზური ზონა იყოს. ხო იცი, რა არი წითელი ზონა? გააკეთებს ეგეთს, პავიშენიაზე წავა... მე სანამ აქ ვარ, ეგ არ გამოვა. აქედან ვერ გადამიყვანს”.
“და მე რა ვქნა?” უკვირდა ზაზას.
“ეს კედლები დაბზარულია, დანგრეულია. რაჯას სულ პაბეგი უნდა. აქ მე ისეთი ზონა არა მაქ, პატიოსანი კაცი წვალობდეს. მაინც გაუმარჯოს ღმერთმა, თუ კაი ბიჭი, ან პატიოსანი კაცი გარბის. მე აქ პალაჟენია მიჭირავს. მე თუ გავრბივარ...” და ბუხია გაჩუმდა, “აქ ზონას გააწითლებენ”, თქვა მშვიდად.
“ჟალო პავიშენიეს ჩალიჩობს”.
“და მე რა უნდა ვქნა?” პირი დააღო ზაზამ.
“შენ თუ გარბიხარ, მეც გავრბივარ”, თითქოს დაიღალა ბუხია. “მე გავრბივარ, აქ პალაჟენია იცვლება. შენ თუ გარბიხარ, მე არ უნდა ვიცოდე. მე კიდე მეცოდინება რო გარბიხარ. უცბათ გარბიხარ, მე არ ვიცი, გაიგე?”
“მივხვდი”. ზაზა ვერაფერს მიხვდა. “მაგრამ მე არსად არ გავრბივარ. სად გავიქცე? სახლიც აღარ მაქვს, კოკამ გაყიდა”.
ბუხიას გაეცინა!
“ეგ მაგარი გყოლია, ეგ კოკა. პაბეგიდან სახლში არ მიდიან”.
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“ჟალოს მაგრა უნდა, რო შეგ პაბეგის ამბავი წამოიწყო სტროიკის დროს. სტროიკა მაინც დაიწყება. იცი, ვაბშე. ეგ რუხაძის ბარაკები როგორ დგას? მე ვიცი. ეგ არი პადკოპი არ გინდოდეს, მაინც გათხრევინებს”.
“რაჯა აქ იყოს და მე?”
“რაჯა ზონოვსკია”, ისევ გაეცინა ბუხიას, “რაჯა სულ გარბის”.
“მე არ გავრბივარ”.
“გინდა გაიქეცი, გინდა არა. მე არ გავიგო”, კვლავ მოუკიდა ბუხიამ, “მე გითხარი. წადი”.
“ნახვამდის”, დაიძრა ზაზა. “ღმერთი შეგეწიოთ”.
“რა როჟაა”, გადააფურთხა ბუხიამ, “მარა ჟელეზნია”.
“ხო არი ხო და არა არი არა”, თქვა უცებ ნამცხვარამ.
“რა?”
“ეგრე თქვა იმ დღეს, ღმერთი ამბობსო”, თავი დაუქნია ნამცხვარამ.

“ეგ ღმერთი რო არ იცოდეს...” ბუხიამ, ქურდმა ხელი ჩაიქნია, წამოდგა და ვედროს დახედა:
“ამის ქვეშაც ხო არ არი გველი?”
“ანდა ბოზი”, გაიცინეს ოთხივემ, “ჟალოს ბოზი”,
ჟალო კი, კოლონიის უფროსი, სულ არ იყო უდაბნოში - ქალაქს წასულიყო ვიღაცის ქორწილში.

16.
ყოველივე დაანგრია იმ ცივ ზამთარმა, როცა დედა ოთხი თვის ანზორისა, ამელა, ფილტვების ანთებამ წაახდინა. ღამით საყვარელ პირველ და ერთ შვილისთვის ოქროს შაირის სიმღერის მთქმელ ამელას რაიკომიდან დაუძახეს. ამის ქმარი შინ არ იყო მაშინ, სამუშაოზე დადიოდა აღბულახში. ერთი სიდედრი შახია იყო და იმასაც მისძინებოდა.
ამელა ხომ ავლაბრის რაიკომში მსახურობდა დამლაგებლათ. კაი ნათელა ქალი იყოო, როგორც მერე იტყოდნენ კაზარმის უბანში, ავლაბრის ერთ მხარეზე.
შაბათ ღამე იყო და ამელა წაიყვანეს რაიკომში პოლების მოსარეცხად. ეხლა რა ამბავი ყოფილა: ამ დიდ მშრომელი რაიონის მდივანს შეეტყო, რომ კვირა დილაზე რაიკომს თავს დაეცემა ამხ. ბერია, ეგრედ წოდებულ მოულოდნელ შემოწმების ხერხით – აბა, ვნახო, ხალხის მთავრობა როგორ მუშაობს. ეს ბერიას ძველი წესი იყო: არასოდეს მივიდოდა შესამოწმებლად დათქმულ დროზე, არამედ სრულიად მოულოდნელ საათს.
ახლამდის საკვირველია, როგორ შეეტყოთ ავლაბრის რაიკომში ამხ. ბერიას მოულოდნელი მოვარდნის შესახებ. თითქოს, პარასკევ ღამით ბერიას თავის მანქანაში ჩაელაპარაკნა, კვირა დილას კი გავადენ ბდღვირს ავლაბრის რაიკომს, მაგათ მიყურონ, იქ რო მივალ და უქმე დღეს გამოკეტილი და არხეინი დამიხვდება, გეგონება ბოლშევიკებისთვის შაბათ-კვირა დასვენების დღე იყოსო. ეს ლაპარაკი დახსომებოდა მის მძღოლს და შაბათს ერთ პურისჭამაზე მოეთხრო. იქ ყოფილიყო მუშაკი მაუდის ქარხნის პარტიული კომიტეტისა, რომელსაც მსწრაფი ელსმენით ეცნობებინა თავისი პარტკომის მდივნისთვის, იმას კიდევ სამადლოზე, დუქანში მოეძებნა რაიკომის მეორე მდივანი, რომელიც კუთვნილ შაბათს ირგებდა იქა. მეორეს პირველისთვის მოეხსენებინა და პირველს იქავ შეერჩია ოცი კაცის სია, ვინც ღამით დარჩებოდა რაიკომში და დილით ამხ. ბერიას შეეგებებოდა. იქავ გადაწყვეტილიყო იატაკის რიგგარეშე მორეცხვა.
ამიტომ წამოეყვანათ ამელა, ჩვილი ანზორი კი შახიას ერწია მთელი ღამე. განთიადამდის ემუშავა. საბრალო ამელას, ერეცხა და ეხეხა, სულ ბელადთა სურათების შუშები და ჭაღები ეპრიალებინა და ერთი ოხერი მუშაკი ოთახშიაც ითრევდა. შამო, რამე განახო, დრო გაგატარებინოო.
გარეთ კი თოვდა. ამ საკვირაოთ ღუმელები მხოლოდ ოთახებში გაეხურებინათ და დერეფნებში კიდევ ღამის სიცივე სწვავდა ფეხისგულებს ცივ წყალში ნავლებ ტილოებით გატანჯულ ქალსა.
გამთენიას წამოსულიყო, უკვალავ თოვლში ევლო, აღმართებზე, კაზარმის უბნისკენ, ბავშვის გაღვიძებას მივუსწრო, ძუძუ ვაჭამოო. ადგილ-ადგილ, ბარძაყ მაღლაც მოსვლოდა თოვლი. აბა, ის მოკლე პალტო უშველიდა?
ექვსი დღის თავზე მომკვდარიყო ფილტვების ანთებით, ისე, რომ ერთ საათს არ დაწოლილიყო.
ასე ჰკვდებოდნენ დედები ძველ დროში და ობლები კი დაიზრდებოდნენ შახიას ხელში.
ამხ. ბერიას კი ეეშმაკნა, ორი დღის თავზე დასცხრომოდა რაიკომს, ბიუროს გამსვლელი სხდომა ჩაეტარებინა, ბდღვირი გაედინა, პირველი მდივანი

სასადილოს გამგედ გადაეყვანა, მეორე – მეჩვიდმეტე ვაჟთა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.
რაჯას კი არ ახსოვდა დედის სახე ფოტოზე. ფარვანასავით ქალი ყოფილაო, თოვლი მორევიაო, ამბობდა. ნათელა ქალი იყოო, როცა დაითვრებოდა, იტყოდა მამამისი, რომელიც, სხვათა შორის და წლის თავზე მეორედ დაქორწინდა, თუმცა კი, მერე ომში წაიყვანეს და ქერჩში დარჩა სამუდამოდ. ამ ქვეყნიდან გაწვეულთა გვერდით მიიღო ტყვია.

17.
გველებმა არ იცოდნენ, რომ გვერდზე გადაქანებულ ლაბორატორიის მესვეურნი ბუკსა და ნაღარას სცემდნენ დედაქალაქში. მეცნიერებათა აკადემიის დიდ სხდომათა დარბაზამდეც კი მიეღწიათ, სადაც პროფესორ ოთარ ქავთარაძეს და დოცენტ ზაურ ქობლიანიძეს დასაბუთებული მოხსენებანი წარედგინათ უკვდავთათვის.
პროფესორი ხმადაბალი კაცი იყო და ხმადაბლა ამბობდა:
“მალე გველები დაიპყრობენ მთელს უდაბნოს. ჯანდაბას, ჩვენი ლაბორატორია! გველებმა უკვე დაიპყრეს იგი და ახლა ლაბორატორიის აღდგენაზე ლაპარაკი, ამის ხარჯების მოთხოვნა სასაცილოა. ჯანდაბას მიტოვებული სამხედრო ნაწილის შენობები. ბარე ოცი წელიწადია ეს ადგილი ბუდეა ქვეწარმავლებისა... ჩვენ რომ უდაბნოში მუშაობას ვიწყებდით, თავდაპირველ ეგზემპლარებს სწორედ იქ მოვიპოვებდით, მაგ ნანგრევებში. მაგრამ იქვე არ არის ჩვენი უდაბნოს სავანე? მე არ უნდა ვლაპარაკობდე ამას. ეს მხოლოდ ისტორიული ძეგლი და სამომავლო ტურიზმის ადგილი არ არის. იქ, სწორედ ამ ბოლო მიწისძვრის დროს გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სულიერი კერის აღდგენას ცდილობენ. წარმოიდგინეთ იმ სამი-ოთხი თავდადებული კაცის მდგომარეობა ათასობით მცურავის წინააღმდეგ. ვინღა გაჩერდება იქ? ახლა სეზონია, გველები კვერცხს დებენ, ისინი მრავლდებიან, კლიმატი, ამინდი - ამდენი მოკავშირე ჰყავთ. მე წინააღმდეგი ვარ მათი ამოჟლეტისა, ეს დანაშაული იქნებოდა. უნდა მოხდეს კერის ლოკალიზება. ისინი გამოსცდებიან უდაბნოს, ისინი გამოვლენ სამანქანო გზებზე. თუ თქვენ თვლით, რომ ხალხი თავად მოუვლის ამას და მთავარია, ქალაქის ორ-სამ უბანში არ მოხდეს რაიმე შემაშფოთებელი, ეს მცდარი აზრია. არ მინდოდა ასე მეთქვა, მაგრამ მაინც, რადგან სხვა სახელს ვეღარ დავარქმევ. ჩემს მარტვილობას, ბოდიში, კალმასობას ხელისუფლების დერეფნებში, მე იქ ვერაფერი შევასმინე. აქ, ჩვეულებრივ, არ ახსენებენ ხოლმე უდაბნოს კოლონიას, სადაც ათასამდე პატიმარია, ძირითადად მძიმე დანაშაულისთვის დასჯილი ხალხი. კოლონიის უფროსმა ყურად არ იღო ჩემი თხოვნა, ადგილზე შემესწავლა ვითარება. ის ითხოვს ოფიციალურ საბუთებს, ნებართვას და სხვას. პოლიტიკოსები მეუბნებიან, რომ შეიქმნება კომისია, რომლის წევრები ჩვენც ვიქნებით და კომისია მოინახულებს კოლონიას. ჰოდა, სანამ მოინახულებს, ბატონო გრიგოლ, ბატონო ჰენრი, მე მოგახსენებთ! მიწისძვრისგან დაზიანებულ კოლონიაში, ნანგრევებში, ჭებში არის შემაშფოთებელი სიდიდის ბუდეები. პატიმრები მორიგეობენ. დაიკბინა არაერთი! დაიღუპა ერთი! კოლონიის უფროსობა რეზინს ახრჩოლებს! გესმით? რეზინს! მაშინ, როცა ჩვენ გვყავს სპეციალისტები, ჩვენ შეგვიძლია... თუკი იქნება ელემენტარული დაფინანსება, საწვავი და პატიმრებისთვის აცრის...”
“საიდან გაქვთ ეს მონაცემები?”
“მე... მე ათი წელიწადი უდაბნოში გავატარე... ბერივით”.
“წითელქუდა ტყეში მიდიოდა”, – თქვა უცებ ზანზიბარამ.
“რაში გაგახსენდა?” – ჰკითხა ზაზამ.
“გამახსენდა”, – მიუგო ექიმმა.

“სად არის? რას ჭამს?” – პოლკოვნიკი იყო.
“მომეწყინა აქა”, რაჯამ გვერდი იცვალა, – “გველებია”.

18.
ღამე იყო.
ზაზას კვლავ არ ეძინა. თავის ნარზე იჯდა ფეხმორთხმული და მუხლებზე ჯოხი ედო.
იქით ორნი ფხიზლობდნენ, გველები კი არ ჩანდნენ.
“ღამე გველი მე არ ვიცი”, ამბობდა ხოლმე ერთი ხნოვანი პატიმარი, გლეხკაცი, რომელსაც ძმა შემოჰკვდომოდა სრულიად შემთხვევით, “ღამით გველი მიდის ქვესკნელში, ცივა და იმიტომ. ამ ღამისთევას ჯობია, ერთი ზღარბი ვიყოლიოთ. ეს არი გველის წამალი. აქრობს ადგილზე”.
“ეს რა მაგარი ყოფილა”. ჩლიფინებდა რაჯა, “თუ ეგეთი მაგარი ხარ, ღვიძლი ძმა რატო დაბრიდე?”
“ე, ჰე, ჰაა”, ამოიოხრებდა გლეხკაცი, “არა ცხრებოდა და გავუქნიე შესაშინებლად”.
“გაუქნიე და მიბრიდე, ხო? ყოველდღე ტუჩებში ხარ მისარტყმელი. იმის შვილებზე არ ფიქრობდი?”
“გავუქნიე, კაცო”, გაიბზარებოდა საწყალი, “წაძვრა თოხს პირი და დაეცა საფეთქელში”.
რაჯას არასოდეს ენახა თოხი.
“თავი წაძვრა რა, არყის ბოთლია? სურგუჩია?”
“ზღარბისა კიდე ეგრეა. ზღარბი სჯაბნის მცურავსა. ჰკლავს”.
ასე იყო. ზაზა კი წამოდგებოდა და ფანჯარასთან მივიდოდა. იდგა და დიდხანს უყურებდა ღამის ცას.
“ჰაე, მღვდელი, რასა შვები, ლოცვას ამბობ?” რაჯა ხომ უძილო კაცი იყო.
“ჩუ...”
პირველად კი არ ხედავდა რაჯა ფანჯარასთან მჯდომ ზაზას.
“რა გინდა, მანდ რო შეჩერებიხარ? მაინც არ დაგენახება...”
ზაზა ხელს აიქნევდა, ჩაკვდიო.
ერთხელ კი მობეზრდა.
“მოდი აქ”, უთხრა ბებერს.
“აჰა”, მოფრატუნდა რაჯა.
“აბა, რაებია ცაში?”
“ცაში ღმერთია, ხო?” გაუბედავად შეხედა რაჯამ.
“აი, ესენი რაებია?”
“ხოოო... ვარსკვლავებია, ხო?”
“მერე?”
“მერე ანათებს, ბლატაობს თავის ამბავში”.
“ჩრდილოეთი საით იქნება?” არ მოეშვა ზაზა.
“ჩრდილოეთი რა არი, ბიჭო?” ცხვირი მოიფხანა რაჯამ.
“ჩუ, ნუ ყვირიხარ”, მიმოიხედა ზაზამ, “აი, ეს ვარსკვლავები ყველა თავის ადგილზეა. თუ დამახსოვრებული გაქვს, იცი, ჩრდილოეთი საით არის. თუ იცი, ჩრდილოეთი საით არის, სხვა მხარეებიც იცი”.
“მერე?”
“მერე ახლა მე გეკითხები, გველების სახლი საით არის?”
“იქით”, ხელი გაიშვირა რაჯამ.
“კლდეები?”
“ეკლესიები?.. იქით. არა, იქით... მაიცა. გველების ფაბრიკა...” დაიბნა რაჯა, “ეგრე არ მახსოვს”.
“აბა, რა გახსოვს?” შეუღრინა ზაზამ.
“პაბეგი”, გაეცინა რაჯას და ეული კბილი მოისინჯა ენით, ენძრევა!!!

“ზაზა”, მოისმა უცებ ამოოხვრით ნათქვამი.
პოლკოვნიკი იყო.
“რა?” საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა ზაზა.
“მე დავხაზავ... ადგილის რუკას”, ამოისროლა პოლკოვნიკმა და ასე, მწოლიარემ, თვალებში შეხედა ბიჭს.
“ჩუ”, თქვა ზაზამ, “ჩუ. მერე გეტყვი...”
“ტოპოგრაფია”, კვლავ ამოიოხრა პოლკოვნიკმა, “ჩემი ხელობაა”.
“ჩუ”, გაუმეორა ზაზამ, “რაჯასთან ჩუ...”
“ხო არ იბრიდება?” იკითხა რაჯამ და უნდობლად გახედა ცას. “ვარსკვლავიო. რა ვარსკვლავი?”
“შენ ჩემო ბედის ვარსკვლავო...” ზანზიბარა ღიღინებდა.

19.
წმინდა მარიამ ღვთიშობლის ეკლესია ერთ-ერთი იყო გადარჩენილ სამთაგან. ოდესღაც მის ადგილას მდგარიყო უდაბნოს ყველაზე დიდი კათედრალი, აგებული ვინ იცის საიდან მოზიდული თეთრი ქვით. ამ ქვით ოდესღაც ვახტანგ გორგასალი აგებდა გალავნებს, ხოლო სამტეხლო ამ მასალისა სამუდამოდ დაკარგულიყო. რატომ გადაეწყვიტა იმ ძველ კათალიკოს სამოელს თეთრი ქვით უდაბნოში ტაძრის აგება, ახლამდე გამოურკვევლად რჩება.
ეს კი არის, რომ თეთრი ქვის კათედრალი, ადრევე შეაწუხა მიწისძვრამ და სელჩუკ-სპარსთა ლაშქრობებმა. აშენებიდან ექვსასი წლის თავზე, იმისგან დარჩენილიყო აღმოსავლეთის კედელი და საკურთხეველი, ჩამოქცეული თეთრი ქვა უდაბნოში მიმოფანტულიყო. ეს თეთრი ქვა საჩუქურთმოდ ძნელი და ამიტომაც საკვირველი იმ დროში ეკლესიათა საშენებლად, მეფის ირაკლის დროს წაზიდეს ქალაქს, გალავნის ფერდის გასამაგრებლად, რახანღა იმთავითვე იცოდნენ, რომ ქვა ესე არის საგალავნე და მტკიცე. ამის სანაცვლოდ კი მეფემ ირაკლიმ გამოღვიძებულ უდაბნოს და იქაურ ბერებს უწყალობა ბაშკინჩეთის აგურქარხანაში გამომწვარი წვრილი თათრული აგური, ისეთი, მღვიმეშიაც რომ მოეხმარათ და ქალაქშიაც ნორაშენის ასაგებად. ამ აგურით აიგო ძველ კათედრალის ადგილას წმინდა მარიამ ღვთიშობლის ეკლესია, მომცრო, აღმოსავლურ თაღებით დამშვენებული. ოღონდ კი, აღმოსავლეთის კედელი იმ ძველი დროის მაშენებლებს არ დაენგრიათ და იმ თეთრი ქვისა დაეტოვებინათ. ნაგებობების უცნაურობაც ეს იყო. ძველი აბა ვიღას ახსოვდა და ირაკლის დროიდან ამ ეკლესიას სინათლისას უწოდებდნენ. დილით ხომ მეტად ძნელი იყო, რომ მზემიდგმულ აღმოსავლეთ კედლისათვის თვალი გაგესწორებინა. სიპი თეთრი ქვა, გათლილი და გაპრიალებული თამამად აირეკლავდა მზის სხივს. მთვარიან ღამით კი აღმოსავლეთ მხარეს მავალი ხალხი ვერცხლისფრად ხედავდა ეკლესიის კედელს. მხოლოდ წარმოდგენა შეიძლებოდა იმ ანგარიშისა, კათალიკოს სამოელს რომ ჰქონოდა, როცა თეთრ ქვას აირჩევდა ეკლესიის საშენად: სახლი ღვთისა, შუქის მფრქვეველი.
მეფის ირაკლის აღსრულებიდან, ბარე ორასი, ხოლო უდაბნოს სავანის კომუნისტთაგან მოოხრების ბარე სამოცდაათი წლის თავზე, აქ მოსულიყო ერთი ყმაწვილი კაცი, ხელობით ფიზიკოსი თუ რაღაც ამგვარი, სახელით ნიკო და დიდხანს ეთვალიერებინა უდაბნოს სავანე. შეესწავლა სანახები, აღერიცხა და აღენუსხა დანგრეული და დაუნგრეველი, ჩაეხატა, ჩაეხაზა, ეცოდა კლდეებზე, მოსჭიდებოდა ქვაბულ სენაკებიდან გადმოკიდულ ჯაჭვებს, ესმინა მათი ხმისთვის ქარიან ღამეებში და ბინად დამდგარიყო სწორედ ამ წმინდა მარიამ ღვთიშობლის ეკლესიის გვერდით. დამდგარიყო ბინად და ეწყო იქაურობის მოვლა და დასუფთავება. იმის ამგვარ ქცევას გამოხმიანებოდა ორი-სამი ამხანაგი და მოსულიყო უდაბნოში. ამათ შეეჭედათ პატარა ფიცრული ქოხი და აქ გაეწიათ მისაბაძი საქმიანობა და უდაბნოს შესწავლა.

ამათი მოსვლიდან სწორედ წლის თავზე თავისთავად წამოჭრილიყო აზრი, ბერებად შემდგარიყვნენ აქა და გამოეღვიძებინათ ის ძველი სავანე, პირად გადაწყვეტილებით კი მოეზიდნათ სხვანიც, რათა უდაბნოში საბერო ცხოვრება აღმდგარიყო. ამათი ყოფნა უდაბნოში და იქ მოღვაწეობა კარგად სცოდნიათ მათ მოძღვართაც ქალაქში და ყოველნაირად დახმარებოდნენ, რათა ესენი შემოსულიყვნენ და უწმინდესი ლოცვა-კურთხევა მიეღოთ.
ასეც აღსრულდა და ნიკო, სახელით მამა გერმანე შეიქმნა წინამძღვარი ღვთიშობლის სავანისა.
“პატიმრები ეკლესიას აშენებენ”, თქვა ერთხელ გიორგიმ, ერთ-ერთმა ძმამ, ქალაქიდან ახლადმობრუნებულმა, “გზიდან ჩანს”.
“მანდ იყო ეკლესია, ძველ გეგმაზეა”, მამა გერმანემ კარგად იცოდა ეს ამბავი, “მანდ იყო წმინდა ნიკოლოზის სავანე გადარჩენილი. კოლონიის აშენება რომ გადაწყდა, ადგილად მოეწონათ და ააფეთქეს. მანდ ერთი გალავნის ფრთაა დარჩენილი. პირველი ბარაკები დადგეს რუხაძის დროს. ომის მერე...”

20.
ზაზას უცნაური დღე გამოუვიდა. დილიდანვე ქალებზე ფიქრობდა. უფრო სწორად, პოლკოვნიკზე ფიქრობდა და მის ცოლზე, მერე კი ქალებზე. პოლკოვნიკის ამბავს რომ წაჰყვებოდა, თითქოს თავისდაუნებურად გაახსენდებოდა, რომ არავინ ჰყვარებია. არავინ. არც უფიქრია, არც შეუხედია წესიერად. აქ მყოფს ხშირად ახსენდებოდა გოგოები, მაგრამ ასე, პოლკოვნიკის და მისი ცოლის ამბის გამო პირველად. ზაზა ორმოსთან იჯდა მოდარაჯედ და ეცინებოდა, რადგან მშვენიერი რამ აღმოეჩინა. საიდანღაც, ძალიან შორეული და აღარარსებული წიგნის კარადიდან მასთან მოსულიყო დაუვიწყარი ამბავი ლამანჩელი გიჟისა, ერთი მურიანი სოფლის გოგო რომ დაესახა გულის ვარდად. ახლა ზაზას აღმოეჩინა, რომ თავადაც ჰყავდა ასეთი, მივიწყებული, მხიარული დროების მოგონებიდან მოსული ლენინგრადელი მეძავი გოგო მაშა მაშკოვა. როცა ზაზას ქალები ახსენდებოდა, ახსენდებოდა სწორედ ეს მაშა და არა ვიღაც სხვა. ყოველ შემთხვევაში, ყოველი გამოღვიძებული ქალი მაშა მაშკოვას იერში იკრიბებოდა. იერი და მეტი არც არაფერი. ზაზას ბევრი რამ ახსოვდა: უბადრუკი სასტუმრო “ვიბორგსკაია”, არაფრისმთქმელი ნომერი, საიდანაც საფერფლე წამოიღო, საზიზღარი სართულის მორიგე და კიდევ რაღაც სისულელეები. არ ახსოვდა, როგორი იყო მაშა მაშკოვა. იერი ახსოვდა. ახსოვდა ხმა, რომელიც ხშირად ჩაესმოდა უდაბნოში მყოფს, მაგრამ არ ახსოვდა, როგორი იყო ეს გოგო, როგორი თითები ჰქონდა და როგორი თმა. თითქოს ახსოვდა საწოლზე ჩამომჯდარი გოგოს მუხლისთავები, მაგრამ არ ახსოვდა რაიმე მისი ტანისა და რაც ახსოვდა, თვალების ჭრილი იყო, ვიწრო, ირიბად გასული საფეთქლებისკენ, ოღონდ კი ვერაფრით იხსენებდა გამოხედვას, აპრეხილ თუ აუპრეხავ ცხვირს, ამ გოგოს მოძრაობას.
კარგად ახსოვდა, მაშა მაშკოვა სანახევროდ თათარი იყო, რომელიღაც, ტრამალებსა და ჭაობებს შუა ამოზრდილი ქალაქიდან მოსულიყო ლენინგრადის რომელიღაც საერთო საცხოვრებელში. მისი ირიბად აჭრილი თვალებიც ამ თათრული სისხლის ამბავი იქნებოდა. ახსოვდა, რომ მაშა მაშკოვა მოხერხებული, ზარმაცი გოგო იყო, მაგრამ კარგად ლაპარაკობდა, ახსოვდა, რომ მაშა მაშკოვა მეორედაც მოვიდა მასთან, იოლად გამოიარა სასტუმროს კონტროლი და მეორედაც ორმოცდაათი მანეთი წაიღო.
მაშა მაშკოვა ხშირად ელაპარაკებოდა ზაზას, ზაზა თანდათან შეეჩვია მას და როცა ფიქრობდა, რომ არავინ ყვარებია, მაშა მაშკოვამ ჰკითხა: “და მე?” ზაზამ ჩვეულებრივ მიუგო, ქართველ სტუდენტთა სანავარდო სიტყვები: “შენ... ისე, შენ მაშა ხარ და ჯიგარი ხარ...” თუმცა გაუკვირდა და თავადაც ჰკითხა, შენ საიდანღა იცი, რომ მე არავინ მყვარებიაო, თუმცა, იმწამსვე განმარტა, როგორ

არ გეცოდინება, მე და შენ ხომ ერთნი ვართო. “ჰო”, გახალისდა მაშა მაშკოვა, “სიყვარულიც ეგ არის, ერთნი რომ ვართ”.
ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ყველგან, სადაც კი მოხერხდებოდა. მეშვიდე ბარაკის უკანაც კი, მესამე პოსტის ალაყაფთანაც. ღამით, როცა გველების მოდარაჯე ზაზა ფეხმორთხმული იჯდა საწოლზე, გვერდით მაშა მაშკოვა მოუჯდებოდა ხოლმე. ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, იბუტებოდნენ კიდეც.
ის დღე ზაზას უცნაური გამოუვიდა. მაშას ვერ ელაპარაკებოდა, მაგრამ მასზე ფიქრობდა. ლამანჩელი გიჟის და მისი სატრფოს ამბავიც მაშინ გაახსენდა და გაეცინა.
“ვის ელაპარაკები?” ჰკითხა რაჯამ.
“არავის”.
მაგრამ მაშა მაშკოვა უფრო ძლიერი და ღონიერი გამოდგა, ვიდრე ამ უცნაური სიყვარულის დაცინვის შესაძლებლობა. მაშა მაშკოვამ ხელი აღარ გაუშვა ზაზას და ძალიან თბილად, მყუდროდ მოკალათდა მის გვერდით. მაშა მაშკოვას ირიბად აჭრილი თვალები ჰქონდა. ზაზას მკერდზე მითვლემილი. ჩურჩულებდა უბრალო რამეებს.
“სად არის?” იკითხა უცებ ზაზამ და მიხვდა, რომ პოლკოვნიკი იყო.
“ვინა, ე...” თვალები მოჭუტა რაჯამ.
“მაშა მაშკოვა” უაზროდ თქვა ზაზამ და თითქოს შეშას აპობდა ვიღაც მის სხეულში.
“ვინა?” გაეცინა ბებერს და ნამწვავი ორმოში ჩააგდო, “შენა, მღვდელო, გარეთ ხო არ მოგინდა?”
21.
პოლკოვნიკმა ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი ამოიღო, ზაზას გაუწოდა და თქვა: “ააჰა...”
ცისტერნებს შორის იდგნენ. მთელი უდაბნო ერთი გაუგებარი დანიშნულების ქვითრის უკანა მხარეს დატეულიყო. ფურცელზე მთელი უდაბნო ეხატა. მარჯვენა, ზედა კიდეზე კი კომპასი. ზაზას პოლკოვნიკის არეული სუნთქვა ესმოდა:
“რამხელა ყოფილა”, წაიბურტყუნა ზაზამ, “ძლივს არ გავიგე, სად ვარ?”
პოლკოვნიკმა ამოახველა და ცისტერნას მიეყრდნო:
“მეორეც... ზონის დიდი გეგმა... ისიც გავაკეთე”.
“შენ...” წამოიწყო ზაზამ და დამთავრება გაუჭირდა.
პოლკოვნიკმა თავი დაუქნია. განზე იყურებოდა.
ადრიანი დილა იყო. კოლონია სტუმრებს ელოდა. ძალიან ბევრი მანქანა უნდა მისულიყო. ეკლესიის საძირკველი უნდა ეკურთხებინათ, ორშაბათიდან კი ახალი სამუშაო იწყებოდა - ძველი ბარაკების დანგრევა, ახლების შენება და რა თქმა უნდა, ნახსენებ ეკლესიის “ნელ-ნელა მიწოლა”, როგორც კოლონიის უფროსმა თქვა.
უფროსობას სანერვიულო ერთი დარჩა - უდროო დროს გველების გამოჩენა. თუმცა, ამასაც მოევლებოდა როგორმე. ბუხიამ, ქურდმა კი თქვა: “ცირკს მართავს აქა, ვითომ მაგარია”.
ზანზიბარას კი რაღაც ინდური კინო გაახსენდა:
“ჩვენ რო მოვიფიქროთ, ერთი ტომარა უნდა გავავსოთ ამ გველებით და ვიშკიდან გადმოუშვათ ამათ თავზე”.

22.
გველები ვერ მიხვდნენ, რომ მიწა იძრა და ამიტომ გათავისუფლდნენ. ისინი გრძნობდნენ, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო, თითქოს ესმოდათ დედამიწის მუცლის საშინელი ხმაური და მოუსვენრად დასრიალებდნენ მინის ყუთებში. უდაბნოს სხვა კიდეზე, წმინდა მარიამ ღვთიშობლის შორიახლოს მთელი საღამო ყმუოდა იქაურების ნაგაზი მუთაქა. ცხადია, ისიც გრძნობდა, რადგან

საიდანღაც, ავი სიღრმეებიდან მოესმოდა ბოროტი ჩურჩული მიწისქვეშ შეთქმული ძალებისა. ძველ დროში, ერთ რომელიმე ბრძენს ასე აეხსნა უდაბნოში მიწის ხშირი ძვრის ამბავი, ეშმაკმა იცის, რომ მისი საბრძანებლის თავზე გავმართეთ სახლები ღვთისა და გვებრძვისო. სხვას, სხვანაირად ბრძენს კი ეშმაკი არც ეხსენებინა, ეფიქრა, მიწისქვეშეთი წყალს ითხოვს, რადგან ყოველ მიწას სჭირდება თავისი წილი წყალი, უდაბნოში კი, წყალი არ არის და მიწა მალიმალ შეგვახსენებს, წყურვილი მომიკალიო.
გველებმა ესენი არ იცოდნენ. ისინი ჩამონგრეული სახლის ბუდეებიდან გამოსრიალდნენ და ერთგვარი გაკვირვებით მოედნენ უდაბნოს გამომშრალ მიწას. წინაპართა მიწას იოლად აუღეს ალღო და გარემოს შესწავლაც დაიწყეს. ერთი დიდი საოცრება მათთვის ის იყო, რომ სულ იოლად შეხვდნენ თავიანთ ნათესავებს, უდაბნოს თავისუფალ უხსენებლებს. ადრე თუ გვიან, გათავისუფლებული გველები ბუდეებსაც მოიწყობდნენ, გზებსაც მოინიშნავდნენ და საქმესაც ააწყობდნენ, მაგრამ ღია ცის ქვეშ, უსახლკაროდ შთენილნი და ოდნავ დაბნეულნიც, თავისუფალმა ნათესავებმა ააჩქარეს, რომლებსაც თავიანთი სოფლები კარგა ხნის წინათ გაემართათ კოლონიის ახლოში. მიწისძვრისგან ჩამონგრეული, სახურავჩალეწილი რუხაძის ბარაკები სწორედ ის ადგილი გამოდგა, გათავისუფლებული გველების სოფლების მოწყობას რომ წაადგებოდა. იქავე იყო ძველი ორმოებიც, სხვანაირად გაუქმებული ჭები, რომლებშიაც ნათესავი გველები გაბატონებულიყვნენ და იქ ხალვათი ბუნაგები გაემართათ.
ახლადგათავისუფლებული გველები დიდად დააბნია ადამიანებისგან წამოსულმა ხმებმა, მეზობლები ხმაურიანი და ბრაზიანი ვინმეები აღმოჩნდნენ და გველთსაშენში გამოჩეკილებს თავიდან გაუჭირდათ კიდეც მათთან ყოფნა, ვინაიდან იმ ხმაურიან არსებებს ერთად ყოფნისა და თანაცხოვრებისა ბევრი არაფერი გაეგებოდათ და არცა ცდილობდნენ, რომ ახალ მეზობლებს დაამხანაგებოდნენ. კოლონიის ძველ მკვიდრთ ისინი ვერც კი ამჩნევდნენ, ახლების გამოჩენამ კი ბრძოლის ხასიათზე მოიყვანა ისინი და გველებს წინაპართა დავიწყებული ხელობის, პარტიზანული ომის მივიწყებული ოსტატობა გაახსენათ. ადამიანები კვდებოდნენ და კვდებოდნენ გველებიც. გველები ვერ ხვდებოდნენ, რომ მათზე ნადირობდნენ. მათ არაფერი გაეგებოდათ საზღვრებისა, ადამიანმა რომ დააწესა დიდი ხნის წინათ. მათ მზის გულზე ყოფნა უყვარდათ, რადგან მზე აღვიძებდა მათ სხეულს. ადამიანებს კი არ უყვარდათ მზე, სულ ჩრდილს ეძებდნენ. ამის მიუხედავად, საზღვარი არ არსებობდა, რადგან გველებმა უცბად შეიგრძნეს თავისუფლება და მინის ყუთებიდან თავდაღწეულებმა იოლად გაიხსენეს წინაპართა კიდევ ერთი თვისება - ეცურათ სადაც უნდოდათ და ამ ერთადერთი, მთავარი უფლებისათვის ეომათ კიდეც. რამდენიმე დაუდეგარმა გველმა ერთ ცხელ, გემრიელ დღეს კოლონია მიატოვა და ახალი ქვეყნის შესაცნობად გასწია. უდაბნო დიდი იყო და დაბნეული კალიებით სავსე, მეორე კიდეში კი თეთრკედლიანი მონასტერი იდგა. სწორედ იქაურობას მიადგნენ დაუდეგარნი, მოათვალიერეს და მოეწონათ. იქ ხმაურიც ნაკლები იყო და ომსაც არავინ აპირებდა.
ხმაურიან არსებებთან ომი კი გრძელდებოდა. მათი ნაბიჯი მიწას აზანზარებდა. მიწის ზანზარს კი გველები მუცლით ისმენდნენ. ეს ზანზარი არ ჰგავდა იმ ზანზარს, მათ რომ თავისუფლება აჩუქა, მასთან ბრძოლა შესაძლებელი ჩანდა. ამიტომ, გველები სიჩუმისათვის იბრძოდნენ. ძილის თვეებში ისინი ნაკლებად დარდობდნენ ბედისგან მოწყობილი გამოცდის გამო, მაგრამ მზის თვეებში ომი უწევდათ. ასე გრძელდებოდა. გველები არ შორდებოდნენ რუხაძის ბარაკებს.
და ერთხელ ძილის თვეებში მიწა აზანზარდა.
ეს არ იყო ხმა მიწის ცხელი და საზიზღარი მუცლიდან.

ძალიან ბევრი ადამიანი ერთად მოსულიყო კოლონიის მარცხენა ეზოში, დანგრეულ რუხაძის ბარაკებთან.
რატომ?
გველები შეციებულნი და მზის მომლოდინენი მძიმედ იღვიძებდნენ და ცდილობდნენ გაესწროთ. ეპოვათ ხვრელები და სამალავები თავიანთ ქვეყანაში. ბევრმა გაასწრო და დაიმალა, ბევრმა გაასწრო და გავიდა უდაბნოში, სამშვიდობოს. ბევრმაც გასწია მანათობელი თეთრი კედლისკენ, ბევრი კი იქვე დარჩა სამუდამოდ, პირბასრი წერაქვებით შუაზე გაწყვეტილი და ძალაყინებით თავგასრესილი. ბევრმაც იბრძოლა.
ისინი ბევრნი იყვნენ.
ადამიანები ქუსლებით სრესდნენ მათ კვერცხებს, კვერცხებიც ბევრი იყო. ყველას ვერ გასრესდნენ.

23.
ეს მაშინ იყო, როდესაც ლურჯ გალიფეში ჩაცმული ტანხმელი და ეგებ ერთი შეხედვით მოხდენილი კაცი უდაბნოში მოვიდა თორმეტი სხვადასხვანაირად ჩაცმული კაცის თანხლებით.
ისინი მანქანებით იყვნენ, უდაბნოს მტვერი სდევდათ თან და მძღოლებიც სწრაფად და მღელვარედ ამუხრუჭებდნენ. საღამოს პირი იყო, აქ რომ მოვიდნენ და დაქროდნენ უდაბნოში. მანქანებს რომ გააჩერებდნენ და მშვიდად ლაპარაკობდნენ რაღაცეებს. ხელებს იშვერდნენ აქეთ-იქით და მერე ეს ლურჯგალიფეიანი კაცი ქუსლით პაპიროსს დაასრისავდა ხოლმე უდაბნოს გამომშრალ მიწას, მანქანაში ჩაჯდებოდა და მძღოლს ანიშნებდა, წადიო. ბევრი იარეს, ლამის დაბნელებამდე და ბოლოს გაჩერდნენ დაახლოებით იქ, საიდანაც უდაბნოში შემოვიდნენ.
“აი, აქ”, თქვა ლურჯგალიფეიანმა კაცმა, “გზიდან ახლოშია და არც თლათ გზაზეა. აი, აქ. ეგენი დეინგრევა ყველაფერი და საშენ მასალასაც აქედან ევიღებთ. მკვდარი ქვა არი, ვერ ხედავ?” ხელი დაუტყაპუნა კედელს.
“ეს არ გვეყოფა”, მიუგეს მორიდებულად.
“მოგეხმარებით. ამხელა გალავანია, ეგერ ის არი კაი დიდი. შორიდან ზიდვას, ამით დევიწყოთ. იქეთ ხო ვნახეთ კიდე, იქეთაც დეინგრევა და ასე. რამდენია? ოცი კილომეტრი იქნება. იქედანაც მოზიდავთ”.
ასე დაიწყო რუხაძის ბარაკების შენება. ეს კაცი იყო გენერალი რუხაძე, რესპუბლიკის საპატიმროების უფროსი. როცა მიწისძვრით დანგრეული რუხაძის ბარაკებს კოლონიის უფროსობამ პატიმრები შეასია და ტერიტორიის გაწმენდის ბრძანება გასცა, რათა იქ ახალი, თანამედროვე ბარაკის მშენებლობა წამოეწყო, ზაზამ უთხრა ერთ-ერთ ბრიგადირს:
“შუადღისას ნუ ვიმუშავებთ, იგნატიჩ, გველები იღვიძებენ სიცხეში”.
ბრიგადირმა სხვა ბრიგადირებს გადასცა ეს სიტყვები, იმათ რეჟიმის უფროსს.
“გაფიცვას მიწყობ?” აღრიალდა კოლონიის უფროსი. იმ კვირაში ეკლესიის საძირკველი უნდა ჩავყაროთ. შეგაგდებ ბნელში...”
“დაგვკბენენ”, თქვა ზაზამ.
“დავხოცავთ”. მერე ომი იყო. ნიჩბებით ყრიდნენ დახოცილ გველებს ურიკაზე და უდაბნოში გაჰქონდათ.
ერთი ურიკა რაჯამაც გააგორა.
მობრუნებულმა პაპიროსი გააბოლა და განაცხადა:
“ცხელა და არავინ არ არი. ბევრი გველებია გზაში. გარბიან...”
“ყველა გარბის”, ამოისროლა პოლკოვნიკმა.
“შენ რუხაძის ხელში მჯდარხარ?” ჰკითხა ზანზიბარამ რაჯას.
“ეგეთი მაღალი კაცი იყო... ზონაზე მოვიდა ერთხელ. ჯარი ყავდა თან. ქურდები გამოიყვანა, დაიკაპიწა საროჩკის სახელოები და რომელი მეჩხუბებით, რისი თავი გაქვთო. ქურდებზე ზლობა ქონდა. მუსტაფა იყო მაშინ, პატარა იყო და

ვერ შეწვდებოდა მუცლამდე. მუსტაფამ უთხრა, პრიჩინა უნდაო, მერე კიდე ჯარი გიყენიაო, ჩვენო თორმეტი სული ქურდი ვართ და რო ჩავწყდეთ, მაინც გეომებით, მარა ჩვენ პრიჩინის ხალხი ვართო. რუხაძე იცინის, ბრაუნინგი შეიხსნა და ამბობს, ერთი ერთზე გამოდით, ვინც კაცი ხართო, ერთი ერთზე როგორ... თორმეტი სული ქურდია. გეუბნება არაკაცები ხართო, ყველამ თითო ხელი მაინც უნდა მიარტყას. არაკაცი ხართო, ვინც კაცი ხართო და გააქანა მუსტაფამ და მიარტყა ქვემოდან ალალი. რუხაძეს გეეხარდა და თითონაც მუჭა შეკრა და იჩხუბეს. მოერია რუხაძე, მუსტაფა რასაც მიწვდა თავისი გააკეთა და გაილახა. ნასილკებით წაიღეს. ის თერთმეტი კიდე უყურებდა, რო მოსულიყვნენ, რუხაძე რო დაახოცვინებდა და დარჩენ თავისთავათ არაქურდათ. გამოვიდა ბალნიციდან მუსტაფა, თერთმეტივეს დაუძახა და გააფუჭა თერთმეტივე. რუხაძე მახსოვს, თუ მახსოვს, აბა სხვა რა მახსოვს. მე რაჯა ვარ... მუსტაფა კიდე ქურდი იყო. პაბეგი გვაქ ერთათ, ცხრა დღე ლუკმა არ გვიჭამია, მოვდიოდით თელ რუსეთზე. ეგ სხვა სროკი იყო იმისთვის...”
რუხაძის ბარაკი სულ სამი იყო. ერთ მწკრივში. თავიდან კოლონია პატარა ჩანდა, მერე უმატებდნენ თანდათან.
გადარჩენილ კედლებს კი ურიოებით ანგრევდნენ. კოლონიის უფროსი ხარობდა.
პირველ პოსტს აქეთ საძირკვლისთვის თხრიდნენ მიწას და ასუფთავებდნენ. ეკლესიაც აქ უნდა აეშენებინათ.
ერთხელ ზანზიბარამ ჩამონგრეული კედლის ქვას ნალები ააფხიკა და ზაზას უთხრა:
“ნახე რა ქვაა. ნათალი ქვით არი ნაშენი”.
ზაზას გაეცინა:
“აქ რაღაცა იყო მანამდე. გაყოლებაზე სულ საძირკველია. სხვა საძირკველი. ბარაკისას არ ემთხვევა. რაღაცა იყო”.
“ციხე სიმაგრე?”
“ან ეკლესია”, უთხრა ზაზამ, “დაანგრიეს და იმით ააშენეს”.
“გავიქცეთ, ა?” თქვა უცებ ზანზიბარამ და ზაზამ პირი დააღო.
“რამდენი გველებია”, თქვა მღელვარედ.

24.

ქარიანი დღეები იყო, მტვრის ლაშქარი დაქროდა უდაბნოში. ებრძოდა რაც რამ შეხვდებოდა გზაში.
წმინდა მარიამ ღვთიშობლის მონასტრის ბერებს სტუმრები მოსვლოდნენ ძველისძველი თეთრი “ჟიგულით”. ფიცრულში ისხდნენ და ბერებს ელაპარაკებოდნენ. სტუმრებს თავშესაფარი სჭირდებოდათ ორიოდ დღით. პროფესორი ქავთარაძე ლაპარაკობდა. ზაური მოშორებით გასულიყო, მოსაწევად. სიგარეტს მუჭში მალავდა და ზურგს აგებებდა ქარს.
“ჩვენი ლაბორატორია რომ არ დანგრეულიყო, ნამდვილად არ შეგაწუხებდით. ვის ულხინს? მაგრამ ეს აუცილებელია. სურათის შესწავლა აუცილებელია. ჩვენ უპრეტენზიო ხალხი ვართ, ბატონო... ჩემო ბატონო. მანქანაშიც დავიძინებთ, მაგრამ მანქანაში ცხოვრება მაინც შეუძლებელია. სრულ ექვს თვეში, აქ ადამიანი ვერ გაძლებს. ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს სურათი... აი, სამხრეთით ძველი სატანკო ნაწილის ტერიტორიაა. მე ვეჭვობ, რომ მალე გავრცელების ცენტრი აქ გადავა. საპატიმროში არ მიშვებენ, მაგრამ იქაური სურათი წარმოდგენილი მაქვს. თქვენთანაც შესასწავლია. ეს ქარი ხელს გვიწყობს... საერთოდ, უმზეო ამინდი...”
“მე ვნახე”, ჩაურთო მამა გერმანემ, “მე ვნახე ჩვენთან. ეს ღვთის რისხვაა. უხსენებელთა აჯანყება. ჩვენ ვლოცულობთ... ჩვენ ჩვენი მსახურებით. ღვთის ნებით და შეწევნით. ჩვენ აქ ვიქნებით, ბატონო. ეს მონასტერი ჩვენი...”

“არა, არა, აქ ევაკუაციაზე არ არის ლაპარაკი. ყველაზე უხეში მეთოდი რომ ავიღოთ, სანამ აქ ის კოლონია არსებობს, ყოველთვის იქნება ქვეწარმავლებთან ომი. აქ ლაპარაკია იმაზე, თუ რა გვაქვს დღეს და რა მოგველის ხვალ. უდაბნოში ქვეწარმავალს ვერ გაწყვეტ. ეს დანაშაულია. ქვეწარმავალი ისეთივე მკვიდრია, ისეთივე საჭირო არსებაა აქ... მოკლედ, როცა ადამიანი მოვიდა უდაბნოში, მას ქვეწარმავალი დახვდა”,
“აქ იმ ლაბორატორიის არსებობა იყო უდიდესი ცოდვა. მე თქვენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ მიწისძვრა პირველი ნიშანი იყო. ეს სასჯელია იმ ცოდვებისათვის, რაც ამ უდაბნოში ხდება ერთი საუკუნეა. ეს არის რისხვა ღვთისა უგუნურებზე და ჩვენ მარტონი ვართ აქ და ვცდილობთ ჩვენსას. ჩვენ აქ ვიქნებით”, თქვა მამა გერმანემ და პირჯვარი გადაიწერა.
“მესმის და პატივს ვცემ თქვენს აზრს”, სხვა რაღა ეპასუხა ბატონ ოთარს, “ჩვენ უფრო... ეს მეცნიერებაა, მოგეხსენებათ და უნდა ვიცოდეთ... ამიტომ გთხოვეთ, რომ შეგვიფაროთ...”
ფიცრულში ზაურ ქობლიანიძე შემოვიდა.
“არ მახსოვს აქ ასეთი ქარი”, თქვა ხველებ-ხველებით, “ის ხმა ისევ ისმის, ბატონო ოთარ, ხო იცი?”
“რა ხმა?” უაზროდ ჰკითხა პროფესორმა.
“ვითომ რომ ზარებს რეკავენ. ქარში რო იყო ხოლმე...”
“ხოო...”
“რა ხმაა, თქვენ გეცოდინებათ... ასე მოგუდულათ, წკრნ... წკრნ... ოღონდ უფრო სქელი ფოლადის ხმაა. ჟღრნ... ჟღრინ. და ძალიან შორიდან. ეგება ქარს მოაქ საიდანღაც, მარტო ქარში იყო ხოლმე და... რა არის?”
“გასაგებია”, თქვა მამა გერმანემ, იქ სამი სენაკიდან ჯაჭვებია გადმოშვებული. ძველად... და ქარში ეხლება კლდეს და ხმას გამოსცემს”.
“საოცარი ადგილია”, თქვა პროფესორმა.

25.
სამხედროები მოულოდნელად გამოჩნდნენ. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ უდაბნოში თექვსმეტი გაბრაზებული ჯიპი შემოგრიალდებოდა? ანდა ვიღას ახსოვდა მიტოვებული, დანგრეული სატანკო ბაზა? თურმე შტაბში არასოდეს დავიწყებიათ სატანკო ნაწილი, დროთა ცვალებადობამ და მიწისძვრამ რომ მიაგდო უდაბნოს კიდეზე, კოლონიურ ჯარის უფროსობისგან მიღებულ სამხედრო ნაგებობებს შტაბში დიახაც რომ მონდომებით ითვლიდნენ და იკვლევდნენ. ერთ საქაღალდეში ჩატეული სატანკო ნაწილის თავგადასავალი თავიდან განზე გადაედოთ, რახანღა იცოდნენ, რომ დანგრეული და გაპარტახებული ბაზისთვის ფულს ვერ იშოვიდნენ. მაგრამ ამ ძველებურ, წითელზოლიან საქაღალდეს მტვერი არ დასდებია, მავანი ლეიტენანტი ჩამოიღებდა ხოლმე თაროდან, გადაფურცლავდა და რაპორტს ამზადებდა. სწორედ ამ ლეიტენანტის რაპორტი შეიქნა საფუძველი იმისა, რომ მთავარ შტაბის ეზოში ჯიპები დაექოქათ.
სატანკო ნაწილი მძიმე სანახავი იყო. არც იყო სანახავი, ანუ იქ, სანახავი არაფერი იყო. გენერალმა შველიძემ და გენერალმა გაბიძაშვილმა დიდხანს ათვალიერეს იქაურობა და პოლკოვნიკ ურუშაძეს მოხედეს.
პოლკოვნიკ ურუშაძეს შავი სათვალე არ ეკეთა და ჯარში უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტიდან მოსულიყო.
“სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ადგილია”, თქვა მან.
“ყველაფერი ხელახლაა ასაშენებელი”, წაიბურტყუნა გენერალმა გაბიძაშვილმა.
“მონასტერი?” იკითხა გენერალმა შველიძემ, “გახსოვს, რა ამბავი იყო მაშინ? ფრესკებიო, იბზარებაო...”

პოლკოვნიკ ურუშაძეს ჩაეცინა, გაახსენდა, როგორ მოაწერა თხუთმეტი წლის წინათ ხელი უდაბნოდან ბაზის გატანის მოთხოვნას. მაშინ ერთი ამბავი იყო.
“ჯერ რა დროსია”, ხელი აიქნია გაბიძაშვილმა, “ჯერ... შეხედე ამას... თუ გვიტოვებდნენ, დანგრეულს. ჯერ რა დროს მაგის ლაპარაკია, ავაშენოთ ჯერ. ამას სმეტა უნდა ახლა, ტანკი კი არა...”
“ჩაიწერე”, ადიუტანტს მიუბრუნდა შველიძე, “ჩაიწერე. პირველი... მთელ პერიმეტრზე, კალიუჩკა, შესაბამისი დაფა-გაფრთხილებებით, რომ არის შტაბის ტერიტორია, მეორე, საგუშაგო, ერთი ათეული, მთელი ამუნიციით საველე საგუშაგო...”
“გვინდა ჯერ?” გენერალი გაბიძაშვილი ჩექმის ჭვინტით მიწას ჩიჩქნიდა, “ქვაა, რა...”
“აქ ბევრი გველები იყო ყოველთვის”, თქვა პოლკოვნიკმა ურუშაძემ, “ეს ბაზა გველმა დაანგრია...”
“ჩაწერე, გოგირდი”, თქვა გენერალმა შველიძემ, “მოძრავი აფთიაქი, ერთი ათეულის...” და დაფიქრდა.
“გვინდა ჯერ?” გაიმეორა გენერალმა გაბიძაშვილმა. “იქეთ ზონაა...”
“იყოს მერე... საერთოდ მაგ ზონაზე უნდა ავტეხოთ რამე. გაიტანონ და მანდ მეორე ბაზა...”
“ჯერ ადრეა მაგაზე...” არ დაიშალა გენერალმა გაბიძაშვილმა.
“ეგ ზონა მად? სამი წელი მაქსიმუმ”, დაბეჭდა გენერალმა შველიძემ. “ვიცი. იყო ლაპარაკი, არი უკვე ლაპარაკი. ეს უდაბნო ჩვენი იქნება. ძალიან სერიოზული ლაპარაკი იყო. იქედან არი პირდაპირ, პარტნიორებისგან. შენ რო ამბობ სტრატეგიულიაო, იქედან არ ამბობ?”
“ვიცი”, თითქოს ეწყინა გენერალ შველიძეს, “მაგრამ ეგ...”
“და საპატრიარქო?” იკითხა უცებ პოლკოვნიკმა ურუშაძემ.
“ზონაზეა ლაპარაკი. იქეთ კიდეა რაღაცა ინსტიტუტის ფილიალი...”
“გველთსაშენი...”
გენერალმა შველიძემ გადაიხარხარა.
მესამე და მეოთხე საგუშაგოების კოშკურებიდან დაინახეს მტვერში მიმქროლავი ჯიპები.
მზე ჩადიოდა და არ იყო ქარიანი საღამო.

26.
ბუხია, ქურდი ქარს მორიდებულ ადგილას იჯდა. თითებში კრიალოსანს ათამაშებდა და ფიქრობდა. კოლონიის მეორე ბოლოში, რუხაძის ბარაკების ნანგრევებში მოფუსფუსე პატიმრებზე. წინა საღამოს ბუხიასთან ერთი ლაპარაკი მოვიდა. ბუხიას აინტერესებდა გველების ამბავი მშენებლობაზე და ის, რომ ერთმა პატიმარმა მათი გატყავება დაიწყო. ქამრების, ქისების და ასეთი რამეების შეკერვის სურვილი თავისთავად გაჩენილიყო.
“რამდენი ყოფილა”, გაიფიქრა ბუხიამ და სწორედ ამ დროს უთხრეს.
“რუხაძემდე კიდე ყოფილა იქ რამეები, ძველი აბალოვკა გამოჩნდა”.
“იქნებოდა”, თქვა ბუხიამ, “სუ ანგრევდნენ და აშენებდნენ. რა იქნებოდა?”
“ის ამბობდა, ეკლესია იქნებოდაო, ან რამე ეკლესიის რო გვერძე სახლია ხოლმე...” მოახსენეს, “ზანზიბარამ ნახა და მღვდელი იყო იქა და იმან დაუწყო ყურება”.
“დაანგრიეს, ეხლა ისევ აშენებენ ეკლესიას... ხელახლა”, თქვა ბუხიამ.
“რაჯამ თქვა, ქურდები ცხოვრობდენო”, შესცინა ნამცხვარამ, “რაჯამ თქვა, სადაც მიწაზე რამე იყო, იმის ქვეშ ქურდების სახლი იყო მიწაშიო”.
ბუხიამ ჩაიცინა.
“მეფის დროსო... მიწაში გზები იყოო...”
“გველები?” ჰკითხა ბუხიამ და დაეჭვდა.
“რა გველები?”

“გველები როა მიწაში, კაცი როგორ გაჩერდება?” და კიდევ უფრო დაეჭვდა. მერე ბუხია ჩაის სვამდა, იქავე, ქარს მოფარებულ ადგილას.
ბიჭებმა ზაზა მოიყვანეს.
“ელოდები პრაზნიკს?”
ზაზამ ხელი ჩაიქნია.
“ხვალე მოვლენო”.
“მოვლენ და წავლენ”.
“ჩაის არ დალევ? დაჯე აქა, ხელით ანიშნა ბუხიამ.
ზაზას მთელი დღე არ ასვენებდა მაშა მაშკოვა. ახლაც გვერდით ჰყავდა.
“მანდა ბიჭო, რა იდგა ადრე? რა ნახეთ?”
“საძირკველია”, მიუგო ზაზამ, “ალბათ ეკლესია”.
“ჟალომ იცის ეგ ამბავი?”
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“რა ცოდნა უნდა? ვინც დაინახავს ყველამ იცის”.
“მიწა მიაყარეთ, ხო გაიგე... არ უნდა ყურება”.
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“არ უნდა ყურება”, და ბუხიამ თითქოს თავისთვის თქვა, “მიჩალიჩებენ, მიჩალიჩებენ...”
27.
იმ სამ პატიმარს შორის, ურიკებით რომ გაჰქონდათ დახოცილი გველები უდაბნოში, პოლკოვნიკიც იყო.
გაოფლილი დაბრუნდა და კედელთან ჩაცუცქდა.
“რა იყო?” ჰკითხა ზაზამ.
პოლკოვნიკმა ვერ გაიგონა.
“გარეთ გაისეირნა. ღელავს”. თქვა მაშა მაშკოვამ, ზაზას ხელკავი გამოსდო და წაიყვანა.
“ე”, დაიძახა რაჯამ, “სად მიდიხარ?”
“რა შენი საქმეა, ბებერო?” თითქოს ეწყინა მაშა მაშკოვას.
“არსად”, გაჩერდა ზაზა.
“ესა, თქვი, აბა, პრაზნიკი როა, კაი კაცი როგორ უნდა მოიქცეს? პატიოსანი ბიჭი როგორ მოიქცეს?” ჰკითხა რაჯამ.
“როგორც ქრისტიანის წესია”. ზაზას მობეზრებოდა რაჯას ჩამჭრელი კითხვები.
“ბოზების პრაზნიკზე კაი ბიჭი როგორ უნდა მოიქცეს?” არ მოეშვა ბებერი,
“ერთხელ ბალკავში ვიჯექი მე და იქ მოაწყეს ეგეთი პრაზნიკი და ყველა კაი ბიჭებმა თქვეს, რო თუ ძალათი პლაცზე გამოგვიყვანეს, ყველა მოვტრიალდეთ და ტრაკით დაუდგეთ იმათ პრაზნიკს...”
“მერე?”
“მერე ბოზები არ დაუდგენ. აქტივისტები არ დაუდგენ. ჩვენ ბურში შეგვიშვეს. მერე ბოზები ფიცრებით ვცემეთ...”
“მერე?”
“მერე... ოცდაათი წლის ვიყავი. ბიჭი ვიყავი. ეხლა რამდენისა ვარ? იმის მერე უკან-უკან მიდის”.
“რა გინდა?” ჰკითხა ზაზამ.
რაჯამ გაიხედ-გამოიხედა და ჩაიჩიფჩიფა:
“ეხლა მე ბოლო გატრაკება მაქ. პაბეგი უნდა გავწიო...”
ზაზას გაეცინა.
“ბუხიასთან მიდი”, უთხრა უდარდელად.
“ბუხია სტროიკაზეა, დადის, მიწაში იყურება”, თქვა რაჯამ, “მე ვიფიქრე, რა დაკარგაო...”
“წამო, წამო”, დაიწივლა მაშა მაშკოვამ, “აღარ მოგბეზრდა ამის სისულელეები?”

“აქედან სად გაიქცევი?” ვეღარ მოეშვა ზაზა, “უდაბნოა”.
“უდაბნოც მიწაა”, დამწვარ სახეზე აიფარა ხის ფესვის მსგავსი ხელი რაჯამ. პოლკოვნიკი ჩუმად იყო. ჩაცუცქული ჩაშტერებოდა მიწას. შუბლიდან წყდებოდა ოფლის წვეთები და ძირს ეცემოდა. წკაპ... წკუპ.
“ზარის რეკვის ხმა ისმის, იქ რო გახვალ”, თქვა და იმანაც ხელები აიფარა სველ სახეზე.

28.
“უცნაურია”, გაიფიქრა ბატონმა ოთარმა, “აი, ვდგავარ შუა უდაბნოში, ამ დანჯღრეული თეთრი “ფიატის” ძარაზე და რას ვგავარ შორიდან? ალბათ ძეგლს. ნეტავი ვინმე თუ მხედავს?”
ბატონი ოთარი იმიტომ ამძვრალიყო მანქანის ძარაზე, რომ გარემოს მოთვალიერება სურდა. ეს საჭირო იყო. წინა დღეს, დოცენტმა ზაურ ქობლიანიძემ გველების სასაფლაო აღმოაჩინა. ცხადი იყო, კოლონიაში ომი მიმდინარეობდა. ბატონი ოთარი ცდილობდა საერთო სურათი დაედგინა და შემდეგ, ქალაქში დაბრუნებულს, მეცნიერებათა აკადემიისთვის შუამდგომლობის ქაღალდები ეთხოვა, რათა კოლონიის ტერიტორიაზე შეეღწია. იცოდა, სამინისტროებსა და რომელიღაც სამმართველოებში სირბილი მოუწევდა, მაგრამ ამას არ დაგიდევდათ.
ისინი მთელი დღეები დახრიგინებდნენ უდაბნოში დოცენტის ძველი მანქანით, საღამოობით კი ბატონი ოთარი დიდ ყვითელ ბლოკნოტში იწერდა ყველაფერს. მოხსენება მოკლე და ტევადი უნდა ყოფილიყო. ქარი დაქსუტუნებდა ფიცრულის ღრიჭოებში და მამა გერმანესაგან მოძღვნილი ჭრაქის ალს აცეკვებდა.
“ბატონო ოთარ”, ეტყოდნენ ხოლმე ბერები, “გადაღმა კიდევ არის ადგილები”.
“ვიცი, შვილო”, წაიბურტყუნებდა ბლოკნოტს ჩაღრმავებული ბატონი ოთარი. ძირითადად სიჩუმე იყო, ბერები ბევრს არ ლაპარაკობდნენ. ბატონი ოთარი კი ეგრეც ვერ გაერკვა მათ ყოფაში. დღეს უდაბნოში ატარებდა, მწუხრის ლოცვისას წერდა და შემდეგ გვიანობამდე იჯდა ხოლმე ფიცრულ წინაკართან. ცისკრის ლოცვისას ეძინა და მხოლოდ ზაურ ქობლიანიძის არცთუ ფიქრიანი წამოძახილების შემდეგ დაფიქრდებოდა მონასტრის ცხოვრების გამო. ზაური კი ერთსა და იმავეს იტყოდა ხოლმე.
“რა წყნარათ არიან...”
ახლა კი ბატონი ოთარი მანქანის ძარაზე იდგა და უდაბნოს ათვალიერებდა. მესამე დღე იყო და ეგრეც ვერ მოეხერხებინათ ძველ გველთსაშენში მისვლა. აქვე მანქანაში წავიჭამთ პურს და ყველს და მერე იქით გავწევთო. ზაური შორიახლოს იდგა, ჭოგრიტით უჭვრეტდა არემარეს.
“მანქანა მოდის”, თქვა გაკვირვებულმა.
“ვხედავ”, ხელი მოიჩრდილა ბატონმა ოთარმა, “ვილისია...”
“ეს, ბატონო ოთარ, კოლონიიდან ხო არ იქნება? შეიძლება დაგვინახეს და...”
ბატონი ოთარი ფრთხილად ჩამოცოცდა ძარიდან.
“ვინ ოხერია...” თქვა თითქოს ნირწამხდარმა.
“ისინი იქნებიან... გვამოწმებენ, ალბათ. საქმე არა აქვთ?”
ვილისი ბევრად უფრო მხიარული ხალხით იყო სავსე, ვიდრე ელოდნენ. წინა სავარძლიდან ბრგე, ლოყებღაჟღაჟა და უაღრესად კულტურული იერის კაცი გადმოხოხდა და ხალისიანად წარმოთქვა:
“გამარჯობათ...”
“გამარჯობათ”, უთხრა ბატონმა ოთარმა, ხოლო ზაურ ქობლიანიძემ თავი დაუქნია და რატომღაც ძარა ახადა მანქანას.
“გამარჯობათ...” გაიმეორა კაცმა, “მგონი მინახიხართ... მეცნიერებათა აკადემიაში”.

“ჰო... კი... კი”, ბატონი ოთარი ვერ იყო ყოჩაღი სახეების დამახსოვრებაში და სრულიად შეცდომით გაიფიქრა, რომ ეს ხალხი აკადემიის პრეზიდიუმმა გამოაგზავნა პირადად მასთან რაღაც გადაწყვეტილებით.
“არა... არა... ბატონო”, გაიცინა კაცმა, “მე ქვემოთა მხარის არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი ვარ. ამირან კეჭაყმაძე...”
“პროფესორი...” დაამატეს ვილისიდან.
კეჭაყმაძემ ხელი აიქნია და განაგრძო:
“სამოცდაცამეტი წლიდან ვჯახირობ, რომ უდაბნოში გათხრები დაიწყოს. კი იცით, რაც იყო აქ. დახურული ზონა, უბედურება, ჯარი... სამოცდაცამეტი წლიდან. ხუთი წელიწადია კიდევ თანხებს ვეძებთ. ახლა გერმანული გრანტიც გვაქვს, სამწლიანი, ყოველგვარი ნებართვაც და მოვედით პირველ დაზვერვაზე...”
“ჰოო...” მეტი ვერაფერი თქვა ბატონმა ოთარმა.
“ეუჰ...”, აღმოხდა საბარგულში თავჩარგულ ზაურ ქობლიანიძეს.
“ბოდიში და... თქვენ?” შესცინა ხალისიანმა არქეოლოგმა.
“გრძელი ამბავია... წავიდეთ ჩვენსა და იქ გიამბობთ. ზაურ... უკან მოგვყევით”, ბატონი ოთარი მანქანაში ჩაჯდა და გაიფიქრა:
“ორი პროფესორი უდაბნოში... რა ყველას აქ მოუნდა რაღაცის გაკეთება?”
29.
ყველა იქ იყო, დიდმოხელეები, მინისტრები, ეპისკოპოსები, გენერლები, პარლამენტის წევრები. რა თქმა უნდა, ყველა არა, ზოგიერთი. ამინდი კვლავ მზიანი და ქარიანი გამოსულიყო. პატიმრები აქეთ იდგნენ, სტუმრები იქით. შუაში საძირკვლის ღარი იყო და ოთხი აქტივისტი მონდომებით ზელდა ცემენტს. კოლონიის უფროსს თეთრი პერანგი ეცვა. აპარატების ჩხაკუნის ხმა ისმოდა და შილიფად ჩაცმული გოგოები ტელეკამერიან გაუპარსავ ბიჭებს დაარბენინებდნენ აქეთ-იქით. ორკესტრი მოგუდულად უკრავდა და როცა ჩადუმდებოდა, მგალობელთა ქორო წამოიწყებდა საგალობლებს. პატიმრებს რაღაცები აჩუქეს, შორიახლოს ტორტიც გაიჭრა. ცერემონიალის გასრულების შემდეგ შამპანურის სურნელიც დაატრიალა ქარმა. ეგ იყო, ყველაფერს უდაბნოს მტვერი ეფინა, ქარი იყო.
“ზაზა!” მოესმა უცებ ზაზას, რომელიც მოედნის კუთხეში ჩამჯდარიყო. “ზაზა...” ზაზამ გაიხედა. ვაჰ, მოსუქებულიყო, წვერი მოეშვა. მაინც იცნო.
“ზაზა”, და ერთმანეთს გადაეხვიენ, “აქ... რა გინდა, ტო?”
“თაზო”, თქვა ზაზამ, “თაზო, შე...”
ერთმანეთს ეხვეოდნენ. რამდენი ხანი, წლები იყო, არც კი დაენახა. კლასელები იყვნენ. თაზო სულ ხუთიანებს იღებდა, ოქროს მედალი მიიღო და სამედიცინოზე ჩააბარა. მაშინ ასე იყო, დაიმსახურებდი მედალს და ჩააბარებდი სამედიცინოზე, ან იურიდიულზე.
“აქ რა გინდა, ტო?” სიცილით კითხა თაზომ.
“შენ თითონ რა გინდა?” ნერწყვი გადასცდა ზაზას.
“მე ღონისძიების ამბავში. მე ხო სასჯელაღსრულების კომისიაში ვარ პარლამენტში. თანამდებობით მერგება. რა კოშმარია, ტო... ეს ზონა უნდა გადავიტანოთ აქედან. ესენი კიდე პირიქით, ახლა დაიწყეს ეკლესიის შენება”.
“ეკლესია ააშენონ, ზონა გადაიტანეთ”, თქვა ზაზამ.
“ხო, რა ვიცი. ამ საწყალ პატიმრებს კიდე რაღაცის შენება უნდათ? უკან დანგრეულია ყველაფერი...”
“პარლამენტში რა გინდა?” ჰკითხა ზაზამ.
“დეპუტატი ვარ, ტო... შენ რას შვები?” და მოიღრუბლა, “აქ რა გინდა, ტო?”
“ვზივარ”, უთხრა ზაზამ მშვიდად.
“ზიხარ?” პირი დააღო თაზომ, “ზიხარ...” და აღარაფერი თქვა, შეხედა ზაზას თვალებში და ასე შეეცადა ეკითხა: “ქურდობაზე?”
“არა”, თავი გააქნია ზაზამ, “მკვლელობაზე”.

“რა?”
ქარი იყო აუტანელი და კიდევ უფრო აუტანელი მზე.
“მოიცა...”
“მკვლელობაზე... დეიდაჩემი წაიქცა, თავი დაარტყა და... მე ვზივარ. აქ მარტო რეციდივისტები და მძიმე დანაშაულის ხალხია”.
“მოიცა... რამდენი ხანია?”
ზაზამ მხრები აიჩეჩა: “სამი წელია”.
“და რამდენი მოგისაჯეს?”
“ბევრი...”
მერე იდგნენ და ეწეოდნენ.
“ბატონო თამაზ, კაბინეტში გთხოვენ...” მოვიდა ვიღაც.
“მოვალ... ხო”, ხელი აიქნია თაზომ და წაიბურტყუნა: “როგორ, ტო...”
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“რა ვიცი... ეგრეაო”.
“და...” კვლავ თვალებით ჰკითხა თაზომ.
ზაზამ თავი გაიქნია.
“არა, თაზო, არაფერი არ ყოფილა”.
“ბატონო თამაზ...”
“ახლავე... მისმინე. მე... მე ერთ კვირაში ჩამოვალ და გნახავ...” თქვა თაზომ, “ყველაფერს გავარკვევ...”
ზაზას გაეცინა. ჩვეულებრივად, არცთუ ბოროტად.
“ნუ იცინი... ჩამოვალ”.
“არ ვიცინი”, შერცხვა ზაზას, “აქ სხვა პონტია...”
“რა პონტია? გეუბნები მოვალ... ყველაფერს გავარკვევ, რის გაკეთებაც შეიძლება იმასაც გავარკვევ... გნახავ. ახლა წამო, ვაბშე, წამო ერთად შევიდეთ, ტო. დაველაპარაკოთ. უნდა შევიდე აქ...”
ზაზას კვლავ გაეცინა.
“ხო, მესმის”, თქვა თაზომ, “მალე ეგ პონტიც აღარ იქნება...”
“რა პონტი?”
“აი, ეგ პონტი... მოვალ”. თაზო გატრიალდა და ადმინისტრაციის შენობისკენ წავიდა.
“ეგ ვინ იყო, ხელცქვიტ?” თითქოს მიწიდან ამოიზარდა რაჯა.
“მიდი, რა...” განზე გაიხედა ზაზამ.
“ჰა, რა ხალხში დაიჭირე საქმე?”
“ჩემი კლასელია...”
“მერე უთხარი გაგიყვანოს. ნაჩალნიკია. რამხელა საათი უკეთია”, არ მოეშვა რაჯა, “ეს ერთი კბილი დამრჩა და ისაც მენძრევა. ზანზიბარას უთხრა, ამომიღოს”, მოიწყინა ბებერმა.
“ის ვინ იყო?” უკვე ბნელდებოდა და ზაზა ბუხიასთან იჯდა ოთახში.
“კლასელი”, ამოიოხრა ზაზამ.
“მაგას ზონების საქმეები უჭირავს მთავრობაში”.
“მითხრა”.
“მერე, შენ რომ შემოგხედა, არ თქვა რო გასაყვანი ხარ?”
“არ უთქვამს”.
“იქ ილაპარაკა, ქეიფზე, ჟალოსთან. შენზე ჩააგდო სიტყვა. იქიდან მოიტანა ჩიტმა ამბავი”.
ზაზამ მხრები აიჩეჩა.
“ნუ აკეთებ ეგრე... აქედან შენ და ზანზიბარა ხართ გასასვლელი. ეგ ბიჭი თავისას გაგიკეთებს. იფიქრე მაგაზე... მე ამ ჟალოს...” და აღარ დაასრულა, “ორ წელიწადში აქ ზონა აღარ იქნება, არი ლაპარაკი”.
“იცი, რა?” თქვა მაშა მაშკოვამ, “ჩვენ მალე შევხვდებით ერთმანეთს. სულ უბრალო ადგილას. კაფეში შევხვდებით, სეირნობას ვერ ვიტან. შევხვდებით,

პატარა მრგვალ მაგიდასთან დავაყრდნობთ იდაყვებს და თვალებში ვუყურებთ ერთმანეთს. ვუყურებთ და ვუყურებთ...”
ღამე იყო. ზაზა გულღმა იწვა.
“სად არის?”
პოლკოვნიკი იყო.

30.
მას ყველაფერი ახსოვდა, მაგრამ არასოდეს მოიხმარდა წარსულს, როგორც რაიმე სასარგებლო იარაღს. მისთვის წარსული და დღევანდელობა ერთი იყო, ვინაიდან დღევანდელობაც არ წარმოადგენდა ისეთ საჭურველს საქმეში, რომ გამოდგომოდა. წარსული მისთვის არ იყო გამოცდილება, ხოლო დღევანდელობა თუ იყო რამე, მხოლოდ მოქმედება და მომხდარის სავალდებულო განსჯა. ამიტომ დღევანდელობა წარსული იყო, ყოველწამიერად იზრდებოდა და ალბათ, არც არსებობდა. წარსულის გამოყენება და მოხმარება კი სრულიად შეუძლებელი იყო. უბრალოდ, წარსული განუწყვეტლივ მოითხოვდა პასუხებს. წარსული გამოუსადეგარი ჩანდა გამოცდილების თვალსაზრისითაც. არსებობდა ადათები, რომელთა ერთგულებაც გამორიცხავდა გამოცდილების სარგებლიანობას. ადათები გამორიცხავდა სიმპათიას და სიყვარულს, სიძულვილსა და წინასწარგანზრახულ მტრობას, ერთგულება ამ ადათებისა მას მიაჩნდა თავისი ცხოვრების მთავარ ღირსებად და საქმედ და ამიტომაც მარტო იყო, უდაბნოში გამოკეტილი. ვერავინ ძლებდა მის გვერდით დიდხანს, რადგან მისი სიჭარმაგის დროში, აი, ამ დროში, აღარც იყვნენ ასე ერთგულნი ადათებისა, უჭირდათ ერთგულება, თვალს სჭრიდათ სიმდიდრე და ამიტომაც გამოიგონეს ახალი ადათები, რომელთა აღიარებასაც სიტყვით ვერ ბედავდნენ, ქცევით კი ახერხებდნენ. ძველ დროშიც მოიძებნებოდნენ ასეთები, მაგრამ მაშინ სიმდიდრე არ იყო. ახლა ყველაფერს სიმდიდრე უმაგრებდა ზურგს. ცოტანიღა იყვნენ ისინი, ვისაც ადათების ერთგულება შეეძლო. ამათგან ერთი, თვითონ იყო, უდაბნოში გამოკეტილი და ფიქრობდა იმის გამო, რა იქნება ხვალ. სულ უფრო და უფრო ჭირდა ადათებით მოქცევა და ისეთად ყოფნა, ამ ადათებმა რომ გამოძერწეს.
მას გამორჩეული სიმწაფრით მოედებოდა ხოლმე წინათგრძნობის უცნაური, ამოუხსნელი და ავი ალი. ამ ალის ჩაქრობა არასოდეს უცდია, ვინაიდან წინათგრძნობა ერთადერთი რამ იყო, მას რომ დაეხმარებოდა ხოლმე. ასეთი უტყუარი და ერთგული მეგობარი არც ყოლია. ამიტომ ალი წინათგრძნობისა აიძულებდა ეფიქრა, განესაჯა და გადაეწყვიტა. ქარს მორიდებული იჯდა ხოლმე კედელთან და ფიქრობდა. ეს თამაშს ჰგავდა, რადგან წინათგრძნობის კარნახს მოჰყვებოდა უხილავი მშენებლობა, უამრავი ჯერ არმომხდარი, მოსახდენი ამბისა მის გონებაში. ეს არ იყო უბრალო ამბები, ეს საშინელი ამბები იყო. ასე გრძელდებოდა ოცდასამი წლის განმავლობაში და საშინელი ამბები მოითხოვდა ადათებით დადგენილ პასუხებს, ჯერ ფიქრში, მერე ყოფაში. და სულ უფრო ძნელი იყო ადათების მორგება ამ ამბებზე. ცხოვრება სადღაც სხვაგან მიდიოდა და წინათგრძნობაც სხვაგვარად კარნახობდა. ანუ წინათგრძნობა ის გამოდიოდა, რასაც არასოდეს მოიხმარდა, როგორც რაიმე სასარგებლო იარაღს. ყველაზე ერთგულ, უღალატო მეგობარსაც კი სხვაგვარად დაეწყო ლაპარაკი, თუმცაღა მაინც ეხმარებოდა ნაბიჯის გადადგმაში, ნაბიჯი კი საზარელი უნდა ყოფილიყო. სხვა გზა აღარ არსებობდა.
ერთხელ დაინახა ისინი. მანამდეც დაენახა, ასჯერ და ათასჯერ, მაგრამ იმ ერთხელ დაინახა და სწორედ მაშინ მოესმა ერთგული მეგობრის ხმა. მზიანი დღე იყო. ისინი ამომშრალ ჭასთან ჩაცუცქულიყვნენ და ბებერი რაღაცას ყვებოდა.

ის მოშორებით შედგა, გახედა მათ, სამნი იყვნენ, თითქოს საცოდავები, თითქოს უბედურები, უბრძანებდი და მთელს სიცოცხლეს გაატარებდნენ აქ, ჭის პირას მსხდომნი.
და მოესმა:
“გაიქცევიან”.
იცოდა ვისი ხმაც იყო.
ბუხია იჯდა და ფიქრობდა.
ჯერ არმომხდარი, მხოლოდ მის თავში მოტრიალე ამბებში ჩანდა - კვამლი და სისხლი და არაფერი კვამლის და სისხლის გარდა.
31.
ნიკელგადამძვრალ ძველ ლანგარზე ჩაი ცახცახებდა რუსულ, ყვავილებიან ფინჯნებში, დეიდა თინას ხელები ბებრულად უკანკალებდა, მაგრამ მაინც არავის დაანება ლანგარი.
მილაია სტარუშკა, გადაულაპარაკა მაშა მაშკოვამ ზაზას, როცა დეიდა თინა კვლავ სამზარეულოსაკენ წაფაჩუნდა.
“ანა სტროგაია, ი ტაკაია, ვოტ, წაიბურტყუნა ზაზამ, ეო სინ მოი დვოიროდნი ბრატ, ვ ამერიკე ი ანა მნე კაკ სინა, ი რანშე მი ს მამოი ზდეს ჟილი, ტაკ შტო ანა მენია კაკ მამა” - დეიდა თინა შინდის მურაბით სავსე ძველი, მაღალფეხიანი ვაზით დაბრუნდა და ყურადღებით, თითქოს გამომწვევად, თითქოს სიხარულით შეაცქერდა მაშა მაშკოვას.
“– ტაკ ზნაჩიტ, სკოლკა უ ვას ტატარცკაი კროვი, მილაია? –” ჰკითხა ეშმაკურად.
““– ოი, მნოგა!...” გადაიკისკისა მაშა მაშკოვამ, ““ოი, ნიკაგდა ნე დუმალა, სკოლოკა უ მენია ლიტროვ კროვი!..”
დეიდა თინა ჩამოჯდა, მთლად გაეშმაკებულმა უთხრა.
“კროვი უ მენია მნოგა, ეტა ვიდნა! პირი მაინც დამუწე.
მაშა მაშკოვა კვლავ კისკისებდა.
“ა პრა ტატარსკუიუ კროვ ია ნე ზრია სპროსილა, კურიტე ნა ზდაროვიე, – საფერფლე მიუჩოჩა დეიდა თინამ მაშა მაშკოვას: ია ტოჟე კაგდატა კურილა,”ონ, ეტოტ ნაშ ჩოყლაყ, ონ ნე სტეპნოი ჩელავეკ ა უ ტებია ვ გლაზახ სტეპ! “
”– ნუ შეჭამე რა, დეიდა თინა”, ამოიოხრა ზაზამ.
“– ნეტ, ია დალჟნა ზნაც”, არ დაწყნარდა დეიდა თინა.
“– ვი პო რუსკი პაზგავარივაიტე, კაკ რუსკაია, , უთხრა მაშა მაშკოვამ, ონ ჩესნი, ა ია მნოგა ჩევო ვიდელა, ტო ესტ იაი, ნი იაი ივო, ა ონ მოი, ა რაზვე ონ მოი, იაი ევო ტერიაც ნე საბირაიუს”
”– პანიატნა, თავი ჩაღუნა დეიდა თინამ, “Прнჭინრ... - ნუ ი კაკ? ჩტო ი კაგდა? ნუ მ კთკ? ცირ მ კრგლთ?”
“ნუ, ყნთჩთოთ რნ ლროდენ ვძღიმ რიიულთ”, აღმოხდა მაშა მაშკოვას, “ნე იპულნრ ითს, ითს ნეოტზჭ აპრყირ. “ნ ლროდენ ვძღიმ ობქრღ ჯენრღ. “ძ ლროდნძ ვძღიმ ობქრღ ჯენრღ, ჯენრღ დმზნმ...”
“ნე ნთლრ რ ჯენთხ, სმოთჭ”, შეაწყვეტინა დეიდა თინამ, “Я ქრბყტ ჯენ. Вყე ითკ ლრპრგრ... ნუ ოთლნრ, ლრაუყიმს ვძშოთ. ჩირ ლთოტშე?”
“ზაზა”, ზანზიბარა იდგა. სიგარეტს თუ ეძებდა ჯიბეში, “ზაზა... ერთი, გამო”.
“ხო მშვიდობაა?” გამოერკვა ზაზა.
“მტერს ეგეთი მშვიდობა”, თქვა ზანზიბარამ, “გვირაბია...”
“რა?” ხმა ჩაუწყდა ზაზას.
“გვირაბია, თუ პადვალი არ ვიცი”, მიმოიხედა ექიმმა. “ვთხრიდი მხარეს. ვთხრიდი. არ იყო სათხრელი და ვთხრიდი, რა ვიცი. ერთი დავარტყი, ორი... ხუფია, რკინის რგოლი აქვს...”
“სარდაფი იქნება”, წაიბურტყუნა ზაზამ, “მანდ ხო რაღაცა იყო”.
“არ ვიცი. აგურები დავაფარე. დავალაგე ზემოდან... როდის ვნახოთ?”
ზაზამ მხრები აიჩეჩა.

“ქვაა გათლილი და რგოლი აქვს”.
“ვნახოთ...”
“როდის?”
ზაზა ცახცახებდა, ზანზიბარას კი ოფლი უბრწყინავდა გარუჯულ შუბლზე.

32.
საღამოვდებოდა, უკვე მერამდენედ, როცა ზანზიბარა მოვიდა და ზაზას წინ ჩაცუცქდა. ოფლის წვეთები ეკიდა წარბებზე და მხიარულებით მოქანცულ კაცს ჰგავდა.
“რა მოიპარე?” ჰკითხა ზაზას.
ზაზამ უბიდან ნადავლი ამოალაგა: მონიკელებული ძველი პორტსიგარი, ზედ ამოტვიფრული კრემლის კოშკურებით, უვარსკვლავო ჭაობისფერი სამხრეები, ერთი კამათელი, სანთებელა, რომელსაც სამანტა ფოქსი ეხატა და ავტოკალამი, რომელიც ერთ დროს მანეთი და ოცი ეღირებოდა.
“უსარგებლო ნივთებია”, ჩაიცინა ზანზიბარამ.
“კალენდარი არ იყო, თორემ კალენდარსაც ავიღებდი”, თავი იმართლა ზაზამ.
“ორი ბოთლი არაყი გვინდა”, თითები გაატკაცუნა ექიმმა. “ორი ბოთლი არაყი გვინდა... ერთი გრელკა არაყი, ვინმესგან რომ გვაყიდინა...”
“რათ გვინდა? კალენდარი არ გინდოდა?”
ზანზიბარამ ცალი თვალი გააპარა ათიოდ ნაბიჯში მდგომი პატიმრებისკენ და თქვა:
“მგონი განძი ვიპოვე... ერთ ორმოში უნდა ჩაგახედო”.
“მერამდენედ მეუბნები”. გაეცინა ზაზას.
“ხო... მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ჩაგახედე... სულ ხალხია გარშემო. არაყი მინდა, რომ ღამე ბარაკიდან გამოვიდეთ და ჩაგახედო. ოთხი ფილაა, ძლივს ავწიე ერთი. ორმოა. ხომ გითხარი, ზემოდან დავაყარე ყველაფერი”.
“ღამე რას დავინახავთ?”
ზანზიბარამ თავი გადააქნია.
“რა კაცი ხარ? როგორ არ გაინტერესებს?”
“ძალიან მაინტერესებს”.
“როდისღა უნდა აგრილდეს?”
“თუ აგრილდა და გველებიც წავლენ...”
ზანზიბარამ სიგარეტს მოუკიდა და წამოდგა.
“აქ, ისეთ ადგილას ვართ, რო სხვანაირად არც შეიძლება იყოს. მე არ ვიცი, გვირაბია, ორმოა, თუ ჭაა. მე ის ვიცი, რო უნდა ჩავიხედოთ. ძლივს გადავწიე, ოთხი დაფაა... იქ რაც იყო ადრე, ალბათ, ეკლესია იყო, იმის საძირკვლის ჩრდილოეთ მხარეს არი ერთ მეტრზე. მე კი მოვაყარე მიწა, მაგრამ დიდხანს აღარ გაჩერდება ეგრე... არაყს მივცემდი ჭიჭია-ნადზორს და ღამე ვნახავდით”.
“დავაი, წავიდა მუშაობა. რამხელა პერეკურია. დავაი...” მოისმა შორიახლოდან.
ზანტად წამოიშალნენ.
“შენა, მღვდელი...” რაჯა ნიჩაბს მოაფხოკიალებდა, “ეგა, ეგ ზანზიბარა იჩიჩქნება რაღაცას იქითა მხარეს. მიწაში რამეები დამალა”.
“დამალა არა”, ხელი აიქნია ზაზამ.
“დამალა, მა რა... ეგრე მალავენ, მოჩიჩქნის, ჩაიკუზება, ადგება, მიაყრის. რა დამალა?”
“მე რა ვიცი?” ხელი აიქნია ზაზამ.
“მიწაში სულ ქალაქებია, ქურდების ქალაქები”, გადაიფურთხა რაჯამ.
“ფარანი”, თქვა უცებ ზაზამ.
“ჰა?”
“არაფერი... პოლკოვნიკი სად არის?”
“გადნა”, ჩაიჩიფჩიფა რაჯამ, “გადნა”.

“გადნა?”
“ეგ მალე დაიბრიდება... მიდი, ნახე”.
პოლკოვნიკი ნიჩაბს ჩამოყრდნობილი იდგა.
“რა მოგვიდა?”
პოლკოვნიკმა გამოხედა და თავი ჩაღუნა.
“ცუდად ხარ?” მხარზე ხელი დაადო ზაზამ.
“არ ლაპარაკობს”, თქვა რაჯამ, “აღარ ლაპარაკობს... ენა გაუდნა. დილიდან აღარ ლაპარაკობს”.

33.
გადასახვევთან, სადაც პირველი საგუშაგო მოეწყოთ, სამი თეთრი ავტობუსი იდგა და კარგად ჩაცმული გოგო-ბიჭები ირეოდნენ. სახელდახელო შლაგბაუმთან. სწორედ შლაგბაუმის წინ, მთლად დაცვარული გოგო თმას ისწორებდა, ბიჭი კი საათს დასცქეროდა.
“კარგია ესე?” მიკროფონს იმარჯვებდა გოგო.
ბიჭი ტელეკამერის საჭვრეტს ჩახედავდა და თავს დაუქნევდა. გოგო კვლავ მოჰყვებოდა რაღაცების სწორებას, ერთჯერად ცხვირსახოცს ისვამდა სახეზე. ორიოდ ნაბიჯში სხვა გოგო იდგა, ისიც შლაგბაუმთან. ისიც ისწორებდა თმას და წარბებზე ივლებდა თითებს. სხვა ბიჭი ჩაიჭვრიტებოდა კამერაში და ამბობდა:
“კარგია, აი, ეგრე, კარგია. გავდივართ”.
საერთოდ, ხმაური იყო, მაგრამ უდაბნოს ქარს მიჰქონდა ეს ხმაური. გოგოების ზურგსუკან უდაბნო იყო.
“გავდივართ”, თქვა ერთმა ბიჭმა. “წავიდა”.
გოგოს სასმენი შეისწორა ყურზე და მიკროფონი შემართა:
“გამარჯობა ზურა... მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია. დილიდან, მას შემდეგ, რაც მოვიდა ინფორმაცია, რომ უდაბნოს კოლონია აჯანყდა, უდაბნოს ტერიტორიაზე განუწყვეტლივ შემოდის შინაგანი ჯარის ნაწილები. ჩვენ ვიმყოფებით პირველ საგუშაგოსთან, რომლის იქითაც ჟურნალისტებს არ გვიშვებენ. აქ მდგომარეობა დაძაბულია. ვრცელდება ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები, ზურა... ზურა, ეს იმ ტიპის ინფორმაციებია, რომლებიც ჩვენ მივიღეთ კერძო პირებისგან. აქ თანდათან მოდიან პატიმრების ახლობლები და ნათესავები - ოფიციალური პირები კომენტარისგან თავს იკავებენ. ამ მომენტისთვის ჩვენ ვიცით, რომ გუშინ გვიან ღამით დაიწყო აჯანყება ორიათასამდე პატიმარმა. არის მსხვერპლი პატიმრებისა და ბადრაგის მხრიდანაც. ორმა ბადრაგის ჯარისკაცმა გამოაღწია, მაგრამ მათთან შეხვედრა არ მოხერხდა. ამბობენ, რომ სამასამდე პატიმარი გუშინ ღამითვე გაიქცა, ზურა... ზურა, აქვთ იარაღი, რომელიც იყო კოლონიის ტერიტორიაზე, ზურა... ზურა, გადაუმოწმებელი ინფორმაციით, კოლონიის უფროსი დაიღუპა შეტაკებაში, თუმცა, ამას არც ადასტურებს ვინმე და არც უარყოფს. ახლახან, აი, ამ გზაზე ჩაიარა მძიმე ტექნიკამ, ზურა... ზურა, პატიმრებს არა აქვთ მოთხოვნები, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ესეც არ არის ცნობილი, ზურა...”
“წავიდა”, თქვა მეორე ბიჭმა.
მეორე გოგომ ყურთან სასმენი შეისწორა შუა თითით:
“გამარჯობა, თამუნა... თამუნა, დილიდან მეორედ ვართ ეთერში და ჩვენი ყოველი ცდა გაგვეღწია აჯანყებული კოლონიისკენ, წარუმატებელი გამოდგა. აქ არის პირველი ბლოკპოსტი და თუ სხვა გზებით ეცდები შეღწევას, ისვრიან ჰაერში, მერე მანქანასაც ესვრიან. ასეთი შემთხვევა იყო, რადგან ერთი პატიმრის ახლობლები მანქანით შევიდნენ უდაბნოში ბლოკ პოსტებს შორის. კოლონიამდე არის ოთხი ბლოკ-პოსტი. როგორც ამბობენ, ლაპარაკი მიდის სპეცოპერაციაზე, ასევე ამბობენ, რომ პატიმრების ნაწილმა დატოვა კოლონია

და ჩაბარდა, თამუნა... თამუნა, ამბობენ, რომ კოლონიაში იყო კანონიერი ქურდი, ქარქუზაშვილი, ვლადიმერ ქარქუზაშვილი, ვისი ბედიც ასევე უცნობია ჩვენთვის. კოლონიის უფროსი ცალაძე... მისი ბედიც, ფაქტობრივად, უცნობია. ამბობენ, რომ ის დაიღუპა აჯანყებულებთან შეტაკებისას, მაგრამ სხვა ვერსიით ტყვედ ჰყავთ, თამუნა... თამუნა, მდგომარეობა უნდა გაართულოს იმან, რომ უდაბნოს ტერიტორიაზე არის მოქმედი მონასტერი, რომლის წინამძღვარმაც უარი უთხრა სამხედროებს ტერიტორიის დატოვებაზე. უდაბნოდან გამოაღწია მონასტერში მყოფმა გველთსაშენის დირექტორის მოადგილემ... თამუნა, აქ მეცნიერთა ჯგუფი აწარმოებდა კვლევით სამუშაოებს, რადგან შემაშფოთებელი იყო ქვეწარმავლების რიცხვი. მეტი ინფორმაცია ამ საკითხზე არ არის... უცნობია იმ ათი ჯარისკაცის ბედიც, უდაბნოს მეორე მხარეს, სატანკო ნაწილში რომ მსახურობდნენ, თამუნა...”
ბატონი ოთარი გალავნის ნანგრევთან ჩაცუცქულიყო და რადიომიმღების ღილაკს აწვალებდა. გრძელ სკამზე არქეოლოგები ჩამომსხდარიყვნენ ზუსტად ისე, როგორც სოფლებში იციან ხოლმე პანაშვიდებზე და აბოლებდნენ. შორიახლოს მოზრდილი სამხედრო მანქანა იდგა და მის ჩრდილში ჯარისკაცები მიმჯდარიყვნენ. ოფიცერს კაბინის კარიდან გადმოეწყო ფეხები.
“აი, ექვსზე იქნება”, წაიბურტყუნა ბატონმა ოთარმა.
“თუ შეიძლება, ერთი წუთით”, მამა გერმანე იყო, დაძაბული და დაღლილი. ბატონმა ოთარმა რადიო არქეოლოგებს გადაულოცა და მძიმედ წამოდგა.

34.
“აი, რო გახვალ შენა, მღვდელო”, თავქვეშ ხელები ამოიდო რაჯამ, “რო გახვალ, შენა, პირველად სად წახვალ?”
ზაზამ მხრები აიჩეჩა. რა ეშველებოდა ზაზას, მხრების აჩეჩვა რომ არ სცოდნოდა?
“აი, ესა ხო ვიცით სადაც წავა?.. ეს თავის ცოლთან წავა. მე რო გავალ, დედაჩემის საფლავზე მივალ. ერთი ისე ვერ გაველი, რო იქ ავიდე. ავჭალაში მარხია, გორის ბოლოზე... აქეთ არუშანოვები მარხია, იქით ისა. შუაში დედიჩემი. პირველი იქ მივალ, რო გავალ. აი, ეხლა, რო დავხუჭო თვალები გზა სულ მახსომს, როგორ მივიდე ავჭალაში. რამდენი პაბეგი მივეცი, სულ იქ მივდიოდი, შორი იყო, აბა ციმბირიდან წამოყევი და მოდი ავჭალამდი. თან გზაში ხო გინდა, ქალი ნახამ, საჭმელი ნახამ. ეხლა რა... აქიდანაც ახლოა. არუშანოვების გვერდში. ეგ ადგილი ხო არუშანოვებს მიეცათ ბაბოჩემისთვის, თორე გაჭირდა, ფული არა ჰქონდა მამიჩემს და კაზიონათ ხო არ დაამარხვინებდა ცოლსა. არუშანოვები იყო ჩვენ გვერძე, ხან რას გამოუტამდენ ბებოჩემს, ხან რას. კაი მაცხოვრებელი ხალხი იყო. ვერცხლეული სულ გამოლაგებული ქონდათ ჩემ თვალწინ. ერთი ხელი არ დავადე. არუშანოვების ვერცხლეულს როგორ წავიღებდი, დედაჩემი იმათ დამარხეს, ადგილიც იმათ მისცეს. თავისი ადგილი იყო. მე ეგ არ მინახია, როგორა მარხავდნენ, მარამ საფლავზე სულ მივდიოდით მე და ბაბოჩემი და მერე მარტოც. ბაბოჩემი რო დაიწყებდა მკვდრების შემოვლას აღდგომაზე... კვერცხები სულ დათვლილი ქონდა. უშლიდენ, მარამ ბებერი იყო და მაინც წამიყვანდა ხომე. სულ ჩუმათ იყო დალაგებული კვერცხები. ბაბოჩემი რო აქ დადებდა, მე იქ ავიღებდი. შენა მღვდელი, ეგა მაქ სულ მოპარული და იმის მერე სულ სროკზე ვარ. შენ რაც მოპარული გაქ, მე იმდენი არა. შენ რო დაიწყეფ ღმერთი ღმერთიო, შენზე მეტი მე უნდა ვთქვა, მაგრამ მე არ ვიცი. ცაში ღმერთია, თუ ვარსკვლავები? რომელია? შენ ხან ერთს ამბოფ, ხან მეორეს ამბოფ. აი, ეს რო აღარ ლაპარაკობს, რო ლაპარაკობდა, რა? მეც ერთხელ სიმუნჯე მოვიგონე, რუსეთში. რო არ ლაპარაკოფ, უფრო ლაპარაკოფ და შენ თავში ამბოფ რაღაცას, ხო? მითხარი, აბა, ღმერთი რას ამბოფს

პაბეგზე? პაბეგის კაცი ხო მართალი კაცია. შენ რო უბორნიის ბოლოში მალავ რაღაც რაღაცებს და ის ზანზიბარა კიდე ჩიჩქნის, აბა ეხლა ლოთიანათ შემომხედე, მე ვინ ვარ?”
“მე რა ვიცი”, თქვა ზაზამ, პოლკოვნიკმა კი კვლავ თავი ჩაღუნა.
“მე რაჯა ვარ. მე ცაში ვერ გავიგე, რა არი, თორე მე პაბეგის მეტი, ერთი ვიცი ქალს რა უნდა უქნა და ერთი სწორე ლაპარაკი. შენ რო გახვალ პირველი ვერსად ვერ მიხვალ. თორო მე გეუბნები, მე აქ ერთი, მეორე ჰა, ერთი თვე ვიყო. შენ რო გახვალ, ეს რო გავა, სად მივა? მე ისევ ციხეზე მივალ, ჩემი საქმით. შენ სად მიხვალ?”
“რა გინდა, რაჯა?” ჰკითხა ზაზამ.
“გარეთ მინდა”, ამოახველა ბებერმა.
“გარეთ რა უნდა ქნა?”
“ეგრეა. წესია. ღობე იმიტოა, გადაახტე, თორე, მე...” ხმა ჩაუწყდა რაჯას, “ბუხიამ ვაბშე ყველაფერი იცის”.
“რა უნდა იცოდეს?რა ხდება?” წამოჯდა ზაზა.
“მე ნანახი მაქვს რაც ხდება და ბუხიასაც ნანახი აქს”.
“რა? რა?” ყურები აეწვა ზაზას.
“რაც გითხარი ისა. გზებია გაყვანილი. ძველი ქურდების... შენ იცოდე, რო ზანზიბარა პაბეგის კაცი არ არი. იმიტო რო იცის, მისასვლელი არა აქ. შენც არა გაქ მისასვლელი, მარამ არ იცი. ამას აქს და ჯობია არა ქონდეს...”
“ფილოსოფოსი ყოფილა”, გაეცინა ზაზას.
პოლკოვნიკმა თავი ასწია. თითქოს იმასაც გაეცინაო, რაღაცამ გადაურბინა სახეზე.
“მე ვიცი სადაც მივალ”, ზაზა წამოდგა და ბარაკიდან გავიდა.
ძალიან ცხელოდა. ისევ ცხელ ქარს უბერავდა.
“ერთი, ორი, სამი... ოთხნი ვართ”, გაიფიქრა.
“წითელქუდა ტყეში მიდიოდა”, მოესმა უცებ. ზანზიბარა იყო.

35.
მაშა მაშკოვა პარმაღზე იჯდა, კალთაში ხენდროთი სავსე თეთრი ჯამი ედო და მგონი გაზეთში ამოკითხულ ამბავს ყვებოდა, ამბავი ვისოცკის სიმღერასავით იყო. ზაზა უსმენდა, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, ჯარისკაცებს არაფერი უძებნიათ მონასტერში, ოფიცერმა სათითაოდ დაკითხა ყველა, არქეოლოგები და ბერებიც, მაგრამ მამა გერმანეს და ბატონი ოთარის გარდა არავინ იცოდა, რომ ისინი აქ იყვნენ. ეს უცნაური ჩანდა. უდაბნოში სიჩუმე გამქრალიყო. თავიდან ეგონა, რომ ჯარისკაცები მათ მოსაძებნად მოსულიყვნენ, მაგრამ ოფიცერს ერთადერთი რამ უნდოდა, ყველანი სასწრაფოდ გაშორებოდნენ აქაურობას. ყველამ უარი თქვა. მხოლოდ წათათბირების შემდეგ გადაწყვიტა ბატონმა ოთარმა ზაური გაეყოლებინა მორიგე მანქანისთვის. ზაზა, რაჯა და პოლკოვნიკი ბნელში ისხდნენ. ცხადია, პოლკოვნიკი დუმდა, რაჯამ იცოდა, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყო, ზაზა კი მაშა მაშკოვას სიკტივკარულ ქურდულ ისტორიას უსმენდა, ოღონდ სხვას ფიქრობდა და ამ ისტორიის რომელიღაც საკვანძო სადგურზე, თუნდაც ბლაგოვეშჩენსკში გაჩერებულიყო.
ბატონ ოთარს კი ბავშვობა ახსენდებოდა, სათავგადასავლო წიგნების კოშკები, მის საწოლთან რომ ამოზრდილიყვნენ. ეს პირველად იყო, რომ რაღაც ფათერაკში გაება. წინა ომების დროს გველთსაშენს არავინ უმიზნებდა ზარბაზანს და ბატონი ოთარი თვეობით ცხოვრობდა უდაბნოში.
“ნეტავ გველები რას შვებიან?” გაახსენდა ბატონ ოთარს. მხიარული არქეოლოგები წასვლას აპირებდნენ, მაგრამ ბატონი ოთარის უტეხობის შემდეგ, რამაც ოფიცერი ძალიან გააბრაზა, ფეხი აღარ მოიცვალეს. საღამოს ოთხ საათზე, როცა მონასტერში უკვე იცოდენ მთელი უდაბნოს ამბები, ოფიცერი ეზოში შევიდა და ბატონ ოთარს კიდევ ერთხელ უთხრა:

“ერთი საათი გაქვს, ბიძაჩემო, შენ და ყველას. მღვდლებსაც უთხარი... რასაც გეუბნები, მაგ რადიოში არ გამოაცხადებენ. ერთი საათი. ოთხ კაცს გამოგაყოლებთ და გახვალთ აქედან. არა და ვეღარ გახვალთ”.
“მე ვრჩები”, გაიმეორა ბატონმა ოთარმა.
სწორედ ამ დროს დაიჭირეს ჯარისკაცებმა გველი. უფრო სწორად, ერთმა დაიჭირა, ახალქალაქელმა ბიჭმა, თავი მოაჭრა და მათრახივით უქნევდა სხვებს.
“მისმინე შენა, მღვდელი”, წაიჩურჩულა რაჯამ, “იმ ბნელში რო ვზივართ, რამე არ შემოგვაცოცდეს”.
“ჩუ”, უთხრა ზაზამ.
“მისმინე შენა...” განაგრძო რაჯამ, “ეს რა პაბეგია... ას მეტრში ვართ მიწაში... მე ხო გეუნებოდი, რო მიწაში ქურდების ქალაქებია...”
“ჩუ... ჯარია მოსული”.
“ჯარი რა, გერმანია ხო არა ვარ...” არ დაიშალა რაჯამ, “გერმანიას ხო მოუყვანეს ჯარი. მამიჩემი...”
“ჩუ... ჩუ... რა გეტაკა?”
პოლკოვნიკის ამოოხვრა მოისმა.
“შენა... მღვდელი. ეს მღვდელი შენი ნაცნობია?”
“არა”.
“აბა, შენ რატო დაგელაპარაკა?”
“ჩუმათ”...
“მღვდელი... აი, გზაზე მოდიხარ და აქეთ დევს საზამთრო და იქით კაი ბიჭობა. რომელს აირჩევ?” ახრიწინდა რაჯა.
“თავი გამანებე”.
“ჰა... რომელს? არა გკითხეს ციხეზე რო შეხვედი? მე მკითხეს... ჟიგანი ბიჭები იყვნენ. მე უთხარი, საზამთროსო. კაი ბიჭი ხო ისედაც ხარ. მერე ყველას ვეკითხები და არა ჭრის. შენ რატო გამოიქეცი?”
უდაბნო კი ამერიკულ სამხედრო ფილმს ჰგავდა. ისინი ვერ ხედავდნენ, მაგრამ ჩიტებს უკვირდათ ცაში.
“აი, ისვრიან...” თქვა ბატონმა ოთარმა.
“დაადუღებენ”, წამოსცდა ერთ-ერთ არქეოლოგს - მღელვარე სიხარულით.
“მინამიოტია”, თქვა ერთმა ბერმა.
კვამლი, მტვერი, რაღაც ამგვარი ჩანდა შორს.
“ის კიდევ მატარებელში ჩაჯდა და ბარნაულში წავიდა”, მაშა მაშკოვა ჰყვებოდა.

36.

ქურდებს არ უყვართ არეულობა. ქურდებს უყვართ, როცა წესრიგია, თანაც ისეთი, მათმა წინაპრებმა რომ დაადგინეს. ამიტომ, მათ არ უყვართ, როცა უდაბნოში ქარი უბერავს და მიწიდან წამოკრეფილ მტვერს გაყრის თვალებში და პირში. მათ არ უყვართ, როცა მზე იმგვარად დააჭერს ხოლმე, რომ შუბლზე ოფლი ჩამოცოცდება ხოლმე, საულვაშეზე კი ასევე გკიდია იმავ ოფლის მბზინავი წვეთი, როგორც ვიღაც ინდოელს ცხვირში გაყრილ რგოლზე - მარგალიტი.
ამიტომ მეტად საკვირველი იყო, სამუშაოზე გასულებმა რომ ბუხია დაინახეს. შავი პერანგი სულ ბოლომდე ჩაეხსნა. გამომშრალ, სწორ გულის ფიცარზე ყელსაბამი ჯვარი მიწეპებოდა, ფლოსტები ეცვა და მოაფრატუნებდა მტვერში. შორიახლოს ჩამოჯდა, ცალი ფეხის ქუსლით ჩამოეყრდნო რაღაც ნანგრევს, მეორე ფეხში შეიკეცა და ასე მოუკიდა სიგარეტს. მარტო იყო და უყურებდა მშრომელებს.
“ე, ჟიჟია, დღეს რამდენი გველი დაიბრიდა?” ჰკითხა ერთ-ერთ ბრიგადირს.

“დღეს... დღეს ერთი. ერთი. იმან მოჰკლა... რა ქვიან...” დაიქოქა პატიმარი.
“აღარ არი, ცოტა არი უკვე... გეიქცენ. სიკვდილის ეშინიათ”.
“ჟალოს ჯანში იყოს, არა?” ჩაიცინა ბუხიამ და მეტი არც რამე უთქვამს. კარგახანს იყო ასე, ათვალიერებდა.
მერე წამოდგა და ისევ ფლოსტების ფრატუნით, ძალიან დინჯად გაუყვა მეორე ბოლოსკენ.
ზანზიბარა ურიკას ტვირთავდა, როცა მოკლე სტვენა მოესმა.
მოიხედა და ბუხია იყო, ქურდი.
“ექიმებს სიცოცხლე, ექიმებს და ადვოკატებს. კაი სტუმრებს ზონაზე”, ისევ ჩაიცინა ბუხიამ. შავი კბილები ჰქონდა, რაც შერჩენოდა.
“გაუმარჯოს”, გულისჯიბეში სიგარეტს ჩასწვდა ზანზიბარა.
“წამო, ჩაი დაგალევინო”, უთხრა ბუხიამ, “წამო”.
მერე ოთახში ისხდნენ.
ქურდის ხელიდან ბევრს ახსოვდა ჩაიც და მეტიც უდაბნოში. ბუხია ასეთი იყო, ზოგჯერ მოუნდებოდა ხოლმე რაღაც ამგვარი, მაგრამ ტყუილად არასდროს.
“არაყი რათ გინდოდა?” ჰკითხა მერე ზანზიბარას, “მაგათ კაპწიოლკაში არაყიც აქვთ, ყველაფერიც. ის ავანტყოფი ბიჭი შევიდოდა, აიღებდა. ეგრეა?”
ზანიბარამ თავი დაუქნია.
“მე გუშინ ვიყავი გამოსული და ვნახე”. ეს თქვა და გაჩუმდა. იმდენხანს იყო ჩუმად, რომ ზანზიბარა წამოეგო.
“რა?”
“ორმო”, ჩაი მოხვრიპა ბუხიამ, “შენ რო იპოვე ორმო. კრიშა რო აქ თავზე. მერე მღვდელი რო გამოიყვანე საღამოს და ანახე. აქ ორმოები ბევრია. ჭებია. არც ერთს კრიშა არა აქ. ეს არი მარტო კრიშიანი. ორმოს ბოლო აქ. ამას აქ ბოლო?”
“არ ვიცი”, მიუგო ზანზიბარამ, “ვერც ჩავიხედე”.
“თუ გზაა, ბოლო არ ექნება. თუ ორმოა, ექნება ბოლო... რას აპირებ?”
“რას უნდა ვაპირებდე, ჩემი ხო არ არი. ვანგრევდით და ვნახე”.
“ხალხი ექსკურსიაზე რო დაგყავს, ის რა არი?”
“ზაზას ვაჩვენე”, იყო პასუხი.
ბუხია ისევ დადუმდა და როდის-როდის თქვა:
“იცი, რა არი ეს უდაბნო? მომიყევი უდაბნოზე, ადრე რა არი და როგორ არი”.
და უამბო ზანზიბარამ უდაბნოს შესახებ რაც იცოდა. ჩაი კი იყო ცხელი, ცხელი და ენაც კი დასწვა ექიმს.
ბუხია კვლავ დუმდა.
მერე თქვა: “როგორ არი ყველაფერი დალაგებული”.

37.
მამა გერმანემ თავიდანვე იცოდა ბევრი რამ.
უფრო სწორად, წლების წინათ ეპოვნა უცნაური ხუფები უდაბნოს მიწაში. სულ ხუთი იყო ასეთი ხუფი და მამა გერმანეს, მაშინ ჯერ კიდევ ქალაქზე გულაყრილ ფიზიკოსს, რომელმაც უდაბნო აღმოაჩინა, ადრევე მოხვდა თვალში უცნაური ბორცვები, მეტად დაბალი იმისთვის, რომ კაცს ყორღანები გონებოდა. ანდა, რა უნდოდა ყორღანს უდაბნოში?
ერთი ამ ხუთთაგან წმინდა მარიამ ღვთიშობლის ტაძრის აღმოსავლეთ ფერდზე ამობურცულიყო. პირველად სწორედ მისი გათხრა დაიწყო მამა გერმანემ და მალევე მიაგნო ხუფს, რაიც სხვა არა იყო, თუ არა უდაბნოს მიწისქვეშა გზათაგან ერთ-ერთის შესასვლელი კარი. წლების განმავლობაში, ხუთივე ხუფი ღიად ჰქონდა მამა გერმანეს, მაგრამ არასოდეს უცდია რომელიმე გვირაბში ჩასვლა. მისთვის ცხადი იყო, რომ გვირაბები უხსოვარი დროიდან არსებობდა უდაბნოში და მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ რომელიმე ცხელ და სისხლიან დღეს ბერები მტერს მორიდებოდნენ, მაშინ მამა გერმანე დადიოდა მთელ უდაბნოში და სხვა ბორცვებსა და ხუფებს

ეძებდა. მიწისქვეშა გზების მიმართულებათა დადგენა ბევრ რამეს მიახვედრებდა. ოღონდ, ამ გვირაბებში შესვლა არასოდეს უცდია, რადგან ერთი, რომ ისინი ჩამონგრეული ეგონა და მეორეც, მთელი უდაბნო ხელისგულზე ჰქონდა და გვირაბთა მიმართულებების სავარაუდო რუკაც კი შეადგინა, რომელიც, სიმართლე ითქვას, სინამდვილესთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. მამა გერმანე მარტო ადიოდა ხოლმე კლდეზე და ძველი სენაკიდან აკვირდებოდა უდაბნოს. ამიტომ, თავისი უდაბნო უკვე ჩაეხატა გონებაში. მონასტრის კედელთან წამოხდილი ხუფი ბერებმა მაშინ დახურეს, როცა იქიდან გველებმა იწყეს ამოძრომა. მამა გერმანეს სჯეროდა, რომ გველები სხვა გზებსაც იპოვნიდნენ, მაგრამ ახდილი ხუფი მათთვის მეტად იოლი გზა იყო. თანაც, უხსენებელთა გამოჩენა წინამძღვარმა ღვთის რისხვად მიიჩნია და ორ დღეში ხუფი კვლავ აახდევინა მორჩილს, რადგან ერთი ხუფის დახურვა ღვთის რისხვას ვერაფრით შეაჩერებდა.
მერე, როცა ბატონი ოთარი არქეოლოგებს შემოუძღვა მონასტრის გალავანში, მამა გერმანემ რამდენჯერმე გადაწყვიტა ეამბნა მათთვის გვირაბების, მიწისქვეშა გზების ისტორია, მაგრამ ახალი სტუმრები მეტად მხიარულ და უდარდელ ხალხად მოეჩვენა და მათთან ლაპარაკი მეორე დღისთვის გადადო. მეორე დღეს კი უკვე გვიან იყო. დილიდან საშინელი ქარი ქროდა და ისმოდა კლდეებზე ჯაჭვების ხეთქების ხმა. მერე ჯარისკაცები მოვიდნენ. მერე საღამოს პირიდან აღარ ისმოდა ჯაჭვების ხმა - ტყვიის და ფეთქების ხმამ აჯობა და გააქრო. ღამით ის გამოქცეულებთან მივიდა და უთხრა, რომ გააპარებს აქედან. მესამე დილით მხოლოდ კანტიკუნტი სროლა ისმოდა. ასე პოულობდნენ უდაბნოში მხოხავ, გადარჩენილ პატიმრებს. ეს იყო ნიშანი. მამა გერმანე ლოცულობდა. ამ ერთი დღის თავზე არქეოლოგებსაც გაქრობოდათ ხალისი. ბატონი ოთარი კი რადიოს აწვალებდა და ბნელ სენაკში სამ პატიმარზე ფიქრობდა. სამ პატიმარზე და აჯანყებაზე.
“რას აპირებთ?” ჰკითხა მამა გერმანეს საღამოს, სროლის ხმა რომ უწყვეტი იყო, მაშინ.
“უნდა წავიდნენ”, თქვა მამა გერმანემ, “როცა ეს საშინელება დამთავრდება, ყველა გაქცეულს ძებნას დაუწყებენ. ამ ოფიცერს არ აინტერესებს ძებნა, სხვა საქმეზეა. ჩვენ გვიცავს და თვალყურსაც გვადევნებს. მოვლენ სხვები, მაძებრები”.
“როგორ უნდა გაიქცნენ უდაბნოში?”
“სამხედრო ნაწილში, ქვემოთ, დაიჭირეს თხუთმეტი პატიმარი”.
“რა იცით?”
“ამას უთხრეს რაციით. მაგრამ იქ ომი იყო. ჯარი დაუხვდა. იქაურები”.
“ესენი ხომ ადრე გამოიქცნენ?” თითქოს საკუთარ თავს ჰკითხა ბატონმა ოთარმა.
“იქ... მაღლა”, ჩაილაპარაკა მამა გერმანემ.
“მაღლა?”
“უნდა წასულიყავით...”
“საიდან? ხომ ხედავთ, ყველაფერი ნადგურდება. ადამიანები ერთმანეთს ხოცავენ. სად წავიდე? ყველაფერი როგორ დაემთხვა ერთმანეთს... ამდენი ხალხი. ბოლოს როდის იყო ამ უდაბნოში? ყველა ახლა მოვიდა. ეს, თქვენ... ეს, სამხედროები... მე და ზაური, არქეოლოგებიც ახლა მოვიდნენ. მიწისძვრა, ეს გველები. ამ ჯაჭვების ხმა. ახლა კიდევ ეს აჯანყება. ამდენი სამხედრო, ტანკი, რა ქვია იმას... რა ხდება აქ? ყველაფერი ერთად რატომ ხდება? სად წავიდე?.. არ ვიცი, რატომ არ წავედი. სად წავიდე? რა ხდება აქ? უდაბნო ქრება?”
მამა გერმანემ პირჯვარი გადაიწერა და ცისკენ გააპარა თვალი.
ბატონმა ოთარმა ხელი ჩაიქნია.
“რა ვუყოთ? იმათ რა ვუყოთ?”

38.
გველები ვერაფერს მიხვდნენ, ანკი რას უნდა მიმხვდარიყვნენ. ისე გამოვიდა, რომ ამ ამბავმა, აუტანელმა ზანზარმა აიძულა, ეძებნათ ძილის მამულები. ძილის მამულები მიწის ქვეშ იყო. გველები ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ ამოსავალი მაინც საძებარი გაუხდათ. ომში იყვნენ და ამ ომს ბოლო არ ჰქონდა. იხოცებოდნენ და ვერც ამას ხვდებოდნენ. ხვდებოდნენ, რომ გარშემო ყველაფერი ზანზარებს და ამ ზანზარს უნდა გაერიდო, რადგან დრო გადიოდა და არაფერი ზანზარებდა ასე.
აბა, გველებმა რა იცოდნენ, რომ უდაბნოს კოლონიას შემოწყობოდა ოცი ტანკი, ოცდაათი საბრძოლო მანქანა და ორი ათასი ჯარისკაცი. ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ ეს მძიმე მანქანები აზანზარებენ უდაბნოს მიწას და მათ არაფერს ერჩიან, ერჩიან იმათ, ვინც მათ ძმებსა და დებს ნიჩბებით ხოცავდნენ. გველებს არ ესმოდათ სროლის ხმა, ისინი გრძნობდნენ ზანზარს, წარმოუდგენელ, აქამდე შეუგრძნობ და სრულიად უცნობ ტალღებს, უდაბნოს გულ-გვამში რომ მოდიოდნენ.
აბა, გველებმა რა იცოდნენ, რომ დღისით, მზიან და ქარიან დღეს, რუხაძის ბარაკების სანგრევ სამუშაოებზე გამოყრილ პატიმართაგან სამი, სამხედრო ფარნით და ნიჩბის ტარით შეჭურვილი სამი კაცი შუა სამუშაოს დროს გაუჩინარდა ორმოში, მეოთხემ კი, მაღალმა, მოქანცული იერის კაცმა სასწრაფოდ და ასევე შეუმჩნევლად გასწია ფილა და ზედ ნანგრევი ლოდი მიაფარა. მერე კარგახანს აყრიდა გამომშრალ ბელტებს იმ ადგილს, მერე კი წავიდა და ჩრდილში დაჯდა თვალდახუჭული. გველები არ იცნობდნენ არც ზაზას, არც რაჯას და არც პოლკოვნიკს. არ იცოდნენ, რატომ გაიქცა ზაზა, რომელსაც არსად მიესვლებოდა. არ იცოდნენ, რა უნდა ექნა გაქცეულ პოლკოვნიკს და რატომ გარბოდა რაჯა მთელი სიცოცხლე. მყრალ და ვიწრო გვირაბში, სადაც პოლკოვნიკი ჯოხით იცილებდა ფეხქვეშ მოხვედრილ მთვლემარე და ზარმაც გველებს და ზაზა ფანრით იკვლევდა გზას, გველები ვერც კი ხვდებოდნენ, რომ ბარე ათასი წელიწადი იყო, ამ გზაზე არ გამოევლო ადამიანს. ეს გზა ჭირისა და სიკვდილის მორიდებისა იყო და ისევე, როგორც გველებმა, სამმა გაქცეულმაც არ იცოდა, სად ჰქონდა გვირაბს ბოლო, ანკი ჰქონდა საერთოდ?
ზაზა მიდიოდა იქ, სადაც არავინ დახვდებოდა, სადაც არაფერი იქნებოდა, მაგრამ სადაც შეიძლებოდა რაღაც შეცვლილიყო. პოლკოვნიკი ომში მიდიოდა, მდუმარე და სასიკვდილოდ დაჭრილი. რაჯა კი მიდიოდა იმიტომ, რომ უკან დაბრუნებულიყო. აბა, გველებმა რა იცოდნენ? გვირაბში სულის ხუთვამდე ცხელოდა და ყოველწამს შეიძლებოდა, გზა დასრულებულიყო და მაშინ უკან დაბრუნება მოუხდებოდათ. რაჯასთვის არაფერი იყო ახალი ამ საქმეში, გვირაბის სიმყრალის გარდა.
აბა გველებმა რა იცოდნენ, რომ სწორედ ამ გაქცევის დროს მესამე ბარაკის ერთ ოთახში ბუხიამ, ქურდმა ნამცხვარას უთხრა, ჩემი ძმა ხარო და ამით კოლონიაში მეორე ქურდი იშვა, საღამო ჟამს კი, სწორედ ბოლოსწინა შემოწმებამდე, ბუხიამ სამი შიდაპოსტი გაიარა ადმინისტრაციის შენობაში, ჟალოსთან შევიდა კაბინეტში და კოლონიის უფროსი მოჰკლა დანით ხანმოკლე ლაპარაკის შემდეგ. წერაქვებით შეიარაღებულმა ოცდაათმა კაი ბიჭმა რამდენიმე ადგილას განაიარაღა ბადრაგი და კოშკურებზე მდგომ დარაჯებს სროლა აუტეხა.
აბა, გველებმა რა იცოდნენ, რომ შეტაკებაში დაიღუპა სამი მებადრაგე და ერთი შემთხვევით ფეხზე მდგომი პატიმარი. მიწას გართხმული მთელი კოლონიის ფეხზე წამოყენებისთანავე, სასადილოსთან გამოიტანეს უზარმაზარი ბალანდის ქვაბი და შიგ ჟალოს გვამი ჩატენეს.
“აგე, საჭმელი”, თქვა ქურთმა.

დატყვევებული მებადრაგენი პირველ ბარაკში შეყარეს, დაჭრილებს კი ზანზიბარა მიუჩინეს.
მერე ადმინისტრაციის შენობიდან ბუხია გამოვიდა, გადააფურთხა და დაიღრიალა:
“სიკვდილი ბოზებს!”
მერე სიგარეტს მოუკიდა და თქვა:
“ყველა კარი გაიხსნება. წამსვლელი წავიდეს. დამრჩენი დარჩეს. ყველა მიიღებს ჰაიკას, ვინც დარჩება”.
ამ დროს მოუტანეს იარაღის და დენთის საწყობის გასაღებები.
“დავაი, ორი ნადზორი გაუშვით”, თქვა ხმადაბლა, “გაუშვით, წავიდეს, ამბავი მიიტანოს”.
მკვდრის ფერი იყო, სულ გამშრალი.
“ახლა აშენოს, მაგ ბოზმა”, და კვლავ გადააფურთხა.
აბა, გველებმა რა იცოდნენ, რომ უდაბნოში ჯარი შემოვიდა.
იქ კი, უკვე იარაღს არიგებდნენ.

39.
სასტუმრო ძველი იყო, თუმცა ულამაზო. ძველიც იმდენად ეთქმოდა, რამდენადაც დრო გადის და ყველაფერი ძველდება, თორემ ორმოცდაათი წლის წინათ ეს სასტუმრო არც იდგა ამ სადგურის პირდაპირ. სადგური მართლაც ძველი იყო, ეგებ პუშკინსაც კი გაევლ-გამოევლო იქ, მის დროში რომ რკინიგზა არსებულიყო. სასტუმრო საშინელი იყო; გარედან საზიზღრად გადაღებილი, შიგნიდან კი ბნელი და სამივლინებო სურნელით გაჯერებული. ძალიან უცნაურ დროს უნდა აეშენებინათ ეს სასტუმრო: სტალინი უკვე მკვდარი იქნებოდა, ხრუშჩოვს კი ჯერ სტალინის ლანძღვა არ დაეწყო. ვინაიდან, როგორც კი სტალინის ლანძღვა დაიწყეს, სასტუმროებში ჭერები დადაბლდა. ამ სასტუმროში კი ჭერი მაღალი იყო, ფანჯარაც ფრანგული სიფართოვით გაეხსნათ, კედლების სისქეს კი ნუღარც იკითხავთ, ციხესიმაგრისას შეედრებოდა. ოღონდ ეგ არის, რომ სასტუმროს სახურავი ცისკენ აღარ აჭრილიყო, არც კოშკურა შემოედგათ ზედ და არც ვარსკვლავის დამაგრებაზე ეზრუნათ, როგორც ეს ცხონებულს უყვარდა. ანუ სწორედ იმ სამ წელიწადში მოესწროთ ამ საზიზღარი სასტუმროს აშენება, ხრუშჩოვმა რომ მერყეობას მოანდომა და რაღა გასაკვირია, რომ სასტუმროც მერყევი იერისა და სურნელისა გამოვიდა. ძველ, უხეში ხელით შეჭედილ ზანდუკს ჰგავდა: თავს ახდიდი და იქიდან ნესტში ჩათუშული პაპისეული პერანგების სუნი ამოვარდებოდა. ეს იმ შემთხვევაში, თუ წარსულის ნაღვლით განმცდელი კაცი დაიწყებდა ამ სასტუმროს რაობაზე ფიქრს. დაქანცულ, საბანაო და მშიერ კაცს კი მის ფართო, ბნელ, იაფ დერეფნებში ჩხუბის მეტი არაფერი მოუნდებოდა. ეს სასტუმრო არ იყო, ეს იყო ალყაშემორტყმული ქალაქის ერთ-ერთი გოდოლი, სადაც სართულის მორიგეებს თეთრი ხალათები ეცვათ და უგასამრჯელოდ დარჩენილ, განაწყენებულ ექთნებს ჰგავდნენ. დერეფნებში გადი-გამოდიოდნენ დაცვის თანამშრომლები და დერეფანს არ ჰქონდა ბოლო, ანუ სადაც იწყებოდა, იქ მთავრდებოდა და კაცი ტყვედ დარჩებოდა რომელიმე სართულზე, თუკი ვერ მიაგნებდა ერთ პატარა კარს, რომელიც კიბეზე გადიოდა.
ეს უცნაური, უხერხული და უვარგისი სასტუმრო იყო, რადგან ბუფეტს ფანჯრები არ ჰქონდა, რესტორანში მაგიდებზე დიდი ცელოფნის ნაჭრები გადაეფარებინათ, ხელოვნური ყვავილებით გაწყობილ ვაზებში სიგარეტის ნამწვავები ეყარა, სააბაზანოში ემალი ამომტვრეულიყო. ნაშუაღამევს შინ დაბრუნებული, ბნელი დერეფნიდან შეაბიჯებდი ნათელ ოთახში, ვინაიდან ამ ქალაქში არ ღამდებოდა, ხოლო ფარდები თხელი იყო და ისეთი მასალისა, ხელის შეხებისას რომ მსუბუქ ჟრჟოლვას გაგიტარებს ტანში. ფანჯრიდან

ჩანდა უძველესი რკინიგზის სადგური, მოყვითალო მეტროს სადგური, რომლის კედლებსაც ლოთები ასველებდნენ, ვინაიდან ღამე იყო, თუმცა, არ ბნელოდა და ჩანდა კოხტა, ჯადოსნური, ერთ დროს ალბათ ლამაზი პროსპექტის დასაწყისი. პროსპექტის ბოლოში ძველი სასაფლაო იყო, თავში, ზედ სასტუმროს წინ ვიღაცის თუ რაღაცის ძეგლი, მეტად უცნაური, უჩინმაჩინი, ვინაიდან ყოველ დილით უცქერდი ოთახის ფანჯრიდან და ვერ იმახსოვრებდი. მძიმე-მძიმე ღრუბლები აივლიდნენ და ჩაივლიდნენ სადგურის თავზე. ღამე იყო და თან დღე იყო. ღრუბლები ერთნაირი იყო, ღამითაც და დღისითაც, დერეფანში ქრებოდა ქალაქი, რადგან დერეფანი ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ბნელოდა და ამ სიბნელეში ამ წყეული სასტუმროს ბნელი, დიეტური სასადილოს საწყობის მსგავს ადგილას, ზაზამ პირველად დაინახა მაშა მაშკოვა. ეგებ ამიტომაც არ ახსოვდა მისი სახე.
მაშა მაშკოვა სიბნელიდან მოსული გოგო იყო, წარმოუდგენლად მოქნილი, უდარდელი და საშიში. იმ ბნელი დერეფნიდან ლამის ძალით შემოსხლტა ღამის დამღლელი შუქით განათებულ ოთახში და წამსავე იმაზე დაიწყო ლაპარაკი, რომ სართულის მორიგეს ემალება და უეჭველად აქ უნდა დარჩეს. ამ ქალაქში რომ მთვარე ყოფილიყო და მაშა მაშკოვას თეთრი, გრძელი, უმანიკურო თითები ჰქონოდა, ეს ამბავი რომელიღაც ფილმს დაემსგავსებოდა, მაგრამ მთვარე არ იყო და მაგიდაზე იაფი რუსული ლიმონათის ცარიელი ბოთლი იდგა. მაშა მაშკოვა ის უნდა ყოფილიყო, ვინც იყო დაღამებულ, დაბზარულ და მღვრიე ლამაზ ქალაქში საშოვარზე ჩამოსული გოგო და ზაზას უნდოდა მაშა მაშკოვა. ისე უნდოდა, თითქოს მანამდე არაფერი ნდომებოდა.
ახლა კი იცოდა, სადაც უნდა წასულიყო: იმ სასტუმროში, საიდანაც სასაპნე მოიპარა. იქიდან რომ მოდიოდა, აღარ ფიქრობდა მაშა მაშკოვას შესახებ, რომელიც გაცნობიდან მესამე დღეს გაუჩინარდა. ეს მერე აღმოჩნდა, რომ მაშა მაშკოვა უკვდავი იყო. მაშა მაშკოვა ერთადერთი იყო, უდაბნოში რომ ჩამოვიდა ზაზასთან. ზაზამ იცოდა, მაშა მაშკოვა სიბნელეში უნდა ეძებნა, სინათლეში გოგო ქრებოდა. სიბნელე კი იქ იყო, იმ ძველ, საზიზღარ, ჭრიალა და მტვრიან სასტუმროში, იქ სიბნელიდან გამოაბიჯებდა დამფრთხალი და ეშმაკი მეძავი, ერთადერთი შერჩენილი მეგობარი, მაშა მაშკოვა, სტეპების გოგო ირიბად აჭრილი თვალებით.

40.
ბატონი ოთარი სამოცდასამი წლის იყო და აქედან ორმოცდასამ წელიწადს გველებს უვლიდა. ვუვლიო, ასე ამბობდა თვითონ. ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა, მოვლა ძნელად დაერქმეოდა, მაგრამ ბატონ ოთარს ეს სიტყვა ძალიან უყვარდა. ამ სიტყვით არა მხოლოდ თავის თანამდებობას შეახსენებდა ხოლმე ვინმეს, არამედ დამოკიდებულებასაც. არქეოლოგთა პირისპირ მჯდომა ბატონ ოთარს ერთი წიგნი გაახსენდა და თქვა:
“მონღოლები რომ დაიძრნენ... თქვენ უკეთ გეცოდინებათ. აი, ზუსტად ისეა, მონღოლები რომ დაიძრნენ. წარმოიდგინეთ, მონღოლები რომ წამოვიდნენ და ყველაფერი რომ ინგრევა, აი, ინგრევა ეს ყველაფერი გარშემო, დაინგრევა ციხესიმაგრეები და მათ ადგილას დადგამენ კარვებს, ანუ ახალ ციხესიმაგრეებს. დაინგრევა ეს ეკლესიები, ხო დაინგრა უკვე და მათ ადგილას ისევ იურტებს დადგამენ. ყველაფერს საძოვრად გადააქცევენ. ამ უდაბნოში თუ გველი გაქრა... ასი კილომეტრის რადიუსში, ასი კილომეტრის რადიუსში...”
ხმა ჩაუწყდა ბატონ ოთარს, “აქ რომ ბაზა იყო, სამხრეთ მხარეს, იქ ტანკი რომ ისროდა, ჩვენთან ფანჯრები ზანზარებდა და აქ რა ხდებოდა? აქ რა ხდებოდა! რაც გადაურჩა ამათ. ეს სროლა ტყუილა არ ჩაივლის. აქედან ორ კილომეტრში ომია. ყველა გასროლილი ტყვია უდაბნოს ხვდება. იქ ხალხი იხოცება, მაგრამ უდაბნო კვდება. ამ უდაბნოს ადგილას მონღოლეთი იქნება. მონღოლობა

იქნება. ჩვენ იურტების მეტი არაფერი დაგვრჩება. მონღოლები რომ დაიძრნენ, რომ გადმოიარეს. ხორეზმი მაშინ იყო, როგორც ახლა არის კაირო, ლას ვეგასი და პარიზი ერთად. უხილავი მონღოლები მოდიან...”
“მონღოლებს ერთი ხმალი არ გაუქნევიათ, ისე აიღეს ეს ქვეყანა”, უთხრა ღიმილით ერთ-ერთმა არქეოლოგმა.
მხიარული ხალხი გამოდგნენ ეს არქეოლოგები, ტყვიამფრქვევი კაკანებდა, ისინი კი ღიმილით ლაპარაკობდნენ მონღოლებზე.
“მთელი ცხოვრება გველებს ვუვლიდი”. ბატონი ოთარი ჯანის უზომო მოზღვავებას გრძნობდა. “აი, ახლა, ამ წუთში, მინდა, ადამიანს მოვუარო. აი, ახლა მინდა იქ წავიდე, სადაც ისვრიან. მერამდენე თვეა, ამ ბოლო მიწისძვრის შემდეგ, გველებს ვუვლი. მეორე თვეა აი, იქ, სადაც ახლა ომია, იქ გველებს ხოცავდნენ. მხოლოდ იმიტომ, რომ გველები არიან, არ შემიშვა მათმა უფროსმა. მამა გერმანეც არ მაკარებს. გამოდის, რომ აღარ არის საჭირო. უნდა ვხოცოთ, სადაც წავასწრებთ და მორჩა. რა მათი ბრალია? რა მათი ბრალია, რომ მიწა იძრა და ყუთები დაიმსხვრა? ახლა სამოთხეს არ გამოაბათ ეს ამბავი. ხალხს ხოცავენ, იქ... ერთმანეთს ხოცავენH.
ო, როგორ კაკანებდა ტყვიამფრქვევი, თუ ავტომატი, თუ ავტომატები. განა ამის გარჩევა შეეძლო ბატონ ოთარს? ყველანი გალავნის შიდა მხარეს ჩაცუცქულიყვნენ. ბერები მონასტრის მეორე მხარეს იყვნენ, ჯარისკაცები გალავანთან, თავიანთი მანქანის უკან. ძალიან ნატანჯი იერის ბიჭები იყვნენ, ოფიცერი კი მეთევზეს ჰგავდა. ჰო, მეთევზეს, რატომღაც ასე იფიქრა ბატონმა ოთარმა. ჩამოჯდა ოფიცერი ჭიშკრის ბოძთან, ჩაღუნა თავი და ჩააშტერდა მიწას. ზუსტად ისე, გაყინულ ტბაზე მოთევზავე შეფუთნულმა ძიებმა რომ იციან. ისროდნენ და თითქოს არც ესმოდა, თითქოს სხვები ისროდნენ. ერთხელაც არ შემოუვლია მონასტრისთვის, მოვიდა, ტერიტორიის დაცლა მოითხოვა და უარი რომ მიიღო, ჩაჯდა ჭიშკართან, რაციაში თუ წაიბურტყუნებდა რაღაცას და ის რაციაც მოკლე, ზამთრის ანკესივით ეჭირა ხელში.
“ყველანი ასე ვართ. აი, ასე ერთნაირად ვზივართ”, გაიფიქრა ბატონმა ოთარმა, “ვზივართ კი არა, ვსხედვართ. რამხელა სისულელეა ეს ვსხედვართ. ვზივართ თუ თქვი, ისე გადმოგხედავენ, რომ მიწა გაგისკდეს გირჩევნია. თან დანებს ლესავენ და თან გადმოგხედავენ, ვზივართ როგორ თქვაო. ლესავენ, ლესავენ და ვზივართ არ შეიძლებაო”.
“გველებს ვუვლი ორმოცდასამი წელიწადია”, თქვა ისევ ხმამაღლა ბატონმა ოთარმა.
არქეოლოგებმა კვლავ დააძრეს ქალაქიდან ჩამოყოლილი სიგარეტის კოლოფები.
კარგი ბიჭები იყვნენ და მინდორ-ველის ამბავიც კარგად იცოდნენ. სწორედ ასე იფიქრა ბატონმა ოთარმა.
“თქვენ იბრძოდით?” ჰკითხა უცებ ბატონმა ოთარმა არქეოლოგებს.
ყველამ თავი დაუქნია. საოცარი იყო. იმ უფროსმაც, რომლის სახელიც ბატონ ოთარს დაავიწყდა.
იმიტომაც იყვნენ მშვიდად. “ტყვიას რომ მიაჩვევ ყურს, მოკლულს რომ მიაჩვევ თვალს...”
“ბატონო ოთარ”, მამა გერმანე იყო, “საქმე მაქვს თქვენთან...”
41.
“ოო-ეეე, ოე!!! სუფთაა აქ!” დაიძახა სახურავიდან სახელოებდაკაპიწებულმა საგანგებო ბატალიონის ჯარისკაცმა და ავტომატი აიქნია.
“სუფთაა, ოე!” მოისმა ქვემოდან, რუხაძის ბარაკების მხრიდან. ნანგრევებიდან ორი ჯარისკაცი წამოდგა. “აქ ოთხია დაბრედილი. ოე... სუფთაა... არა, ხუთი”.
მოკლე ჯერი გავარდებოდა და ისევ ვინმე თუ დაიძახებდა:
“ოეე!”

საღამო იყო, კოლონიის პლაცზე პირქვე იწვა სამასი კაცი. დახოცილებს ცალკე ალაგებდნენ, პირველი ბარაკის უკან.
“თავი, თავი არ აწიო შენი”, ყურისძირში მოხვდა წიხლი ზანზიბარას.
“ექიმი ვარ, თუ დაჭრილები არიან...”, მიწას უჩურჩულა ზანზიბარამ.
“ექიმი კი არა...” და კიდევ მოხვდა.
უკვე ბნელოდა, როცა მანქანებმა მოაღწიეს და სასჯელთა სამმართველოს უფროსობამ ადმინისტრაციის მინგრეულ და სანახევროდ დამწვარ შენობაში პატიმრების გამოძახება დაიწყო. უდაბნოში აღარანაირი საბუთი აღარ არსებობდა. ბუხია ჭკვიანი იყო. ამიტომ პირველადი სიები თავად პატიმართა სიტყვით უნდა შეედგინათ და გადამოწმება მერეღა დაეწყოთ.
თითო-თითო შეჰყავდათ. გადარჩენილი მებადრაგენი ადასტურებდნენ პატიმართა ვინაობას.
წამოქცეულ სეიფზე მაღალი ბიჭი იჯდა, ეწეოდა და ზანზიბარას შესცქეროდა.
“თქვენ... თქვენ მახსოვხართ. აქ რომ ვიყავი ეკლესიის... ზაზა. ზაზას იცნობთ? მე მისი საქმე... თქვენ ექიმი არ ხართ?”
“ზაზა წავიდა... მანამდე”, უთხრა ზანზიბარამ და დაბორკილი ხელებით სცადა ასანთის ანთება.
“მანამდე?”
“ზაზა შორს არი”, რატომღაც გაიცინა ზანზიბარამ. “მომაწევინეთ ერთი...”
ყველას მანქანებში ყრიდნენ და სხვადასხვა ციხეში მიჰყავდათ. იქ გაირკვეოდა.

42.
ეს სიმყრალე იყო, საუკუნეების ნაგროვები.
ეს ზღაპარი იყო. ფარნის შუქი თითქოს აფხიზლებდა გვირაბის ფსკერზე ბღუჯა-ბღუჯა მიყრილ გველებს. რაჯა ბარის ტარით სწევდა აქეთ-იქით ბღუჯებს და ამბობდა:
“გასტრონომში რო სასისკი ყრია დახლში ერთმანეთზე გადაბმული, ისე არა ყრია?”
“არ დავიხჩოთ, ნეტა სადამდე მივალთ... უკან თუ მოგვიწია...”, ხვნეშოდა ზაზა, “უკან თუ მოგვიწია...” და თითქოს ერჩივნა, რომ წინ ხერგილი დახვედროდათ, ან ჩამოწოლილი მიწა, რომ მობრუნებულიყვნენ.
პოლკოვნიკი უკან მოდიოდა, თითქოს აღარც სუნთქავდა.
“რა ნაკეთებია, ტო...”გვირაბის თლილი ქვით ამოყვანილ კედლებს უკაკუნებდა ჯოხს რაჯა, “აბა, ქურდების არი და. ზეიდან რო ეგეთი ხმელია, შიგნიდან რა სველი ყოფილა ეს დედაძაღლიშვილი”.
“წინ იყურე”.
“წინ არაფერი არ არი. მთელი ცხოვრება, წინ გახედვამ, არაფერი არ არი”, მსჯელობდა რაჯა, “ჰა, ხო აგაწეინე პაბეგი. აგაწეინე, ხო... შენაც და. ეს გაიქცეოდა? წავა ახლა, ჩეეხუტება...”
“ფეხი გაადგი, თორე ამოვიგუდებით აქ”, შეუღრინა ზაზამ.
“ისე რა სუნია... ვინც სად ჩაიკუზა, ყველა აქ ჩამოუშო. აგე გველები დაათრო, ნახე, როგორ ძინამთ”.
მიწის ზედაპირზე რომ ევლოთ, არც მოწყურდებოდათ, ისე გაივლიდნენ ამ გზას, მაგრამ მიწისქვეშ მიდიოდნენ და არ იცოდნენ, საით და რამდენხანს მოუწევდათ სვლა. ყველაზე ძნელი დაბრუნება იქნებოდა, მაგრამ ზაზა ფიქრობდა, რომ ხერგილი არ დახვდებოდათ.
“ნახე, ჭერიც კი მოპირკეთებულია”, თქვა მაშა მაშკოვამ.
“უჰ”, ამოიოხრა ზაზამ.
“ასტაროჟნი, პავაროტია, ე, მღვდელი”, დაიჩხავლა რაჯამ, “ოფლი ჩამდის პირში”. და პოლკოვნიკს მიანათა ფარანი, “ცოცხალი ხარ, ნაჩალნიკ?”

მაგრამ წინ მოსახვევი არ იყო, წინ იყო უცნაური აღმართი და აშკარად იგრძნობოდა, რომ საიდანღაც უკეთესი ჰაერი მოდიოდა.
“დავაი მაღლა, ახლა გამოჩნდება ქურდების ქალაქი...”
შემდეგ ისინი მიფორთხავდნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ. რაჯა ანათებდა, ზაზა ბარის ტარით ებრძოდა ქვის ხუფს, პოლკოვნიკი კი ორივეს ხარაჩოდ ედგა. მერე ხუფი მსუბუქად ავიდა მაღლა და ზაზა თითქოს დაბრმავდაო.
“ე, მღვდელი შენ კუტოკში მოველით”, ჩაიხითხითა რაჯამ.
ორმოს კიდესთან მამა გერმანე იდგა.

43.
ფეხებში ჩაევლოთ ხელი და ისე მოათრევდნენ, მოშავო ნიშანი აჩნდა შუბლზე, წელსზევით შიშველი იყო. გახუნებული, უკვე თითქმის გამქრალი სვირინგები აჩნდა გამომშრალ ტანზე. მზით შებოლილი ხმელი მკლავები და ძალიან თეთრი მხრები, ძველმოდური სპორტული შარვალი... სადღა იყო პრიალა შავი პერანგი? ეტყობა გაიხადა. ზურგსუკან ხელებგაკრული, მაჯებამწვარი ზანზიბარა სხვა პატიმრებთან ერთად აკვროდა ბარაკის კედელს, როცა გვამების მანქანებისკენ თრევა წამოიწყეს. იქით, ერთ-ერთ ძველ საგუშაგოსთან გადარჩენილი მებადრაგენი იდგნენ და ამოცნობაში შველოდნენ ქალაქიდან მოსულ მოხელეებს.
ამ დროს პროჟექტორები აანთეს.
“სნაიპერს მოურტყამს”, გაიფიქრა ზანზიბარამ და გაეღიმა. გაეღიმა იმიტომ, რომ ერთი ძველი ფილმი გაახსენდა. ფილმს “სპარტაკი” ერქვა და ჩვენი დროისთვის მეტად ღიმილისმომგვრელი ცრემლიანობით სრულდებოდა.
“კბილები დამალე”, ზანზიბარას კონდახი მოხვდა მუცელში.
“სადა მაქ კბილები”, წაიბურტყუნა ექიმმა და მიხვდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი ღამე უდაბნოში. ზანზიბარამ უკვე იცოდა, რომ აღარასოდეს, აღარასოდეს მოხვდებოდა აქ. ბუხიასთვის მაჯაზე მუშამბის ნახევი შეებათ, ზედ, ალბათ, სახელი და გვარი ეწერა. პროჟექტორების შუქი აბრმავებდა კედლებს გრძელ, თითქოს დაუსრულებელ რიგებად აკრულ გადარჩენილ პატიმრებს.
“ნეტავ სად არიან?” გაიფიქრა ზანზიბარამ, “რამდენს დაიჭერდნენ და რამდენს დაიჭერენ? მაგრამ ისინი სად არიან?.. სადაც მე, ყველანი ერთად ვართ”.
მერე ბუხია ძარაზე შეაგდეს, ერთ საათში კი პატიმრების გაყვანა დაიწყო: ძველებური სატვირთო მანქანები იყო, ბრეზენტწამოფარებული, განივად, ხუთ რიგად გადებული ფიცრებით.
“ჩვენ რა ჩორნი ვარონა გვეყოფა”, თქვა ერთმა, მამათმავალთა საძმოდან, “სალდატებივით გადაგვრეკავენ...”
მართლაც, თითო თითოდ, სირბილით გაიგდებდნენ წინ და ძარაზე აფორთხებისას შეაშველებდნენ ხელს. ზანზიბარამ ერთი გამოიხედა და რაც დაინახა ამ საზიზღარი პროჟექტორების სინათლეზე, გადანგრეული მესამე ბარაკი იყო, იმის უკან კი წაფერდებული სადარაჯო კოშკი და ზანზიბარას გაეხარდა. ახლა ვიღაცის გალახვაზეც შეიძლებოდა ფიქრი.

44.
ის ჩურჩულით, მაგრამ თითქოს ხმამაღლა და მტკიცედ ლაპარაკობდა. ბატონ ოთარს ყოველი სიტყვა გარკვევით ესმოდა და ფიქრობდა, რომ ეს ყველაფერი ისეა, როგორც სათაგურში, საიდანაც ვერ გაიქცევი.
მამა გერმანე ეუბნებოდა:
“მე ვცდილობ იმას, რომ გადარჩეს რაც შეიძლება მეტი ადამიანი. ჩვენ ვცდილობთ ამას. ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ, რომ უდაბნოში გავალთ და ლოცვით და გალობით გავეშურებით იქით... რა ვქნა? რაც გამაჩერებს, ის გამაჩერებს. რაც გაგვაჩერებს, ის გაგვაჩერებს. ჩვენ ღვთისშობლის ხატს

გამოვასვენებთ, ვინაიდან, ის, რისთვისაც ვცხოვრობთ და ვშრომობთ აქ, ერთ დღეში აღარ იარსებებს. ჩვენი შრომა აქ ვერ მოერევა იმას, რაც მოხდა. ახლა ჩვენ ლოცვას აღვავლენთ... თქვენ კი მინდა გთხოვოთ, დაეხმარეთ იმ სამ უბედურ კაცს. მე ოფიცერს ვთხოვ, რომ შემოვიდეს ტაძარში, ილოცოს ჩვენთან ერთად. ამ დროს შეგეძლებათ გაუძღვეთ ამ სამ კაცს... თქვენ არ შეგაწუხებდით, რომელიმე ჩვენგანი გააკეთებდა ამას, მაგრამ ჩვენ, უნდა წავიდეთ. მე მათ მივცემ ჩვენს სამოსს, მე ვილოცებ მათთვის, მაგრამ ისინი ბრმები არიან უდაბნოში... გაუძეხით მათ კლდეებისკენ, იქ ჯაჭვებია და შეეძლებათ აცოცდნენ მაღლა და იყვნენ იქ, სანამ არ დაატყობენ, რომ შეეძლებათ წასვლა. თანაც გზაში, თქვენ უფრო შეგეძლებათ ელაპარაკოთ პატრულს. იმ დროს გაიყვანთ, როცა ჯარისკაცები ტაძარში შემოვლენ...”
“თანახმა ვარ”, თქვა ბატონმა ოთარმა ისე, როგორც არასდროს უთქვამს, რადგან არასოდეს უთხოვიათ მისთვის ამგვარად საჭირო და მართალი რამ.
“თანახმა ვარ, თუ მოახერხებთ, რომ ჯარისკაცებს...”
“შენდობას ვთხოვ უფალს, ვთხოვ...” მამა გერმანემ დინჯად გადაიწერა პირჯვარი.
ბატონმა ოთარმა კი კვლავ ხელი ჩაიქნია. ბატონ ოთარს მეცნიერებისა სწამდა. მას არ სჯეროდა, რომ გველმა ვაშლი მისთავაზა იმათ, სამოთხეში, რადგან სჯეროდა, რომ სამოთხე არ არსებობს. თანაც, ბატონი ოთარი ძალიან კარგად იცნობდა ქვეწარმავლებს. არა, იმდენი კი ესმოდა, რომ ის გველი, შესაძლოა სულაც არ იყო გველი, არამედ რაღაც სხვა. მაგრამ მაშინ ხომ არც სამოთხე იქნებოდა სამოთხე?
ბატონი ოთარი არქეოლოგებს უყურებდა. ისხდნენ და ეწეოდნენ.
რა უცნაურია, რატომ დარჩნენ? რა უცნაურია, ზოგჯერ რომ დარჩებიან ხოლმე. ეგებ, სულაც არ არიან არქეოლოგები და უშიშროების ხალხია.
რა სისულელეა?
ვერავინ ამოიცნობს, რატომ დარჩნენ. ბატონ ოთარს ზოგჯერ რაღაც მისტიკური ნიავი შემოუბერავდა ხოლმე. ამ დროს მონღოლები შემოჯირითდებოდნენ ხოლმე.
მერე ბატონი ოთარი უყურებდა სამ, ჯვალოში გამოხვეულ კაცს, გამოქცეულ პატიმრებს, რომლებიც დაბნეულნი იდგნენ მზის შუქით გავარვარებულ თეთრ კედელთან. არ იცოდა მათი არც სახელი, არც სხვა რამ, უფრო მნიშვნელოვანი. ორნი დუმდნენ, მაღალი ბიჭი და შუა ტანის სახეშეშლილი კაცი, მესამე კი, ბატონი ოთარის ტოლა, მთლად დაჭმუჭნული, ჭუჭყიანი, დამსკდარი, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და რაღაცებს ჩიფჩიფებდა. სველ მათარას მოუსვენრად ათამაშებდა დასიებულ თითებში.
“წავედით”, თქვა ბატონმა ოთარმა, “ხომ იცით, სადაც მივდივართ?” მაღალს მიმართავდა, – ბებერთან ლაპარაკი არ შეეძლო, მესამე კი, შეშლილი მიწას ჩაშტერებოდა.
“ხე, ხე...” ბებერს ხმამაღლა გამოუვიდა. “მღვდელი, ახლა ნაღდი მღვდელი ხარ... მეც მღვდელი ვარ და ესაც...”
“ჩუ”, წაისისინა ზაზამ და დაიძრენ.
“ვერტალოტიდან ჩაგვცხრილავენ”, თქვა რაჯამ. “ვერტალოტი ხო იცი, რა არი? ზემოდან დაგვაფენენ...”
“მე დარჩენა მინდა...” თქვა უცებ ზაზამ, “აქ დავრჩები”, და სიგარეტს მოუკიდა.
“აქ მოვლენ”, შეახსენა ბატონმა ოთარმა, “იქ იქნებით და როცა ყველაფერი გადაივლის, სადაც გინდათ იქ წადით”.
მიდიოდნენ.
“ვერტალოტებით დაგვბრედამენ”, თვალებს აცეცებდა რაჯა.
“იმ კლდეებთან მივდივართ... სენაკებიდან ჯაჭვებია გადმოშვებული. აძვრებით, ჯაჭვს აიტანთ და დაელოდებით. ვერტმფრენი არ დამინახავს. რომც იყოს, ყველამ იცის, რომ აქ ბერები ცხოვრობენ, თქვენ ბერები ხართ...”

“თქვენც ბერი ხართ?” ჰკითხა ზაზამ.
“მე... მე. მე გველთსაშენის დირექტორი ვარ”, თქვა ბატონმა ოთარმა.
“გველებს იჭერამ?” რაჯა ანაფორის შემოხევას ლამობდა, “მახრჩობს ესა... მღვდელი, შენ რა გაჩვეულათ მოდიხარ”.
მოდიოდნენ და სროლა ისმოდა.
მერე ბატონ ოთარს ჯაჭვის ბოლო ეჭირა, ოფლიანი იყო და მძიმედ სუნთქავდა. ჯერ პოლკოვნიკი აძვრა, ჯიუტად მიჰყვებოდა ჯაჭვს, კლდის შვერილებს ეყრდნობოდა.
“თოხლი რამე არ გვინდოდა?” თქვა უცებ რაჯამ, “კიშკა გახმა გუშინდელიდან...”
“ჯაჭვი აიტანეთ”, ასძახა ბოლოს ბატონმა ოთარმა და გამობრუნდა. მონასტრისკენ არ წამოსულა, დაღმა დაუყვა, რატომ თვითონაც არ იცოდა ხეირიანად.
რაჯამ ჯვალო გადაიძრო, გააფინა და წამოწვა.
“ნახე, რამხელაზეა ჩარჭობილი”, ჯაჭვის სამაგრ პალოს დახედა. პოლკოვნიკმაც შეათვალიერა პალო.
“ახა, მღვდელი, დავაი ახლა, ზღაპრები. სულ მე ხო არ მოვყვები. აქ ვინა ცხოვრობდა?”
ბატონ ოთარს კი გეზი გველთსაშენის მიმართულებით დაეჭირა. მიდიოდა ჩქარი ნაბიჯით, უკანმოუხედავად.

45.
“პალკოვნიკ... სამხედრო... აგე უყურეფ, რა კვამლი ადის? ჩვენებს ბრედამენ. აქ ჩვენები ბრედამენ. ჩვენი აწეულია ეგ შუმოვი...”
კლდეში გამოკვეთილი ოთახიდან ჩანდა, როგორ დაატარებს ქარი მიწიდან წამოკრეფილ მტვერს უდაბნოს თავზე, უდაბნოში კი საბრძოლო მანქანები დაგრიალებენ. სროლის ხმა ყრუდ აღწევდა აქამდე.
“შორიდან ყველაფერი სათამაშოს ჰგავს”, გაიფიქრა ზაზამ.
კოკა ჩამოვიდა. კვლავ მოვიდა უდაბნოში, ზაზას ეფერა, ერთად ტიროდნენ იმ სულელურ ოთახში. ორი-სამი კვირის თავზე ვიღაც მოხელე მოადგა უდაბნოს კარს ისიც ზაზას ელაპარაკა, ძალიან სერიოზულად, სულ ოფლის წმენდაში იყო, ბარე ორასი რაღაც ჰკითხა, ზაზა მიხვდა და იმასაც არ დაუმალავს, თაზოსგან იყო. აი, როგორ არის, ზაზას ხეირიანად არც კი ახსოვდა თაზო. საერთოდ, როგორ გადაება ყველაფერი. ციხის უფროსმა ეკლესიის შენება წამოიწყო. საერთოდ, რამდენი რამ უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს, რომ ზაზა და თაზო ერთმანეთს შეხვედროდნენ უდაბნოს კოლონიაში. თაზოს ეწვალა და ხელახალი სასამართლოსთვის მიეღწია. მერე ციხეში გადმოეყვანათ, მერე კი სულაც გამოეშვათ. კოკას საბურთალოზე ეყიდა ოროთახიანი, მაშა მაშკოვას კი ეთქვა:
“აღარც გაგახსენდები”.
ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ დეიდა თინა არ მომკვდარიყო, არ წამოდებოდა იმ წყეულ გამათბობელს და ის ძველი, ტანჯული კომოდიც იმ ახალ ოროთახიან ბინაში იდგა.
რაც გამოეშვათ, სულ ორჯერ აეწაპნა თითო კოლოფი სიგარეტი, რაზეც, უდაბნოში სანოვაგით ჩასულ ზანზიბარას ეთქვა:
“მთავარია შენი ავადმყოფობა გააკონტროლო”.
ზაზა მუშაობდა, საიდანღაც გამომძვრალმა, თითქოს ხელახლა დაბადებულმა ბიჭებმა მოაწყვეს თავისთან. კაი სუფთა ოფისი იყო, ხელოვნურ იატაკის ფიცარს ეზიდებოდნენ უცხოეთიდან, ყველაფერი თაზოსგან იყო, თაზომ გამოაცოცხლა და თაზომ მორეკა ბიჭები ერთ საღამოს. მაშა მაშკოვა იშვიათად გამოჩნდებოდა ხოლმე და აღარაფერს ამბობდა. ზოგჯერ, ზაზა თავად ეძებდა, მაგრამ გოგო აღარ ჩანდა, მხოლოდ იმ ბნელ დერეფანში

გაიქროლებდა და რომელიმე კარზე აკაკუნებდა ნერვიულად, სართულის მორიგეს ვემალები და შემომიშვითო. “მაშა”, დაუძახებდა ხოლმე ზაზა, უნდოდა მადლობა ეთქვა, მაგრამ ვერ ეწეოდა ხოლმე. პირველად, თამუნა რომ მოიყვანა სახლში, ზაზა დაფრთხა, მაშა მაშკოვა უეჭველად სამზარეულოში იჯდებაო, მაგრამ მაშა მაშკოვა იქ არ დახვედრია. ჯიგარი იყო, გაიელვებდა ხოლმე სიჩუმეში, ცარიელ ადგილას და მორჩა.
რაჯა უდაბნოში დაემარხათ, დიდი წვალებით მომკვდარიყო, პოლკოვნიკისა კი არაფერი იცოდა. და ერთხელ, ქარიან დღეს, სამარშრუტო ტაქსიდან დაინახა და იცნო - პოლკოვნიკი და ფერმკრთალი, გამხდარი გოგო. სურათის გოგო იყო და ზაზას გაუკვირდა.
“ცოცხალი ყოფილა”.
ქუჩაზე მოდიოდნენ, პოლკოვნიკს თმა წამოზრდოდა, ძალიან უბრალოდ ეცვა. პოლკოვნიკობისა არაფერი ეტყობოდა, მაინც პოლკოვნიკი იყო. ზაზამ არ გააჩერებინა. პოლკოვნიკთან ლაპარაკი ყოველთვის გაუჭირდებოდა. მერე რატომღაც კინოდარბაზში იჯდა და ინდურ ფილმს უყურებდა. როგორ დაემგვანა ეს ყველაფერი ინდურ ფილმს. ყველაფერი ერთმანეთს დაემთხვა, ყველაფერი მშვენივრად დაემთხვა ერთმანეთს და ისე გამოვიდა, რომ რასაც ესენი ადამიანურ ცხოვრებას ეძახიან, ინდურ კინოში გამარჯვებული ვიღაცების ამბავია. თურმე, როგორ იოლად შეიძლებოდა და რა გამოვიდა. უდაბნო აღარ არსებობდა, ხვალ დილიდან უდაბნო მკვდარი იქნებოდა. ნანგრევები და მორჩა. გველთსაშენის ჩაწოლილ სახურავზე აბობღებულ ბატონ ოთარს ხომ ბრმა ტყვია მოხვდა. მამა გერმანე და ბერები ხომ... ეჰ. ზაზა არ იცნობდა მათ, მაგრამ უდაბნო აღარ არსებობდა. აუტანელი მწვანე ხოჭოები, ტანკები თუ რაღაც ეგეთები დაღოღავდნენ მის გაქვავებულ მიწაზე. გველები, ათასობით გველი მიცურავდა სადღაც შორს, მამა გერმანეს ხატით ხელში შეებიჯებინა ტყვიის წვიმაში,რატომღაც წარმოედგინა, რომ არ შეიძლებოდა აჯანყებულებსა და შემტევებს შორის არ ჩამდგარიყო. რამდენხანს ანგრევდნენ რუხაძის ბარაკებს და თურმე ყველაფრის ერთად დანგრევას ბევრად ცოტა დრო სჭირდებოდა. ისინი კი იწვნენ კლდეში ნაკვეთ ოთახში და ეძინათ, ყრუდ ჩაესმოდათ სროლის ხმა. ვინ დაანგრია უდაბნო, რუხიამ? თუ იმ გვირაბმა, ზანზიბარამ რომ იპოვნა იმ ძველი საძირკვლის ახლოს. რატომ გარბოდნენ? აჰა, მოვიდა ისევ მაშა მაშკოვა. და ალბათ მოვიდნენ ჟურნალისტები. წამოიშალნენ არქეოლოგები და ქარაშოტმა კვლავ დაიწყო ჯაჭვების რხევა. აუტანელი მწვანე ხოჭოები და ერთ დროს აფეთქებული სატანკო ნაწილი, სადაც იქაურ ჯარისკაცებს უწესრიგო სროლისას ჩაეხოცათ ოციოდე გამოქცეული პატიმარი. ბატონი ოთარი ათვალიერებდა მიწაზე ორ რიგად ჩალაგებულ პატიმართა გვამებს. ზაზას კი უკვირდა, რამ ამოაფორთხა ამ სიმაღლეზე? უცნაური დილა იქნება, გაქვავებული, მდუმარე. ნეტავ მზე საიდან ამოდის? ნეტავ გველები სად იმალებიან? ნუთუ დახოცილებს ჭებში ჩაჰყრიან? იმ ძველ ჭებში, იმ ძველმა კომენდანტმა რომ გაათხრევინა საბრალო გლეხებს. იქით, აღმოსავლეთით კი დიდ ნიშანს დააყენებენ: “შემოსვლა აკრძალულია”. მერე ოდესმე ამ დადუმებულ ადგილას ისევ მოცურდებიან გველები და მერე ისევ მორახრახდება ძველი მანქანით ტვინდასეტყვილი პროფესორი მათ დასახმარებლად. მერე გამოჩნდება რომელიმე გულანთებული და დაიწყებს ძველი ეკლესიის მოვლას, ქარში კვლავ იმღერებენ ჯაჭვები და ბოლოს თოფიანი კაცებიც მოიყვანენ ტუსაღებს. არა, ამ უდაბნოში აღარაფერს ააშენებენ, რადგან სულ ბოლოს შემოგრიალდებიან ტანკები, რათა სავარჯიშო ადგილი მოიზომონ, და დასცხებენ... ასე აღარ იქნება. აღარაფერი არ იქნება, ოღონდ ქარაშოტი, ქარი, ქარბორბალა, მზე და დამწვარი ქვადქცეული მიწა. არქეოლოგები შემობედავენ, ან კიდევ და დაიწყებენ გოგირდის ხრჩოლებას.

ხვალ კი მართლა ძალიან წყნარი დილა იქნება. უდაბნოში ძალიან წყნარად თენდება. სასაფლაოზეც წყნარად თენდება.
კი, ასე იყო.

46.
რაჯას ღრიალი არ შეეძლო. ზაზა მისმა ხავილმა გამოაღვიძა. გამოქვაბულის კიდეზე პოლკოვნიკი იჯდა და უდაბნოს გასცქეროდა. რაჯა დაჩოქილი ხაოდა, კლდის პატაკს სცემდა წითელ მუშტებს.
“რა მოხდა, რა მოხდა?” წამოჯდა ზაზა.
რაჯა კვლავ ხაოდა.
“რა მოხდა?”
“ჯაჭვი!.. ჯაჭვი გადააგდო...” მიეგდო რაჯა, “ჩვენ რო გვეძინა ჯაჭვი გადააგდო... როგორ მოერია”. რაჯამ ახლა პირში იტაკა წითელი ხელისგული და შერჩენილი კბილით დაუწყო ღრღნა.
ზაზა წამოვარდა და კლდისპირს მიეჭრა. დაბლა ფრიალო იყო. ჯაჭვი ჩანდა. გველივით დახვეული ეგდო ლოდზე.
პოლკოვნიკს არ მოუხედია, ასე იჯდა, მათკენ ზურგით. თითქოს ხელი უნდა ეკრათ და გადაეგდოთ.
“მღვდელი... ახლა რა ვქნათ, მღვდელი, ტო”, აღმოხდა რაჯას, “ახლა რა ვქნათ? როგორ გაგვიყვანენ აქედან? ვინ იცის, რო აქა ვართ? იმ ბებერმა რო მოგვათრია აქ...” და პოლკოვნიკისკენ გაიწია, “დავაი იყვირე ახლა... მე ხმა აღარ მაქ”.
პოლკოვნიკს არ მოუხედია.
“რა ვქნათ ახლა?”
“ვილოცოთ”, თქვა ზაზამ, ძალიან მშვიდად და მიხვდა, რომ დამთავრდა, საბედნიეროდ, ყველაფერი დამთავრდა.
“ეგ როგორ უნდა?” დაიბნა რაჯა.
“როგორც გამოვა, ზაზამ სიგარეტის დაჭმუჭნული კოლოფი ამოიღო ჯიბიდან და რაჯას გაუწოდა.
“სად არის?” იკითხა პოლკოვნიკმა, “სად არის?”
“მე ზურგზე მახატია ანგელოზები”, გაიჭრიალა რაჯამ, “მღვდელი, თუ რამეში დაგჭირდეს...”

2001 წ.